

ქორეზი



ბათუმი
შიორში ნიჟოლაჟას ფოტო

2

2022



აჭარის მხარეთა სახლი

ISSN 0134-3459 22002
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 64-ე წელი

მარტი-აპრილი

№2

2022 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაზა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჭარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქაბურია
ვასტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მანია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფალავა

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2022

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33



9 770134 345001

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

მოუნია, ჯროს

თეიმურაზ ლანჩავა – ლექსები	3
დავით ჩოგანიძე – ორიათასწლეული (მოთხრობა)	12
როინ აბუსელიძე – ლექსები	31
გენრიეტა ქუთათელაძე – ლექსები	40
სანდრო ბერიძე – წიგნიდან: „პრეფექტობის აზღარბული წელიწადი“	47
ჯემალ სურმანიძე – ლექსები	59
ჯაბა გორგილაძე – ლექსები	70
დალი თედორაძე – ურჩი ვირი (ზღაპარი)	74
პაატა სურმანიძე – ლექსები	77
ნანა კალანდიაძე – ლექსები	82
თორნიკე კანდელაკი – ლექსები	85

ჩიტიან, ჯუსიისტიან

ლადო სეიდშვილი – სად არის (ან რა არის) ლექსი?	90
ლევან გორვანელი – თეიმურაზ ლანჩავას წიგნის („ფიქრის გასამართლება“) შესახებ	102
ანანია ბროველი – დედნის მკვლელი თარგმანი	106
ნუნუ დიასამიძე – თავისუფლების იდეა გალაკტიონის პოეზიაში	111

ჩუსუნია

შორენა მახაჭაძე – ნიაზ ზოსიძის შემოქმედება და „Nonfiction“ ჟანრის თავისებურებანი	115
---	-----



თეიმურაზ ლანჩავა

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე, საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტი, მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, გაზეთ „უქიმერიონის“ რედაქტორი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე თეიმურაზ ლანჩავა 75 წლის გახდა.

თეიმურაზ ლანჩავა ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. მინიჭებული აქვს ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ლეონიძის, აბუსერიძის ტბელის, ოთარ მამფორიას და მუხრან მაჭავარიანის სახელობის პრემიები.

ასევე მინიჭებული აქვს ქართული კულტურის რაინდისა და ხელოვნების ქურუმის წოდება, პუშკინის სახელობის პრემია და ოქროს მედალი.

გამოცემული აქვს არაერთი პოეტური, მოთხრობებისა და ნოველების კრებულები, არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოიცა მისი შემოქმედების ოთხტომეული.

თეიმურაზ ლანჩავას ლექსები, მოთხრობები, ნოველები და პუბლიცისტური წერილები თარგმნილია უკრაინულ, სომხურ, აფხაზურ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

ვულოცავთ ბატონ თეიმურაზს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის აჭარის ორგანიზაცია
აჭარის მწერალთა სახლი
ჟურნალ „ჟორჯის“ რედაქცია

* * *

სამშობლო ჩემთვის გულია,
ჩემს გულის წუხილს ვერ ხსნიან,
ყველა ისარი მე მხვდება,
როცა სამშობლოს ესვრიან.
გამბედაობას თუ მიქვებთ,
ვამაყობ, უფლის ხვედრია,
ბედნიერი ვარ, გულს იქეთ
არასდროს გამიხედია.
ბევრი სულისგან გაძარცვეს,
ახლა მარტოა, ესხმიან,
ვგრძნობ ყველა ტყვია მე მხვდება,
როცა სამშობლოს ესვრიან.

* * *

გული ნაგყვა, მარტო ვრჩები,
მოიღრუბლა, ცრის,
უშენობას ვერ ვეჩვევი, უშენობა მცვლის.
იქნებ აღარც დამიბრუნდე, სადმე ნაჰყვე ქარს,
ოცნებები დამიბურდე, მიეფარე თვალს.
მიდიხარ და მარტო ვრჩები,
მარტოობა წვიმს,
უშენობას ვერ ვეჩვევი, უშენობა მწყინს.

* * *

გილოცავს, ვინ არ გილოცავს,
მილოცვებს იღებ, არ კვირვობ,
გამოეკერე თითქოს ცას,
ეს მერამდენედ აპრილობ.

საფიქრებელი ზღვადაა,
ღრუბლები ჩანჩქერებია,
ცა ასაფრენად მზადაა,
თვალეში ჩაგჩერებია.

ფრთებს ისწორებ და ორჭოფობ,
ვერ შელევინხარ ნარცისებს,
რაო, რას ფიქრობ, შორსაა?!
შენ რომ გგონია, არც ისე.

* * *

აჩუქეთ მეფეს ერთი ღამე, ქმნილება ღმერთის,
ვის სარეცელზე გასიცხდებით, ერთია თქვენთვის,
აჩუქეთ კოცნა, ქედმაღლობა წაართვით თქვენს თავს,
რომ მეფის კოცნას სხვა ვერ გრძნობდეს და თქვენი ერქვას.
იქნება თავი შეაყვართ და თავი დათმონ,
რომ აგრძნობინონ მეფე გიყვართ და მეფეს არ თმობთ.
აჩუქეთ მეფეს მოჩვენების დრო არყოფილი,
იქნება მეფე ბედნიერი, თქვენ კმაყოფილი.

* * *

ვაი, მას, ვისაც თოვლი ახურავს,
გატკეპნილია თოვლი ფეხებით,
ვისი სიმშვიდეც ზეცის სახურავს
ამშვიდებს მზერით რომ ვერ ვეხებით.
ვაი, მას, ვისაც არ ელოდება
სითბო ოჯახის და ცეცხლი ბუხრის,
ვინც აწი აღარ განმეორდება,
შეგუებული ფიქრსა და წუხილს.
თოვლის კაცები თოვლიან ქუდებს
უხდიან, ზამთარს ესალმებიან,
არ ახსოვთ როგორ მოვიდნენ დღემდე
და ფიფქებს ცამდე ემგზავრებიან.
და ჩვენ ვრწმუნდებით, თბილია თოვლი,
რადგან ბავშვობის ბურუსში გვახვევს
და გვიბრუნდება ბავშვობა თრთოლვით,
რომ შეგვაგუოს დაკარგულ სახელს.

* * *

მე თქვენთვის წვიმა არ მიჩუქნია,
არც ვარსკვლავების ცეცხლი,
ვერც გაზაფხული დაგამახსოვრეთ,
მაშასადამე, შევრცხვი.
ეს იმას ნიშნავს, ეს იმას მონიშნავს,
ჩუმიად ვმალავდი გულში,
რაც ჩემთვის მსურდა, რაც ძლიერ მომწონს,
სინათლეს ტოვებს სულში.
ვერ შევავუე თქვენს მყუდროებას
შფოთი ჩემეულ ქართა,
ვერ დავიჩოქე სასომიხდილმა
ამაობის კართან.
ვერ ვუსახსოვრე უდარდებობა,
განცდას – ოცნების ასულს,
ვერ გამოვკეტე გულში ვინც მიყვარს,
ვერ შევატოვე წარსულს.
მე თქვენთვის წვიმა არ მიჩუქნია,
თუმცა ეტრფოდით წვიმას,
ცრემლი გაჩუქეთ, რომელიც ახლა
ჩემს დანახვაზე ბრწყინავს.

* * *

რამხელა დარდი ჰქონია ღრუბელს,
ჩამოძენდილა, მთელი დღე ტირის,
მოუთმენლობა გონებას უმღვრევს,
ცრემლი ჩამოსდის ღრუბლების ტკივილს.
მომლოდინე და შეცივნულ ტირიფს
სევდიან ღრუბლის ცრემლი ასველებს,
გამკვირვებია, ღრუბელიც ტირის,
მე უშენობით რა მომასვენებს.

* * *

ვკვდებოდი, ვიღრინებოდი,
გულზე ეკლები მეყარა,
შენ ერთი იღიმებოდი,
ცრემლად დნებოდა ქვეყანა.
შენ ერთი მიმაცილებდი
უხმოდ სამარის კარამდი,
სხვები ტიროდენ, შენ ღუმდი
და ჩემს სიყვარულს მალავდი.
სუყველა ყალბი გამოდგა,
გარდა მალული ცრემლისა,
მადლობელივარ სიკვდილის
და ციდან ვარსკვლავთ ცვენისა.

* * *

ვერ შევეშველე თქვენს გაზაფხულებს,
მე ჩემიც მქონდა ბალის სარწყავი,
არ გაიფურჩქნა თქვენი ყვავილი,
უმზეოდ კვირტში ჩაკვდა, სანყალი.
ვერ შევაშველე ხელი თქვენს ერდოს,
არ აგიზგიზდა ცეცხლი ნაცრიდან
არადა, როგორ მიყვარდით ერთ დროს,
როცა ბავშვობა თმებს მივარცხნიდა.
ჩამივლით ახლა, არც მომიხედავთ,
გაუცხოება თქვენი მაშინებს,
არადა, ვიცო, როცა მოვკვდები,
დასატირებლად მოხვალთ მაშინვე.

* * *

ჩემი ბავშვობა ზღაპრებში დარჩა,
 ცხრათავიანი დევების ჩრდილში,
 ქონდრისკაცებთან მიწვეს ცხოვრება,
 ხელს ვაფათურებ ნიანგის პირში.
 დასანანია ყოფა-არყოფნა
 და საცნაური მგელის თვისება,
 მელასთან მიწვეს ლუკმის გაყოფა,
 დამცირებული ტირის ღირსება.
 იქ კი, ბავშვობის ლაბირინთებში
 შაშვი ჭახჭახებს და სტვენს ტოროლა,
 ათასში ერთხელ გამოჩნდებიან
 მგელი და ტურა თითო-ოროლა.
 მოჩითულია მდელო კამკამა
 და ჩანჩქერები ნაკადულობენ,
 ისე წმინდაა, ისე ანკარა,
 წვიმით ამღვრევას არ კადრულობენ.
 ჩემი ბავშვობა ზღაპრებში დარჩა,
 მე ზღაპრის აქეთ დაუნახავი,
 წვიმს, ბავშვობიდან მოფრინავს ყანჩა,
 ჩემგან მოკლული, დაუმარხავი.

* * *

ფანჯარასთან ეკლის ტოტი ამიყვავდა,
 იმნაირად ამიყვავდა, ანათებდა,
 არ მომწონდა, არ ვეტროფოდი, არ მიყვარდა,
 მის ცქერაში მაინც თავზე დამათენდა.
 ვინ უსინჯავს ფერს და გემოს ეკლის ყვავილს,
 რა ვიცოდი მომხიბვლელად ამანთებდა,
 ეკალიც კი ლამაზია როცა ჰყვავის,
 გავქცეოდი, ნეტა ვინ გამამართლებდა.
 მერე ისე შემეყვარდა, შემეშინდა,
 მერე ისე შემეშინდა, ჩავეკარი,
 ყვავილები უცებ დაჭკნენ ხელებში და
 სამახსოვროდ შემრჩა მხოლოდ ნარ-ეკალი.
 რომ ეკალმა ყვავილები გამოისხას,
 ველი ზაფხულს, იქნებ ისევ ამიყვავდეს,
 ვერ შევძელი, ტკივილისგან რამემ მიხსნას,
 ეკლის გამო ყვავილები არ მიყვარდეს.

* * *

ერთხელ სიზმარი მოვპარე ჩემს თავს,
ფიქრიდან ღამე ამოვასვენე,
ვიგრძენი გული თუ როგორ ფეთქვას,
მოგონებები არ მოვასვენე.
ერთხელ, ო, ერთხელ, ეს იყო ღამით
მე შენთვის მოვკვდი, სარეცელს სხვისას
წავართვი ვნება დაბინდულ თვალთ
და შევიძელი სიკვდილთან მისვლა.

* * *

გადმოვკიდე საღრჩობელა,
თავი გავაძვრინე ყულფში,
ბეჭზე ჩიტი დამაფრინდა,
რალაც ჩამჩურჩულა ყურში.
ვუთხარ: ჩიტო, დამეხმარე,
ამაფრინე, ამამჩატე,
თავზე წამაფარე ფრთები,
დასანახად აღარ ვჩანდე.
სანამ მიწას წაიყრიდეს
ჩემი დამსხვრეული ძვლები,
ყულფში თავით გაჩხერილი,
ქვეყნის სიყვარულით ვძლები.
გადმოვკიდე საღრჩობელა,
ჩემს თავს ვხედავ ნებით დამღრჩვალს,
ბეჭზე ჩიტი დამაფრინდა,
რომ მიშველოს, კაცი არ ჩანს.

* * *

მე მიყვარს ზამთრის უსახურ დღეთა,
წივილი ქარის – მომტირლის როლში,
ცქერა ჩონჩხების, გაძარცვულ ხეთა,
მიმოფანტული ჩრდილები თოვლში.
დაგმანულ ფანჯრებს და კარებს იქით,
როგორ აისხამს ყინვას მძივებად
დღე იანვარის, თოვლის საბანში

ფიქრსაც რომ მშვიდად ჩაეძინება.
გაძარცვულ სხეულს, შეცივრულ ფიქრებს
ვუნთივარ, ვათბობ, არ გაიყინოს,
ვაფარებ ტუჩებს გათოშილ თითებს
რომ უშენობა არ დაიყვიროს.
და მესიზმრება, მოგაქვს ზაფხული,
უბე მზითა გაქვს სავსე, გამთბარი,
ყვავილთა თოვა გაქვს განზრახული,
რომ ააჭრელო ჩემი ზამთარი.
აგედევნება სურვილი ჩემი
და თოვლში შენთვის იებს აგროვებს,
მშვენიერია, სიზმარში ვრჩები
და ყველაფერი ზღაპარს მაგონებს.
მე მიყვარს ზამთრის უსახურ დღეთა,
ნივილი ქარის, მომტირლის როლში
და საუბარი უშენოდ, შენთან,
და სიარული შენს გამო თოვლში.

* * *

ერთმა გოგომ შემაყვარა თავი,
შემაგუა მოთმენას და განცდას,
ოცნებით და სიყვარულით მთვრალი
ვჩუქნი დღეებს, დარჩენილი რაც მაქვს.
დამავინწყებს, ვიცი, ტრფობას პირველს
მომამატებს სევდასა და წყენას,
მაგრამ რა ვქნა, თუ გონებას მირევს,
ვერ ვლაღატობ იმედსა და რწმენას.
გავემიჯნე ნუხილსა და ტკივილს,
დავივინწყე თუ რამე მაქვს ბრალი,
ჩემს სარკმელთან გაზაფხული ტირის,
მონატრებას როგორ ვუთხრა ვარი.

* * *

შენი ტუჩები მიმყვება სახლში
და სიყვარული შენს თავს მახსენებს
და რომ მგონია, რაც მოხდა, წავშლი,
შენი თვალები აღარ მასვენებს.

გავურბი ჩემს თავს, სავსე ვარ შენით
და ვხვდები სიკვდილს სიცოცხლის ბოლოს,
შენ და სიცოცხლე ერთავე მშველით,
რადგან სიცოცხლე ლოდინში ცხოვრობს.
შენი ტუჩები მიმყვება სახლში
და სიყვარული შენს თავს მახსენებს
და რომ მგონია, რაც მოხდა წავშლი,
შენი თვალები აღარ მასვენებს.

* * *

ვერ გავეპარე ქუთაისს,
ვერ ვიარსებე შემკრთლმა,
ვერ მოვახერხე შორიდან
მოკითხვა შემომეთვალა.
ვერ დავუკარგე ბავშვობას
ოცნებით სავსე გზა-კვალი,
ვერ მოვუყევი მომავალს
გამოგონილი ზღაპარი.
შემოვრჩი დღევანდებობას,
გაუმხელელი დარდივით,
ჩემი პატარა ოცნების
მოკრძალებული ადგილით.
ვერ გავეპარე ქუთაისს.
ვერ ვიარსებე შემკრთალმა,
ვერ მოვახერხე შორიდან
მოკითხვა შემომეთვალა.

* * *

ყველა დღე მოკლულ ჯარისკაცს ითვლის,
ყოველ დღეს დროის მოაქვს ბრალდება,
და ნახევრდება სიცოცხლე თითქმის,
განახევრება სიკვდილს ბრალდება.
ყოველ დღეს მოაქვს მწუხრის შეგრძნება,
უთანხმოება სინანულს მარხავს,
ყოველ დღე სიკვდილს სიტყვა ეძლევა,
და ყოველ ტკივილს ცრემლები ახლავს.
ვერ გაუყვიათ მიწა და წყალი,
დავიწყებიათ სიცოცხლის არსი,

თითქოს სამყარო გამხდარა მწყრალი,
გაბოროტებულ ურჩხულის მსგავსი.
მარხავენ ბავშვებს, ველარ ნახავენ
სიხარულს მკვდარი შვილის დედები,
გთხოვთ, შეაჩეროთ ომი ახლავე,
მზადა ვარ, სიკვდილს მე დავნებდები.
ღმერთი ერთია, ჩემთვის ერთია,
მტყუანი, მართალი, თუ გსურთ მიჩვილეთ,
თუ შეგიძლიათ, დრო შეაჩერეთ
და დედამინა გადამირჩინეთ.

* * *

იხდი და იცმევ, ივსება სივრცე
შენი სიშიშვლით და ჩემი განცდით,
მე მონუსხული ვდგავარ და გიცქერ,
აღფრთოვანებით და ჩემი მარცხით.
ხატავს სანუთრო ადამს და ევას
და ვხვდები, სულზე იმარჯვებს ხორცი
და ბოდიშს ვუხდი, რატომღაც, ყველას,
რომ შენს სიშიშვლეს თვალებით ვკოცნი.



დავით რომახიძე

ორიათასწლეული

ორიათასწლეული – შინაარსით, პერსონაჟებით და თხრობის სტილით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სამეცნიერო-ფანტასტიკური მოთხრობების ციკლია, სადაც პერიპეტიებით დახუნძლული მოვლენები გამოგონილ სამყაროებში ან შორეულ მომავალში ხდება.

ციკლი აერთიანებს სხვადასხვა დროში, სივრცეში თუ ეპოქაში განვითარებულ მოვლენებს და ხატავს მომავლის სავარაუდო სურათს.

პანაცეა

დედამინა. ამერიკის შეერთებული შტატები. ჩიუაუას უდაბნო. „დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის“ გასაიდუმლოებული ლაბორატორია – CDC-A.

2043 წელი.

ჩაბნელებულ საკონფერენციო დარბაზს, მხოლოდ უშველებელი მონიტორი ანათებს, ეკრანზე თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოები თანმიმდევრულად ენაცვლება ერთმანეთს, დარბაზი სანახევროდაა სავსე, „სლაიდშოუ“ ფერების კონტრასტს ქმნის და დარბაზში მყოფთა სახეები უფრო მკვეთრად ჩანს, უმეტესობა ლაბორატორიის ქვედა იარუსებზე არსებული საკვლევი განყოფილებების ხელმძღვანელი მუშაკია, რომლებთანაც უძილობიდან დაწითლებული თვალები და დაღლილი, ფერმკრთალი სახეები აქვთ.

– სამი თვეა, რაც ეპიდემიის ახალი კერები აღმოვაჩინეთ და ასე ოპერატიულად ჯერ არ გა-

უმართავთ კონფერენცია, – კადენ ჰილი CDC-ს მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, გვერდით მჯდომ შუახნის ქალს მიუბრუნდა, ცოტა ხანი უმზირა მის ხუჭუჭა თმას და ნეგროიდული რასისთვის დამახასიათებელ მუქ კანს, რომელიც ასაკის მიუხედავად სუსტად ბზინავდა მონიტორის შუქზე და ხმადაბლა ჰკითხა, – დოქტორო კერი, თქვენ რას ფიქრობთ ამ ფაქტთან დაკავშირებით?

დოქტორ მოერა კერი გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი უტყვად მიაჩერდა ახალგაზრდა თანამესაუბრეს, მერე სათვალე მოიხსნა, რომლის ლინზებში მონიტორზე გაშვებული ფოტოკოლაჟი თავუკულმა ირეკლებოდა და სქელი მინა მაისურის კალთით განმინდა.

– არც კი ვიცი, რა გიპასუხო, – მხრები აიჩეჩა ქალმა, – როცა ეპიდემიამ პირველად იფეთქა გვატემალაში, მხოლოდ მაშინ ჩავარდა მსგავს პანიკაში CDC-ს ხელმძღვანელობა.

– თუ შეამჩნიე, მოერა, მონიტორზე იმ ოთხი ქალაქის თანამგზავრული ფოტოები ჩანს, რომლებსაც კარანტინით ვაკონტროლებთ, – კადენი სავარძლიდან წამოიწია, უფრო გაფაციცებით დააკვირდა სლაიდშოუს, მისი დაღლილი სახე წამით ცისფერმა შუქმა გაანათა, რამდენიმე დღის გაუპარსავი მოკლე წვერი ნიკაპს უფარავდა, გაფერმკრთალებული ტუჩები მკაცრად მოეკუმბა, თვალის უბეები კი დასივებოდა.

– ეგ მეც შევამჩნიე, – გამოეპასუხა დოქტორ კერი, შემდეგ სათითაოდ ჩამოთვალა გვატემალას ოთხივე დასნებოვნებული ქალაქი, – ბარბერენა, ამატიტლანი, კესალტენანგო და აიუტლა.

კადენმა ცალკებად ჩაიციინა, მონიტორს თვალი მოაშორა, ქალისკენ მთელი ტანით მიტრიალდა და რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ საკონფერენციო დარბაზში შემოსულმა ოთხმა მამაკაცმა მიიქცია მისი ყურადღება.

პირველი CDC-ს ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ადამ უილსონი იყო, რომელსაც ფეხდაფეხ მოჰყვებოდა, მკაცრ კოსტიუმებში გამონყობილი, სამი მამაკაცი.

სწრაფი ნაბიჯით გადაჭრეს დარბაზი და უშველებელი მონიტორის გვერდით მდგარ კათედრასთან შეჩერდნენ.

– მოიცა ეს შეიარაღებული ძალების ვიცე-პრეზიდენტი არ არის? – იკითხა კადენმა და მორა კერის გადახედა, რომელიც არანაკლებ გაცხებული თვალებით უმზერდა უცნობებს.

– ეტყობა მართლაც ცუდადაა საქმე, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ქალმა და სათვალე კიდევ ერთხელ განმინდა მაისურის კალთით.

ადამ უილსონი თავის დაკვრით მიესალმა საკონფერენციო დარბაზში მყოფ მუშაკებს.

– ვიცი, ყოველმა თქვენგანმა ამ კონფერენციის გამო მნიშვნელოვან კვლევას მიანება თავი, მაგრამ დამერწმუნეთ, აქ მიღებული ინფორმაცია გაცილებით ბევრს გააკეთებს ეპიდემიასთან სამომავლო ბრძოლაში.

წამით დარბაზი აშრიალდა, შეკრებილებმა ხმადაბალი ჩურჩულით გამოხატეს თავიანთი გაოცება.

– ახლა კი ჩვენს სტუმრებს წარგიდგენთ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, უმეტესი თქვენგანი მათ შესანიშნავად იცნობს.

პოლკოვნიკმა გვერდით მდგომ მამაკაცებს გადახედა და სათითაოდ წარუდგინა დარბაზში მყოფთ.

– შეიარაღებული ძალების მართვისა და დამატარების გაერთიანებული შტაბბინის ვიცე-პრეზიდენტი, გენერალი კევინ ბერინგტონი, – ჭალარა, ოდნავ ჩასუქებულმა მამაკაცმა, თავი მსუბუქად დაიქნია, – ევან ფეინი პრეზიდენტის მრჩეველი დაავადებათა კონტროლის საკითხებში, – ადამ უილსონმა მალალ, ბეჭებში მოხრილ მამაკაცს გადახედა, რომელმაც ნერვიულად შეისწორა შეთხელებული თმა, – და ბოლოს, ფლორიან სალი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) წარმომადგენელი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და CDC-ში.

ჯმუხმა, ულვაშიანმა მამაკაცმა მხოლოდ ზანტად მოინაცვლა ფეხი და მონიტორზე გამოსახულ ფოტოებს წვრილი თვალებით, ინტერესით გახედა.

– სტუმრები მშვენივრად იცნობენ CDC-ს მიერ გატარებულ ღონისძიებებს, – ადამ უილსონმა კათედრაზე ხელები ჩამოაწყო და განაგრძო, – თუმცა სანამ შეკრების მთავარ მიზეზს განვიხილავთ, ბატონ ფეინს, რომელიც დღეს პირველად ჩაერთო ეპიდემიასთან ბრძოლაში, ორი სიტყვით გავარკვევ მიმდინარე მოვლენებში, – უილსონი პრეზიდენტის მრჩეველისკენ მიტრიალდა და დამარცვლით წარმოსთქვა, – როგორც კი გვატემალაში დაავადების პირველმა კერამ იფეთქა, ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნით, ჯანდაცვის სამინისტროს, ეპიდემიის ლოკალიზებაში CDC დაეხმარა.

– დახმარება კი არა, ლომის წილი ჩვენ გავაკეთეთ, – კადენმა ხმადაბლა გადაუჩურჩულა გვერდით მჯდომ მოერა კერის.

ქალმა უკამაყოფილოდ გადმოხედა და სქელი ტუჩების უხმაურო მოძრაობით ანიშნა გაჩუმებულიყო.

– გვატემალას მთავრობამ CDC-ს მოქმედების განუსაზღვრელი არეალი მიანიჭა, – საუ-

ბარს განაგრძობდა ადამ უილსონი, – დღეს, ოთხივე ქალაქი, სადაც ეპიდემიამ იფეთქა, საკარანტინო ბრიგადის მიერაა ბლოკირებული, ვირუსის გავრცელების ჰაერსპოროვანი გზა ექსპერიმენტალური დეიტრონიუმის ქაფით შევაფერხეთ, რომლითაც დასნებოვნებული ქალაქები დაფარეთ.

– პოლკოვნიკო უილსონ, მადლობას მოგახსენებთ მონოდებული ინფორმაციისათვის, – ღიმილით წარმოსთქვა ევან ფინმა, – მაგრამ არ არის სავალდებულო. პრეზიდენტის აპარატში ყველა შესანიშნავად ერკვევა შექმნილ სიტუაციაში, მე კი, აქ მოფრენამდე, დაწვრილებით შევისწავლე CDC-ს მიერ გატარებული ყოველი ღონისძიება და ვაფასებ თქვენს საქმიანობას, რადგან საშუალებას არ აძლევთ ვირუსს ამერიკამდე მოაღწიოს.

ადამ უილსონმა პრეზიდენტის მრჩევლის შენიშვნისთანავე უხერხულად ჩაახველა, კათედრიდან პატარა პულტი აიღო, რამდენიმე ნაბიჯით ანთებულ მონიტორს მიუახლოვდა და კატეგორიულად წარმოსთქვა.

– მაშ, აჯობებს პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

– მადლობა ღმერთს, – ირონიულად ჩაიჩურჩულა კადენმა, თუმცა იმ წუთასვე მოერას მუჯღუგუნი დაიმსახურა, რომელიც გაფაციცებით უსმენდა პოლკოვნიკს.

– როგორც მოგეხსენებათ, უკვე სამი თვეა, რაც RED ვირუსის პირველი კერა დავაფიქსირეთ და ამ ხნის განმავლობაში ერთადერთი რისი მიღწევაც შევძელით, დეიტრონიუმის ქაფით მისი სპორების კუპირება იყო, – ადამ უილსონმა პულტს თითი დააჭრა და მონიტორზე გამოსახულება შეცვალა, – სპორების ლოკალიზებამ ვირუსის გავრცელება ოთხმოცი პროცენტით შეაჩერა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს წინ გადადგმულ ნაბიჯს, რადგან ამოდ ვმუშაობთ ანტიდოტის შექმნაზე, პრევენციის ზომები კი არ ამართლებს, ამ ხნის განმავლობაში ეპიდემიას სამას ორმოცდაათი ათასი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის, ამერიკელი ტურისტებიცაა.

– „გაერო“, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად, არც სახსრებსა და არც ძალებს არ დაიშურებს ამ კრიზისის ლოკალიზებისთვის, – ბოხი ხმით ჩაილაპარაკა ფლორიან სალიმ, შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მონიტორის გასწვრივ და დარბაზში შეკრებილ ხალხს გადახედა.

– კარგი იქნებოდა შეკრების თემაზე გადასულიყავით, – მკვახედ ჩაილაპარაკა გენერალმა კევინ ბერინგტონმა, – უკვე ორმოცი საათია ჩემს ბრძანებას საჭაერო ძალების სარდლობა ელოდება, მობილიზებულია ოცი გამანადგურებელი, რათა ეპიდემიის კერები წერტილოვანი დარტყმით განადგურდეს.

– ვგონებ, ასეთი უკიდურესი ზომების მიღება არ არის საჭირო, – ადამ უილსონმა უხერხული ღიმილით აირიდა გენერლის შემოტევა, – ზუსტად ოცდათორმეტი საათის წინ მექსიკის ჯანდაცვის სამინისტრომ დახმარების თხოვნით მოგვმართა, ქალაქ პარალში RED ვირუსის ეპიდემიამ იფეთქა.

დარბაზს კვლავ ხმადაბალმა ჩურჩულმა გადაუარა, დამსწრეები ამჟამად აღშფოთებული ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს.

– ეპიდემიის მეხუთე კერა? – შუბლმოჭმუხნულმა ჩაილაპარაკა კევინ ბერინგტონმა, – ეს კიდევ ერთი მიზეზია, რომ დროულად გავსცე დაავადებული ქალაქების განადგურების ბრძანება, როგორც ხედავთ, ვირუსი ნელ-ნელა ამერიკისკენ მოინევის, თქვენი ნაქები დეიტრონიუმის ქაფი არაფრის მაქნისია.

გენერლის სიტყვებს ყველა ჩუმად შეხვდა, ხვდებოდნენ, რომ გაერთიანებული შტაბბინის ვიცე-პრეზიდენტი სიმართლეს ამბობდა, თუმცა მის ბრძანებებს შეიძლება ფატალური შედეგი გამოეღო და მესამე მსოფლიო ომი თუ არა, სერიოზული შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყოლოდა.

ადამ უილსონმა მუჭში ჩაახველა და დარბაზში გამეფებული სიჩუმე დაარღვია.

– გენერალო ბერინგტონ, წელან მოგახსენეთ, ამის აუცილებლობა არ არსებობს მეთქი, – მან

პულტით გამოსახულება შეცვალა და ეკრანზე უდაბნოში გაშენებული პატარა ქალაქის თანამგზავრული ფოტო გამოიტანა, – ეს ქალაქ პარალის თანამგზავრული ფოტოა, დასნებოვნებული ზონა საკარანტინო ბრიგადამ უკვე დაამუშავა დეიტრონუმის ქაფით.

– თქვენი ოპერატიულობა ნამდვილად შესაშურია.

– გმადლობთ, – პოლკოვნიკმა პრეზიდენტის მრჩეველს თავი დაუკრა, – რამდენიმე საათის წინ ჩვენმა ექსპერტებმა გამოსახულების შესწავლისას დასნებოვნებული ქალაქის ტერიტორიაზე გარკვეული აქტივობა აღმოაჩინეს, რაც სხვა შემთხვევებში არ ფიქსირდებოდა, ამიტომ დრონებმა ქალაქი ინფრანითელ ფორმატში გადაიღეს, – მან ლილას თითი დააჭირა და თანამგზავრული ფოტო ინფრანითელი ჩაანაცვლა, – მაშ ასე, ბატონებო, წარმოგიდგენთ ერთადერთ გადარჩენილს, რომელსაც RED ვირუსმა ვერაფერი დააკლო.

ეკრანზე ერთმანეთს რამდენიმე ფოტოსურათი შეენაცვლა, სადაც მკვეთრად ჩანდა ნითელი კონტურით შემოვლებული ადამიანის ფიგურა, რომელიც მკვდარი ქალაქის ქუჩებში უმისამართოდ დაბოდიხლდებოდა.

– ღმერთო ჩემო, – მოულოდნელად წამოსცდა მოირა კერის.

დარბაზი ისევ აჩურჩულდა, გენერალმა ბერინგტონმა მსუქანი ნიკაპი მოისრისა, ფლორიან სალიმ ჯმუხი წარბები უფრო მრისხანედ შეჰყარა, ევან ფეინმა კი ინტერესით იკითხა.

– როგორც თქვენს მიერ წარმოდგენილი დოსიედან გავიგე, RED ვირუსის სხვა შემთხვევებში გადარჩენილები არ ფიგურირებდნენ, გვატემალას ოთხივე ქალაქი მოჩვენებების ქალაქებად გადაიქცა, კარანტინსაც ფორმალური სახე უფრო აქვს, რადგან დასნებოვნებულ ზონას ისედაც ვერავინ დატოვებს.

– მართალი ხართ, ბატონო ფეინ. RED ვირუსი ენტეროვირუსის აგრესიული ფორმაა და დაავადებისთანავე თავის ტვინის რუხ ნივთიერებას ანადგურებს. ადამიანი მომენტალურად

კვდება თავის ტვინის ატროფიის შედეგად. პარალის შემთხვევა ერთადერთია, – ადამ უილსონმა კმაყოფილმა გადახედა სტუმრებს და განაგრძო, – ამიტომ გვეძლევა შანსი გადარჩენილის იმუნური სისტემის დახმარებით RED ვირუსის ანტიდოტი გამოვიყვანოთ.

– ეს კარგი სიახლეა, – ჩაიხიბითა კადენმა და გაუპარსავ სახეზე ხელი ჩამოისვა.

– ერთი საათის წინ სწრაფი რეაგირების ჯგუფი გავგზავნეთ მექსიკაში, – ადამ უილსონმა ხელები მკერდზე დაიკრიფა, – მართალია, საკარანტინო ზონას მექსიკის ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, CDC-ც აკონტროლებს, მაგრამ გადარჩენილი ობიექტის ხელში დროული ჩაგდება ჩვენთვის უფრო პრიორიტეტულია.

– ჰმ, – წარბები შექმუხნა გენერალმა ბერინგტონმა, – ვინ ხელმძღვანელობს ოპერაციას? – იკითხა მან.

– ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, – უბრალოდ მიუგო პოლკოვნიკმა, – საზღვაო ქვეითის ჩართვას ისევ სპეციაგენტების გაგზავნა ვამჯობინეთ, თქვენი ბიჭები ბევრად ხმაურიანები არიან, ჩვენ კი შეუმჩნეველად უნდა გამოვიყვანოთ ობიექტი დასნებოვნებული ზონიდან.

გენერალმა თვალები მოჭუტა და ირონიული ღიმილით გადახედა პოლკოვნიკს.

– მაქსიმუმ 10 საათში სპეცოპერაცია დასრულდება და ობიექტს ამ ლაბორატორიაში მოიყვანენ, რადგან ის ყველაზე ახლოა საკარანტინო ზონასთან, – აზრი დაასრულა ადამ უილსონმა.

– ძალიან კარგი, – საუბარში ჩაერთო ფლორიან სალი – როგორც კი CDC-ს სპეციალისტები გადარჩენილის დნმ-იდან ანტიდოტს გამოიყვანენ, მოსახლეობის სრულ ვაქცინაციას „გაერო“ საკუთარ თავზე იღებს.

– შესანიშნავია, – კადენმა დოქტორ კერის გადაუჩურჩულა, – იმუნოლოგია თქვენი თემაა დოქტორო, როგორ ფიქრობთ გაართმევს თავს „გაერო“?

მოერა კერიმ ახალგაზრდა თანამოსაუბრის საპასუხოდ მხოლოდ მხრები აიჩეჩა, იცოდა გაე-

რთიანებული ერების ორგანიზაცია ურიცხვ რესურსს და ძალაუფლებას ფლობდა, ბოლო დროს კი მნიშველოვან დახმარებას უწევდა CDC-ს უცნობი ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში, აქედან გამომდინარე, არც ვაქცინაციის ორგანიზება და გაკონტროლება გაუჭირდებოდა.

კონფერენცია ფინალს მიუახლოვდა, პოლკოვნიკი ადამ უილსონი ლაბორატორიის მუშაკებს უკანასკნელ მითითებებს აძლევდა, ბოლოს დარბაზს მრავალმნიშვნელოვნად მოავლო მზერა და თქვა.

– ყველა სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელს გთხოვთ, სრულ მზადყოფნაში იყოს, როგორც კი გადარჩენელი ობიექტი ლაბორატორიაში აღმოჩნდება, წამიც არ უნდა დავკარგოთ და ანტიდოზზე მუშაობას შევუდგეთ, იცოდეთ ბატონებო, ყოველი დაკარგული წამი რიგითი ამერიკელის სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს.

კონფერენცია დასრულდა კადენ ჰილი და მოერა კერი აჟრიაბულეზულ კოლეგებს შეუერთდნენ, რომლებიც ზანტად გადიოდნენ დარბაზიდან და ვინრო დერეფნის გავლით, ქვედა იარუსებზე არსებულ, თავ-თავიანთი განყოფილებებისკენ მიემართებოდნენ.

* * *

RED ვირუსის წარმოშობა, ინკუბაციური პერიოდი და ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე: – დოქტორ მერიემ ბაკერის CDC-ს მთავარი ეპიდემიოლოგ-ვირუსოლოგის მოხსენება.

RED – ვირუსის ლათინური ტრანსფიქცია გახლავთ, მისი სრული დასახელებაა: – *Respiratorium enterovirus dominatur*. რადგანაც ვირუსი თავის ტვინის უჯრედებს აინფიცირებს, ის ენტეროვირუსის უცნობ აგრესიულ სახეობად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ეპიდემიის პირველმა კერამ გვატემალაში ქალაქ ბარბერენაში 2043 წლის 17 თებერვალს

იფეთქა, ვირუსის პირველი მსხვერპლი 30 000 ადამიანი იყო, რომლებიც დასნებოვნებიდან 2 საათში თავის ტვინის ატროფიით დაიღუპნენ.

არავინ იცის საიდან გაჩნდა ვირუსი, ზოგი მას არქაულ ვირუსად მიიჩნევს, რომლის დაკონსერვებული კულტურა შემთხვევით გააქტიურდა, დაუდევარი სიღრმისეული სამუშაოების ან არქეოლოგიური გათხრების დროს.

ზოგს ვირუსის არამიწიერი წარმოშობის უფრო სჯერა, სპეციალისტების ვინრო წრეში სერიოზულად განიხილავენ ამ ვერსიას, რასაც სამიოდე თვის წინ დაფიქსირებული მეტეორიტული აქტივობაც ამყარებს, რომლის დროს ყველაზე მეტი მეტეორიტი სწორედ გვატემალაში ჩამოვარდა.

ვირუსის წარმოშობის რომელი ვერსიაა დამაჯერებელი ვერ გეტყვით, მაგრამ RED ვირუსმა ბევრი თავსატეხი რომ გაგვიჩინა, აშკარაა, ის არ წააგავს დედამიწაზე დღემდე არსებულ ვირუსებს, ბევრად აგრესიული, სწრაფი და მომაკვდინებელია, ყველაზე უცნაური კი მისი გავრცელების ფორმაა – ჰაერსპოროვანი გზა.

RED ვირუსის მონაცემები: – სოლისებური ფორმა. ზომა 3 ნანომეტრი. ვრცელდება ჰაერსპოროვანი გზით. ორგანიზმში, როგორც კანის უჯრედების ფორებიდან, ასევე რესპირატორული არხებით, ცხვირ-ხახიდანაც აღწევს.

დასნებოვნებაზე თავდაცვის იმუნური სისტემა არ რეაგირებს, ინტერფერონები¹ ვირუსს ვერ აფიქსირებენ, რადგან მომენტალურად აღწევს ტვინის უჯრედებში და დნმ-ის გადაწერით, რეპლიკაციისთვის საკუთარ გენეტიკურ გარემოს ქმნის.

რთულად ორგანიზებულ ვირუსთა კლასს მიეკუთვნება, ნუკლეინის მჟავის მოლეკულები ცილებისა და პროტეინების ექვსმაგი გარსითაა დაფარული, მსგავსი კაპსიდი² კი მის სიცოცხლისუნარიანობას მკვეთრად ამაღლებს.

¹ ინტერფერონი (ლათ. inter – ურთიერთ და ferio – ვარტყამ, ვამარცხებ) – დამცველი ცილა, რომელსაც გამოიმუშავენ ფრინველებისა და ძუძუმწოვრების უჯრედები და უჯრედთა კულტურები ვირუსებით მათი დასნებოვნების საპასუხოდ. ინტერფერონი თრგუნავს ვირუსების გამრავლებას უჯრედებში.

² კაპსიდი – ვირუსის ცილოვანი გარსი.

ვირუსის ინკუბაციური პერიოდი დაახლოებით ორიოდე საათს მოიცავს, რაც სრულიად საკმარისია უჯრედების აპოპტოზამდე¹ რეპლიკაციური გარემოს შესაქმნელად და თავის ტვინის 60%-ის დასაინფიცირებლად, ინკუბაციის პროცესი ადამიანისათვის მომაკვდინებელია, დაავადებული ჯერ კომატოზურ მდგომარეობაში ვარდება, შემდეგ კი ტვინის ატროფიით კვდება.

დაავადებულის გარდაცვალებისთანავე ვირუსის ინკუბაციური პერიოდი სრულდება, მისი სპორები მკვდარი ორგანიზმიდან გარეთ გამოიდევენებიან და ჰაერსპოროვანი გზით ვრცელდებიან.

ასე რომ, ვირუსით გარდაცვლილი ადამიანი, სიკვდილის შემდეგაც დაავადების გადამტანია.

ახლა ორიოდე სიტყვით ვირუსის გავრცელების ჰაერსპოროვან გზაზეც ვისაუბროთ. RED ვირუსის სპორები მიკოზებისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი სპორები არ გეგონოთ, თითოეულს ათასობით ვირუსი გადააქვს, გამძლე გარსი არასასურველი გარემოდან იცავთ, ცილინდრისებური ფორმა კი ადვილად ემორჩილება ჰაერის მასებს.

დაავადების გავრცელების მსგავს ფორმას მხოლოდ RED ვირუსის შემთხვევაში გადავანყვით, ამიტომ ის ამ მხრივ თანამედროვე ვირუსოლოგიაში ისე დამკვიდრდება, როგორც მომაკვდინებელი სიახლე.

ბოლო ხანს მსოფლიოში განვითარებული მოვლენების წყალობით კაცობრობამ ეპიდემიასთან გამკლავება ისწავლა, KOVID-19-ის შემოტევამ დიდი გაკვეთილი ჩაგვიტარა, მაგრამ RED ვირუსის შემთხვევაში, KOVID-19-ის დროს მიღებული გამოცდილება გამოუსადეგარია.

RED ვირუსს ვერც სამედიცინო პირბადე, ვერც სოციალური დისტანცია და ვერც ხელეზის ანტისეპტიკური ხსნარით ხშირი დამუშავება შეაჩერებს, იმ შემთხვევაში თუ მისი დაკონსერვება ვერ მოხერხდა, ვირუსი უმოკლეს ვადაში მთელ მსოფლიოს დაავადებს, რადგან მისი

სპორები მსუბუქი სიოს შემობერისთანავე უმაღლოდ დადამინის ყოველ კუთხეს.

პირველად გვატემალას ხელისუფლება საკუთარი ძალებით ებრძოდა ეპიდემიას, ჯერ გარდაცვლილების კრემაცია სცადეს, ამ მხრივ ინფექციის გავრცელების შეფერხებას გეგმავდნენ, მაგრამ საუბედუროდ სპორები მაღალი ტემპერატურისადმი მდგრადი აღმოჩნდნენ და RED ვირუსი მეზობელ ქალაქებშიც გავრცელდა.

ეპიდემიას მასობრივი პანიკა მოჰყვა, შეშინებული მოსახლეობა მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებს განერიდა და უსაფრთხოების მიზნით ჯუნგლებში გაიხიზნა.

გვატემალას მთავრობამ მას შემდეგ საბოლოოდ გააცნობიერა RED ვირუსიდან მომდინარე რეალური საფრთხე და დახმარების თხოვნით მოგვმართა.

CDC-მ ვირუსის სპორების შესაფერხებლად, ექსპერიმენტალური ანტიმიკოზური პრეპარატი დეიტრონიუმის ქაფი გამოიყენა, როცა დაინფიცირებული ქალაქები ქაფით დაფარეთ, ვირუსის სპორების თითქმის 80%-ი განეიტრალდა.

ეს მნიშვნელოვანი წარმატება იყო, მართალია ვირუსის გავრცელება საბოლოოდ არ შეგვიჩერებია, მაგრამ ის რომ დეიტრონიუმი სპორებს აფრენის საშუალებას არ აძლევს და მათი კუპირება საკარანტინო ზონაში ხდება, მომავლის იმედს გვისახავს.

ამჟამად ანტიდოტზე ვმუშაობთ, მართალია ხელთ მხოლოდ ვირუსის პირველადი ნიმუში და სპორები გვაქვს, მაგრამ იმუნოლოგების გვერდით დგომით, რომელსაც გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილების უფროსი დოქტორ მორეა კერი ხელმძღვანელობს, ვცდილობთ დროულად შევექმნათ ვაქცინა.

* * *

„სტელს“ ტექნოლოგიით აღჭურვილი სტრატეგიული ბომბდამმენი B-5P Lancer-prime ბე-

¹ აპოპტოზი (ძვ. ბერძნ. ἀπόπτωσις – ფოთოლცვენა) – დაპროგრამებული უჯრედული სიკვდილის რეგულირებადი პროცესი, რითიც გვერდს უვლის ანთებითი რეაქციების განვითარებას.

რის სიჩქარეზე უსწრაფესად სტრატოსფეროში მიფრინავდა.

სამხედრო პილოტი რობი დარემი სავარძელზე თავგადადებული 1970-იანი წლების ქანთრის ცნობილი შემსრულებლის ვილი ნელსონის ჰიტს *Blue Eyes Crying in the Rain* უსტვენდა, თან ცალი თვალით ავტოპილოტის შედგენილ მარშრუტს აკვირდებოდა.

სტვენა-სტვენით გახედა ვარსკვლავებით დაჭორფლილ ცას, კარგა ხანია რაც შუალამეს გადაცდა, აკვიატებული მელოდია დაუბოლოვებლად შეწყვიტა, უკმაყოფილოდ მოიქეცა თავი, ტყუილად მოუწია სტრატოსფეროში აფრენა, მისი მისია მექსიკის საჰაერო საზღვრის შეუმჩნევლად გადალახვა იყო, „პრაიმი“ მეხუთე თაობის ბომბდამშენი გახლდათ და ამის გაკეთება სტრატოსფეროში ასვლის გარეშეც შეეძლო, ხომალდი B-1 Lancer-ის მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენდა, სპეციფიკური ფორმითა და ძლიერი „სტელს“ ტექნოლოგიის წყალობით მისი დაფიქსირება თანამედროვე რადარებსაც უჭირდა, მექსიკის საჰაერო თავდაცვის მოძველებული სისტემა კი, რა თქმა უნდა, ვერაფერს „იეჭვებდა“.

თვითმფრინავი ოდნავ შეტორტმანდა. რობიმ მთქნარებით გადახედა სამართავ პულტს, ტურბულენტური დინება სუსტი იყო, ავტოპილოტიც ადვილად გაუმკლავდებოდა, ამიტომ რადარზე გამოსახულ მწვანე ზოლს მიაცქერდა, რომელიც მექსიკის საზღვარს აღნიშნავდა და ტუჩებთან მიმაგრებულ მიკროფონში ჩასძახა.

– გადასროლის წერტილამდე ოცდახუთი წუთი დარჩა.

ბომბდამშენმა თამამად დაარღვია მექსიკის საჰაერო საზღვარი და მისი ბნელი სილუეტი მტაცებელი ფრინველივით გაკრთა ღამეულ ცაზე.

რობი ძალიან კარგად იცნობდა მექსიკის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობებს, გამოფრენის წინ დანვრილებით გაეცნო ანალიტიკოსების მიერ სპეციალურად შედგენილ დოსიეს, იცოდა მათი საზენიტო დანადგარები საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.

ადრე, როცა ღამეული ფრენა უწევდა, საშიში და სიკვდილისმომტანი ხდებოდა, რადგან „პრაიმის“ ბორტზე განთავსებულ ბომბებს შეეძლოთ ყველაფერი ნაცარტუტად ექციათ, ახლა კი განსხვავებული მისია ეკისრა, ბომბების ნაცვლად ოთხი კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცი მიჰყავდა, რომლებიც სატვირთო ნაკვეთურში მოთმინებით ელოდებოდნენ დანიშნულების ადგილამდე მიფრენას.

მისი კარიერის მანძილზე ბევრ ჯარისკაცთან ჰქონია შეხება, ეს ოთხეული კი რალაც გამორჩეული ერგენა, ზედმეტ ბგერას არ გამოსცემდნენ, უტყვად ურთიერთობდნენ ერთმანეთთან, ერთი მათგანი კი ჯარისკაცსაც არ ჰგავდა, სუსტი, ფერმკრთალი და ბეჭებში მოხრილი იყო, სქელ-ლინზიან სათვალეს ატარებდა.

რობიმ ამიოხრა. რა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ ყველაფერი იმ იდუმალ ეპიდემიასთან იყო კავშირში, რომელმაც სამი თვის წინ გვატემალაში იფეთქა, მაგრამ მექსიკასთან ვერანაირად აკავშირებდა, ჯარისკაცების მისია მისთვის უცნობი გახლდათ, მისი ინფორმირებაც არავის უკისრია, რადგან მსგავს ინტრუქციებს მხოლოდ რანგით მაღალ ოფიცრებს აძლევდნენ; თუმცა, დიდად გონებასაც არ იჭყლეტდა, მისი მოვალეობა იყო შეუმჩნევლად მიეყვანა ოთხეული გადასხდომის ადგილამდე, საიდანაც სტრატოსფერული პარაშუტებით დაეშვებოდნენ.

სამართავ პულტზე აციმციმებულმა ცისფერმა ინდიკატორმა რობის ფიქრი გააწყვეტინა, ჯერ რადარს გადახედა, სადაც წითელი სამკუთხედის გვერდით მწვანე კონტურით გამოყოფილი მონაკვეთი ჩანდა, მერე შტურვალს მიუბრუნდა, ავტოპილოტი გამორთო და ოთხეულის გასაგონად მიკროფონში ჩასძახა.

– მოემზადეთ გადასროლისთვის. სავარაუდო დრო შვიდი წუთი.

* * *

მაიორ მარკ გილმორს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სწრაფი რეაგირების ჯგუფის ხელმძღვანელს, პილოტის ხმა წყვეტი-

ლად ჩაესმა, თვითმფრინავი არ გახლდათ სადესანტო მისიებისთვის განკუთვნილი, სატვირთო ნაკვეთურში ციოდა და რეაქტიული ძრავების აუტანელი ხმაური ისმოდა, სკამებიც კი არ მოეწყობოთ, ამიტომ ოთხივე პირდაპირ ალუმინის იატაკზე ისხდა.

მარკმა გვერდით მჯდომ ლეიტენანტ გარეტ ბლერს გადახედა, რომელსაც ჩაფხუტი მოეხადა და შავტუხა სახეს ისრესდა, გარეტი გამწვანებული და ხელჩართული ბრძოლის ინსტრუქტორი იყო. არც კი ახსოვს, ერთად რამდენი წარმატებული მისია ჩაატარეს, ყოველთვის უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს, ახლაც მიუხვდა გულისნადებს, თავი ოდნავ დაიქნია და დანარჩენი ორის გასაგონად ხმამაღლა შეჰყვირა.

– აღჭურვილობა შეამოწმეთ, ხუთ წუთში გადასროლის წერტილში ვიქნებით.

დღევანდელი მისია ბევრად განსხვავებულია ადრინდელებისგან, დასნებოვნებული ქალაქიდან, რომელსაც მექსიკის ნაციონალური გვარდია იცავდა, მალულად უნდა გამოეყვანათ ერთადერთი გადარჩენილი, მან რაღაც სასწაულით მომაკვდინებელ ვირუსს სძლია, თავად მისია რთული შესასრულებელი არ იყო, უარესებიც გაუკეთებია, უფრო მტრულად განწყობილ გარემოში, მაგრამ ახლანდელ მისიას უშველებელი სპეცკოსტიუმები აფერხებდა, რომელიც გადაადგილებისა და სწრაფი რეაგირების საშუალებას უქვეითებდათ.

– როგორ გესმით სერჟანტო კალდა? – ძრავების ღმუილში გარეტის ხმა ძლივს გაისმა.

სერჟანტმა როდრიგო კალდამ, რომელიც ინტერესით დასჩერებოდა მუხლებზე დადებულ ნახევრადავტომატურ შაშხანა M-39-ს, ლეიტენანტს გახედა და თავი უტყვად დაუქნია, ის ყოფილი საზღვაო ქვეითი გახლდათ, ცხს-ში ჯერ კიდევ ახალბედა იყო, თუმცა კარგად შეეწყობა სწრაფი რეაგირების ჯგუფს, მისიაში მონაწილეობა მისმა ლათინურმა წარმომავლობამ და უცხო ენების ცოდნამ განაპირობა, შესანიშნავად საუბრობდა ესპანურად და მისიის დროს შეეძლო ადგილობრივებთან კომუნიკაციით მე-

გზურის როლიც ეკისრა, თუმცა ისიც იცოდა, რომ ეპიდემიიდან გავერანებულ ქალაქში ცოცხალს ვერავის შეხვდებოდა.

– მე ჩვენს მეგობარზე უფრო ვინაღვლებდი სერ, – ხმამაღალი შეჰყვირებით უპასუხა კალდამ და განაპირობა მჯდომი მამაკაცისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც ამაოდ ცდილობდა პარაშუტის თასმის შეკრას.

– ფუ ამის დედაც... – ბილნად შეიკურთხა გარეტმა, ფეხზე წამოდგა, მამაკაცს მიუახლოვდა და ხმამაღლა მიმართა, – დასწყევლოს ეშმაკმა, რას აკეთებთ დოქტორო.

დოქტორმა მათეი სტანეკი CDC-ს წამყვანი ეპიდემიოლოგი იყო. CDC-ს დღევანდელ მისიაში მას მნიშვნელოვანი როლი ეკისრა, რაც გადარჩენილის გარე პირობებისგან იზოლირება და RED ვირუსის ახალი სპორების მოპოვება გახლდათ.

მან მოახლოებულ სპეცაგენტს უმწეოდ ახედა და ხელები უმაქნისად გაშალა.

– ჯანდაბა, ასე თუ გააგრძელებთ, სულს მიწამდე ვერ დაატანთ, – გარეტმა ხმამაღლა გაიციხა, მერე დოქტორ სტანეკს პარაშუტის თასმა შეუკრა და მისი სკაფანდრის შემოწმებას შეუდგა.

ამასობაში საბარგო ნაკვეთურის უკანა ნაწილი გაიღო, გარედან რეაქტიული ძრავების გუგუნთან ერთად ქარის სტვენის ხმაც შემოვარდა.

– მოემზადეთ, – ხმამაღლა ბრძანა მაიორმა გილმორმა.

ოთხთავე ღია ლუკთან დადგა.

გარეტ ბლერი, დოქტორ სტანეკის კომუნიკატორს ამონებდა, მერე ჩაფხუტი თავზე ჩამოიცივა და მიკროფონში ჩასძახა.

– დოქტორო, იმედია ყველაფერი გახსოვთ.

მატომ თავი თანხმობის ნიშნად დაუქნია, თუმცა, მერე მიხვდა ამ ჟესტს უშველებელი სკაფანდრის წყალობით ვერავინ დაინახავდა და აგდებული ტონით უპასუხა.

– ლეიტენანტო, მე დოქტორის ხარისხი თვრამეტი წლისამ დავიცავი, გგონიათ პარაშუტის მართვას ვერ შევძლებ?

– მაგრამ ეგ ხარისხი თასმის შეკვრაშიც ვერ გამოიყენეთ, – ირონიულად შეეპასუხა გარეტი.

როდრიგო კალდამ ხმადაბლა ჩაიხითხითა, მერე მთელი ტანით მიტრიალდა მეცნიერმუშაკისკენ და ინტერესით ჰკითხა.

– დოკ, ეს წყეული კოსტიუმები ნამდვილად დაგვიცავენ ვირუსისაგან?

– რა თქმა უნდა, სერჟანტო, – წამიც არ დაუყოვნებია ისე უპასუხა მატეომ, – ამიტომაც შეგვმოსა CDC-მა.

გარეტმა უკმაყოფილოდ გადახედა თანამებრძოლს, ენა გაანკლაპუნა და მკვახედ წარმოსთქვა.

– მაგას ხმელეთზე გავარკვევთ, – წამით გაუყრდა და გადამჭრელად დაუმატა, – მოკლედ დოქტორო, როცა გადახტებით არაფერი მოიმოქმედოთ, სენსორები საჭირო სიმაღლეზე თავად გახსნიან სტრატოსფერულ პარაშუტს, პელენგატორი კი ავტომატურად მიგიყვანთ დანიშნულების ადგილამდე. გასაგებია?!

მატეომ კვლავ თავი დაიქნია.

ამასობაში სატვირთო ნაკვეთურში წითლად მოციმციმე ნათურა აინთო, პილოტმა მიკროფონით რალაც დაიძახა, ხმაურში მისი ხმა არავის გაუგონია, თუმცა ისედაც გასაგები იყო ყველაფერი, უკვე დანიშნულების ადგილზე იმყოფებოდნენ, მაიორმა მარკ გილმორმა წამით თვალი შეავლო წითლად განათებულ სატვირთო ნაკვეთურს და კომუნიკატორში მჭახე ხმით ჩასძახა.

– მორჩით ლაქლაქს!

მერე ადგილს მოსწყდა და გაღებული ლუკიდან ქვემოთ გადაეშვა.

* * *

ქალაქ პარალში უკუნი სიბნელე გამეფებულიყო, დასნებოვნებული რაიონი იზოლირებული გახლდათ, პროტოკოლის თანახმად მექსიკის ნაციონალურ გვარდიას ელექტროენერჯიაც გაეთიშა.

მაიორმა გილმორმა ეს შესანიშნავად იცოდა, ჩაფხუტის ვიზორზე ინფრანითელი რეჟიმი გააქტიურა და მკვდარ ქალაქს თვალი მოავლო.

უკაცური ქუჩა, მდუმარე შენობები და დაბალი დეკორატიული მცენარეები მორუხო ფე-

რის ნებოვანი სუბსტანციით იყო დაფარული, ვიზორი მას მომწვანო ელფერს მატებდა, რაც ქალაქში გამეფებულ იდუმალებას ერთიორად ამძაფრებდა.

მუხლებამდე იდგა მწებავ სუბსტანციაში, არც კი ახსოვს, მერამდენედ მოინაცვლა ფეხი, დოქტორი სტანეკის მონათხრობიდან ახსოვდა, რომ ეს უცნაური სლიპინა ქაფი, რომელიც გიგანტურ მედუზასავით ჩანოლილიყო მკვდარ ქალაქში, ვირუსის გავრცელებას აფერხებდა.

გვერდით მდგომ თანამებრძოლებს გადახედა, რომლებიც არანაკლებ გაოცებულნი ათვალთვლებდნენ გარემოს, როცა სტრატოსფერული პარაშუტებით დაეშვნენ, ყველაფრისთვის მზად იყვნენ, მაგრამ თუ ქალაქი რუხი ფერის ყელეთ გავსებული დახვდებოდათ, ამას ნამდვილად არ მოელოდნენ.

შემდეგ, ერთხელ კიდევ, დაკვირვებით მოავლო მზერა ჩაბნელებულ ქუჩას, დოქტორ სტანეკის ფიგურას გახედა, რომელიც მუხლებამდე ქაფში რალაცას დაეძებდა და ლითონის მცირე კონტეინერში ათავსებდა.

დოქტორი სამოქალაქო პირი იყო, ამიტომ უხეიროდ დაეშვა, მართალია პარაშუტის GPS პელენგატორმა უშეცდომოდ მიიყვანა დანიშნულების ადგილამდე, მაგრამ რადგანაც გაუნაფავი გახლდათ, მწებავ სუბსტანციაში ჩავარდა.

– მანდ რას აკეთებთ დოქტორო? – მიკროფონში ჩასძახა მაიორმა.

ქუჩის განაპირას ჩაცუცქულმა დოქტორმა, ჩაფხუტით შეჯავშნული თავი წამოსწია.

– ქაფის ნიმუში ავიღე, – უპასუხა. მისი სიტყვები მაიორს ყურსასმენებიდან ჩაესმა, – უნდა გავარკვიო რამდენი პროცენტითაა დაფიქსირებული სპორები.

– ზედმეტად არ გაერთოთ, – კუმტად ჩაილაპარაკა მაიორმა, – ხომ იცით, აქ არალეგალურად ვიმყოფებით, არ უნდა შეგვამჩნიონ.

დოქტორმა სტანეკმა ერთხელ კიდევ ამოხედა ჯარისკაცს და ხელი დაუქნია.

– ეს რა ჯანდაბაა, დოკ, – შეწუხებული ხმით იკითხა სერჟანტმა კალდამ, ის უკვე რამდენიმე

წუთი ამაოდ ცდილობდა ჰერმეტიკული სპეცკო-სტუმიდან რუხი ყელე მოეშორებინა.

დოქტორ სტანეკმა მუშაობას თავი ანება, ფეხზე მიძიმედ წამოდგა, ხელში ჩაბლუჯული მცირე კონტეინერი საქამრეზე მიიმაგრა და ნელი ნაბიჯით მოუახლოვდა ჯარისკაცებს.

– დეიტრონიუმის ქაფია, სწორედ მისი დახმარებით ვახერხებთ ვირუსის შეკავებას.

– გასაგებია, – მოკლედ მოჭრა მაიორმა, – დოქტორს მისი საქმე აქვს, ჩვენი მისია კი ობიექტის პოვნაა, არ მოვდუნდეთ, ლეიტენანტო შენ ქალაქის ჩრდილოეთ ფრთა გამოიკვლიე, – გვერდით მდგომ გარეტ ბლერს გადახედა, – სერჟანტი სამხრეთს გამოიკვლევეს, აღმოსავლეთ-დასავლეთი კი ჩემზე იყოს.

– თანამგზავრული ფოტოების თანახმად ობიექტი ქალაქის სამხრეთში ნახეს, – თითქოს სხვათა შორის აღნიშნა ლეიტენანტმა ბლერმა.

– ძალიან კარგი, ესე იგი პირველი მას სერჟანტი გადააწყდება, – მაიორმა ავტომატური შაშხანა M-14, ხელში მოხერხებულად მოიმარჯვა და გადამწყვეტად ბრძანა, – ვმოქმედებთ მაქსიმალური სიფრთხილით, ერთმანეთს მხოლოდ სპეც სიხშირეზე ვუკავშირდებით. გასაგებია?

– დიას, სერ! – ხმაშენწყობით უპასუხეს ჯარისკაცებმა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ბრძანების შესრულებას.

ის იყო სამთავე ქალაქის სხვადასხვა ნაწილში აპირებდა გადანაწილებას, რომ იქვე მდგარი დაფეხვილი შენობიდან ჯერ ხმაური, შემდეგ კი ვილაცის გიჟური ბუტ-ბუტი გაისმა, სიბნელეს აჩრდილივით გამოეყო დეიტრონიუმის ქაფში თავიდან ბოლომდე ამოგანგლული მოხუცი ქალის სილუეტი, რომელიც ფეხათრევით გამოემართა მათკენ.

– ჯანდაბა, – ინსტიქტურად შეჰყვირა სერჟანტმა და ხელში ჩაბლუჯული ნახევრადავტომატურ შაშხანა M-39 საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა.

– სდექ სერჟანტო, – კუმტად ბრძანა მაიორმა, – მგონი ეს გახლავთ ჩვენი ობიექტი.

ამ დასკვნის გამოტანას დიდი გამჭრიახობა არ სჭირდებოდა, რადგან მომაკვდინებელი

ვირუსით დასნებოვნებულ მკვდარ ქალაქში, სხვა გადარჩენილი ფაქტობრივად არ მოიძებნებოდა.

გადარჩენილი საოცრად ფერმკრთალი ჩანდა, შიმშილისაგან ძალამილეული ძლივს მოლასლასებდა, მარჯვენა ფეხს მიძიმედ მოითრევდა და ესპანურად რალაცას ჩურჩულებდა.

დოქტორ სტანეკს უცხო ენების ათვისების ნიჭი არ გააჩნდა, თუმცა შეშლილის ჩურჩულში აშკარად გაარჩია შემდგომი სიტყვები „Y vinieron los cuatro jinetes del apocalipsis“.

– რას ამბობს სერჟანტო? – იკითხა მაიორმა.

სერჟანტი კალდა დაძაბული უსმენდა გადარჩენილის ბოდვას, მერე ხმამაღლა ამოიხრა და თქვა.

– დარწმუნებული არა ვარ სერ, მგონი რალაც ბიბლიიდანაა, აპოკალიფსის ოთხი მხედარი ვგონივართ.

* * *

ლაბორატორია – CDC-A-ს ნულოვანი იარუსი.

პოლკოვნიკი ადამ უილსონი კომპიუტერს მისჯდომოდა და გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის დოქტორ მოერა კერის ნომერ მეთათე მოხსენებას კითხულობდა.

მაიორ გილმორის წარმატებით ჩატარებულმა სპეცოპერაციამ, მოლოდინს გადააჭარბა, სწრაფი რეაგირების რაზმმა უხმაუროდ გამოიყვანა დასნებოვნებული ქალაქიდან გადარჩენილი და საზღვარი ისე გადმოკვეთა, რომ მექსიკის ნაციონალურ გვარდიას ეჭვი არაფერში შეუტანია.

მას შემდეგ ორი კვირა გავიდა, ეს მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა, რათა მომაკვდინებელ ვირუსთან ბრძოლაში აშკარა უპირატესობა მოეპოვებინათ. გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილების მუშაკებმა საცდელი ვაქცინა შექმნეს, რომლის გამოცდას ჯერ ნორვეგიულ ვირთხებზე, შემდეგ კი პრიმატებზე გეგმავდნენ.

ორი კვირაა, რაც გასაიდუმლოებულ ლაბორატორია – CDC-A-ს ნულოვანი იარუსზე მისთვის გამოყოფილ კაბინეტში ცხოვრობს, სწორედ აქ მიმდინარეობს გადამწყვეტი ბრძოლა ეპიდემი-

ასთან, თვალს ადევნებს მთელ პროცესს, გადარჩენილის ანტისხეულებიდან გამოყვანილმა დნმ-ის კოდმა, შეიძლება სრულად შეცვალოს სამყარო, ამიტომ მისი ყოფნა აქ აუცილებელია, რათა დროულად მოახდინოს რეაგირება და წარმატების ან, თუნდაც, წარუმატებლობის შემთხვევაში სამთავრობო უწყებები გააფრთხილოს.

პოლკოვნიკი სავარძლის საზურგეს გადააწვავს, დაღლილი თვალები მოხუჭა, საფეთქლები საჩვენებელი თითებით მოისრისა და გადაწყვიტა მოხსენების წაკითხვა დროებით გადაედო.

ფეხზე წამოდგა, კაბინეტში გაიარ-გამოიარა და წიგნის კარადასთან გაჩერდა, რომლის ქვედა თაროზე, ზოლიან თიხის ქოთანში, ოთახის დეკორატიული მცენარე ყვაოდა, ცოტა ხანი უმზირა მის გრძელ, იატაკამდე დაშვებულ ფოთლებს, მერე მოტრიალდა და გაგულისებულმა გულიანად შეიკურთხა.

მას შემდეგ რაც ეპიდემიამ იფეთქა, ნორმალურ ცხოვრებას დაემშვიდობა, დღე-ღამეში მხოლოდ სამი საათი სძინავს, მუდმივ სტრესსა და დაძაბულობას, საყვარელი ხალხის სიშორეც დაემატა, უკვე სამი თვეა ცოლ-შვილი არ უნახავს, ზოგჯერ თუ დაეკონტაქტება ტელეფონით და მაშინაც ცოტას საუბრობს.

პოლკოვნიკმა უილსონმა ხმამაღლა ამოიოხრა, ასეთია სამხედრო მოსამსახურის ცხოვრება, დღეს აქ ხარ, ხვალ კი არავინ იცის, სად იქნები.

სამუშაო მაგიდიდან ტელეფონი აიღო, ანთებულ მონიტორზე გამოსახულ ლამაზი ქერა ქალისა და ორი თმახუჭუჭა ჭაბუკის ფოტოს დააცქერდა, მერე ცერა თითით მიეფერა სამთავეს, ასე თითქოს მოისიყვარულა ოჯახი, მაგრამ რომ არ ეყო, გადარეკვა დააპირა, ნომერიც კი აკრიბა, მხოლოდ ბოლოს იაზრა – უკვე შუალამე იყო, განზილებულმა ტელეფონი მაგიდაზე დადო და ერთხელ კიდევ შეიკურთხა.

პერსონალურ კომპიუტერზე ვიდეოშეტყობინების აღმნიშვნელი სიმბოლო აციმციმდა, პოლკოვნიკი მონიტორს მიუჯდა, სენსორულ პანელს ხელი გადაუსვა და შეტყობინება გახსნა.

ეკრანზე დოქტორ მოერა კერის შავტუხა სახე გამოისახა, გენეტიკისა და იმუნოლოგიის

განყოფილებიდან უკავშირდებოდა, მკვეთრად ჩანდა მის ზურგსუკან მოფუსფუსე ლაბორანტები, რომლებიც სპეციალურ ტრენაჟორებში ჩასმულ პრიმატებს თავს დასტრიალებდნენ.

– მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, ადამ, კარგი იქნება თუ ახლავე ჩამოხვალ ქვედა იარუსზე, რატომღაც არ მინდა კიდევ ერთი მოხსენება გამოგიგზავნო და ამ მიღწევამ ტრაფარეტული სახე მიიღოს, – ქალმა ჩანთილებული თვალები მოისრისა, მერე ოდნავ გაიღიმა და დაუმატა, – იქნებ კაფეტერიაშიც შეიარაო და ჩიზბურგერი წამოიყოლო, შიმშილით ვკვდები, გასვლის დრო კი ნამდვილად არა მაქვს.

შეტყობინება დასრულდა, პოლკოვნიკმა თავისთვის ჩაიცინა. ის CDC-ს ხელმძღვანელი გახლდათ, ორი ათასი სამხედრო და ორი ათასი სამოქალაქო პირი ექვემდებარებოდა, პირდაპირი კავშირი ჰქონდა სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკებთან, პრეზიდენტის აპარატში კი თავს შინაურად გრძნობდა, ისეთ სახელმწიფო საიდუმლოებებზე მიუწვდებოდა ხელი, რაც სხვებს არც დაესიზმრებოდათ, ყველგან პატივს სცემდნენ და მოკრძალებით ექცეოდნენ.

თუ სხვები „სერ“-ით მიმართავდნენ, მოერა კერი ყოველგვარ იერარქიას უგულველყოფდა და შენობით ესაუბრებოდა, პოლკოვნიკი არ ბრაზდებოდა, მოერა სამოქალაქო პირი იყო, თუმცა მათი ურთიერთობა უფრო შორს მიდიოდა ვიდრე უბრალო თანამშრომლობა, ბავშვობიდან მეგობრობდნენ.

პოლკოვნიკი სავარძლიდან წამოდგა. პიჯაკის საყელო შეისწორა, ქვედა იარუსებზე სტერილური გარემო იყო შექმნილი, იქ მოსახვედრად დეზინფექციის საკმაოდ დამქანცველი პროცედურა უნდა გაეწყო, მის საყვარელ პიჯაკსაც გამოემშვიდობებოდა.

პიჯაკი გაიხადა, საკიდეზე ჩამოკიდა, მერე კედელზე მიმონტაჟებულ კომუტატორის სენსორულ პანელს ხელი გადაუსვა და მიკროფონში ჩასძახა.

– სადებიზინფექციო კამერა მოამზადეთ, გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილებაში ჩავდივარ.

* * *

დოქტორ მოერა კერი ელექტრონული მიკროსკოპით ახლახან სინთეზირებულ შტამის ქცევას აკვირდებოდა, მონიტორზე მცირე „ბატალია“ გამართულიყო, ანტისხეულები, ქაოსურად ესხმოდნენ თავს ვირუსებს.

მათ პირობითად „ანტირედ-12“ უწოდეს, რადგან დანარჩენ ანტისხეულებს შორის რიგით მეთორმეტე იყო, რომელმაც დადებითი შედეგი მოიტანა.

ეკრანზე გამოსახულმა უფერულმა პლაზმამ კონუსის ფორმის ვირუსი ჩაყლაპა, ირგვლივ შემოეკრო, კაპსიდი თანდათან გასქელდა და ვირუსი თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა.

– ეს შტამი უფრო ეფექტურია, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა კადენ ჰილმა, მერე მონიტორს თვალი მოარიდა, ხელში ჩაბლუჯულ ტელეფონს დახედა და დამარცვლით დაუმატა, – შვიდ წამში გააუვნელებო ვირუსი.

მოერა კერი მიღწეული შედეგით კმაყოფილი იყო, „ანტირედ-12“ წინამორბედებს მთელი თავით სჯობდა და ყველაზე უკეთესი ვარიანტი გახლდათ ვაქცინის შესაქმნელად.

ქალმა შუბლი მოისრისა, ფეხზე წამოდგა, გამჭვირვალე ტიხარს მიადგა, რომელიც გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილებას ორ ნაწილად ჰყოფდა, ტიხრის მიღმა თანამედროვე ლაბორატორია მოეწყო, თეთრ სკაფანდრებში გამოწყობილი ლაბორანტები, ტრენაჟორებში ჩამაგრებულ, ვირუსით დასნებოვნებულ პრიმატებს საცდელ ვაქცინას უშხაპუნებდნენ, ცხოველები ჩხოდნენ, იგრიხებოდნენ, თუმცა „ანტირედ-12“-ის ახალი შტამი მათ სიცოცხლეს უნარჩუნებდათ.

– კიდევ კარგი, დროულად აღმოვაჩინეთ ეპიდემიას გადარჩენილი მოხუცი, – ისე ჩაილაპარაკა ქალმა, რომ მომუშავე პერსონალისთვის თვალი არ მოუშორებია.

კადენ ჰილმა უტყვად დაუქნია თავი, მერე ტელეფონი თეთრი ხალათის ჯიბეში ჩაიცურა და ინტერესით იკითხა.

– როგორ არის?

– კიდევ სუსტადაა, დოქტორი ბერტი ცდილობს ისევ დამამშვიდებლების ზემოქმედების ქვეშ ჰყავდეს, – მოერამ მხრები აიჩეჩა, – სწრაფი რეაგირების ჯგუფს, რომ არ მიესწრო, გაუნყლიანებით ან სისხლის ინფექციით დაილუპებოდა.

– და ყველაფერს ვირუსს დააბრალებდნენ, – ქალის აზრი დაასრულა კადენმა.

მოულოდნელად კარი გაიღო, გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილებაში პოლკოვნიკი ადამ უილსონი შემოვიდა, თეთრი, სტერილური კომბინიზონი ეცვა, ხელში ორი მუყაოს პაკეტი ეჭირა.

– მოერა, მიხარია შენი ნახვა, – ღიმილით ჩაილაპარაკა და პაკეტები კუთხეში მიდგმულ მაგიდაზე დადო, – შეპირებული ჩისბურგერები მოგიტანე.

– რა საყვარელი ხარ, – დოქტორ კერის შავგვრემანი სახე ოდნავ წამოუნითლდა, – მგელივით მშია, – ღიმილით თქვა და ერთი პაკეტი გახსნა.

პოლკოვნიკმა მინით გატიხრულ ლაბორატორიაში მოფუსფუსე ლაბორანტებს თვალი შეავლო, კედელთან ატუზულ კადენ ჰილს თავი დაუკრა და იკითხა.

– ახალი შტამია?

– კი, რიგით მეთორმეტე, – ძლივს ჩაიჩიფჩიფა ჩისბურგერით პირგამოტენილმა მოერამ, მერე ხელსახოცით ტუჩები მოიწმინდა და კადენი პოლკოვნიკს წარუდგინა, – ადამ, ეს დოქტორ კადენ ჰილია მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

ადამ უილსონმა კიდევ ერთხელ დაუკრა თავი.

– მერედა, რით არის სხვებისგან გამორჩეული მეთორმეტე შტამი? – იკითხა და გამჭვირვალე ტიხარს ლამის სახით აეკრო.

– ბევრად ეფექტურია, ვირუსს შვიდ წამში ჰკლავს. ვფიქრობ, ყველაზე საუკეთესოა ვაქცინის შესაქმნელად, – მოერამ მეორე ჩისბურგერს შემოაცალა მუყაო, – ასე რომ, ვფიქრობ, დროა მოხალისეებზე დავიწყობთ გამოცდას.

– გასაგებია, – პოლკოვნიკმა თვალელები მოჭუტა, – მაგ თემას მალე მოვაგვარებ, პრეზიდენტის აპარატს საქმის კურსში ჩავაყენებ და

რამდენიმე დღეში შეძლებთ მოხალისეებთან მუშაობას შეუდგეთ.

– ძალიან კარგი, – მოერამ კმაყოფილმა წარმოსთქვა, მერე ცარიელი პაკეტები ნაგვის ურნაში ჩააგდო და დაუმატა, – თუმცა, მთავარი, რისთვისაც დაგიბარე, ჯერ არ მითქვამს. ეს დოქტორ ჰილის მოსაზრებაა, სწორედ მისი ვერსიის გათავისებისა და პრაქტიკაში გამოყენების შემდეგ მივიღეთ ასეთი მდგრადი და ეფექტური შტამი.

– ჰმ, საინტერესოა, – ადამ უილსონმა შუბლ-მოჭმუხნულმა გახედა კადენ ჰილს, შემდეგ მბრუნავლერძიან სავარძელში ჩაეშვა და გადამწყვეტი ტონით თქვა, – გისმენთ.

კადენმა უხერხულად მოინაცვლა ფეხი, ჩაახველა და დინჯად წარმოთქვა.

– როცა გადარჩენილი პაციენტის სისხლს ვიკვლევდი, სწორედ მაშინ აღმოვაჩინე, რომ ისიც დაავადებული იყო.

პოლკოვნიკმა მხრები აიჩეჩა.

– ეგ ბუნებრივია, – თქვა მან, – ობიექტი დაავადებულია, სწორედ ამიტომაც გამოიმუშავა მისმა ორგანიზმმა ანტისხეულები, რადგან სხვებისგან განსხვავებული და ძლიერი იმუნური სისტემა ჰქონდა.

– საქმეც მაგაშია, პათივცემულო, – შეეკამათა კადენი, – გადარჩენილს არ ჰქონდა ძლიერი იმუნიტეტი, პირიქით, ის საშუალო ადამიანზე ბევრად სუსტად იყო, – მან გაუპარსავ სახეზე ხელი ჩამოისვა, – როცა სწრაფი რეაგირების ჯგუფმა გადარჩენილი დასნებოვნებულ ქალაქში იპოვა, მას ანორექსია და გაუნყლიანება ტანჯავდა, მარჯვენა ფეხი დაზიანებოდა და მედიკოსები დროზე, რომ არ ჩარეულიყვნენ სეფსისი განუვითარდებოდა.

– ვერ გავიგე, რის თქმას აპირებ, – თავი გადაიქნია პოლკოვნიკმა.

– კადენი ცდილობს შენი ყურადღება გადარჩენილის ჯანმრთელობაზე გაამახვილოს, – საუბარში მოერა ჩაერთო, – მისი თქმით, გადარჩენილი ისეთ სავალალო მდგომარეობაში იყო, რომ წესით ვირუსს ადგილზევე უნდა მოეკლა, მაგრამ რატომღაც დაავადებას სძლია.

– უცნაურია, – თავისთვის ჩაილაპარაკა უილსონმა, მერე ფეხზე წამოდგა, ოთახში გაიარა-გამოიარა და დაეჭვებულმა იკითხა, – მაშ, რას მივანეროთ ეს მოვლენა? ჯერ-ჯერობით, მოხუცი ერთადერთია, ვინც მომაკვდინებელ ვირუსს გადაურჩა?

ოთახში სიჩუმე ჩამონვა, ყველა პოლკოვნიკის შეკითხვას აანალიზებდა, შემდეგ კადენმა რიხიანად ჩაახველა და უბრალოდ თქვა.

– ევოლუციას.

ადამ უილსონი ერთ ადგილზე გაშეშდა, მის წინ მდგომ სწავლულებს მიაჩერდა, გამჭოლად უმზირა ორთავეს, მერე კი მომთხოვნი ტონით უთხრა.

– ახლავე დამისაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

კადენმა ხელები გულზე დაიკრიფა და ისე წარმოსთქვა, თითქოსდა სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებას კითხულობს.

– არსებობს მოსაზრება, რომ კაცობრიობის ევოლუციაში მნიშვნელოვანი როლი ვირუსებმა ითამაშეს, სწორედ ვირუსების დახმარებით შეძლო მაიმუნმა, ჯერ პიტეკანტროპამდე, შემდეგ კი კრომანონელამდე განვითარება.

– ეგ ფსევდომოსაზრებაა, – ჯმუხად გააპროტესტა პოლკოვნიკმა.

– რა თქმა უნდა, ეგ მეც ვიცი, – დაეთანხმა კადენი, – რადგან ამ მოსაზრების მეცნიერულად დასაბუთება შეუძლებელია.

– ხოდა, ფსევდომეცნიერებების მოშველიებით ფონს ვერ გავალთ.

– მაგრამ, ადამ, სწორედ მას შემდეგ მივიღეთ ის შედეგი, რაც კადენმა ჩვენი ყურადღება უცხო ვირუსის არსებობაზე გაამახვილა, – თქვა მოერამ.

პოლკოვნიკი დაფიქრდა, გამომცდელად მიაცქერდა ბავშვობის მეგობარს და ჭმუნვით იკითხა.

– რომელი უცხო ვირუსი გაქვს მხედველობაში?

– მაგ საკითხში კადენი უფრო კომპეტენტურია.

– როცა გადარჩენილის დნმ-ის, სისხლისა და კანის ნიმუშებს ვიკვლევდი, უცხო ვირუსი აღმოვაჩინე, რომლითაც მოხუცი იყო ინფიცირ-

ებული, – კადენი წამით დადუმდა, მისი სიტყვებიდან გამონვეულ რეაქციას დაელოდა.

პოლკოვნიკმა ცალი წარბი იჭვნეულად ანია.

– კიდევ ერთი ვირუსი?

– დიახ, კიდევ ერთი უცხო ვირუსი, – ხელმძღვანელის შეკითხვა დააკონკრეტა კადენმა, – მას პირობითად AntiRED hunter-ი ვუნოდე, ბუნებით RED ვირუსის ანტაგონისტია, როგორც კი ვირუსები ერთ გარემოში აღმოჩნდებიან, AntiRED-ი მას თავს ესხმის და გენეტიკური კოდის გადანერით დაპროგრამებულ აპოპტოზს იწვევს.

– ესე იგი, RED ვირუსის ბუნებრივი მტერია?

– ასე გამოდის, – თავი დაიქნია კადენმა, – ფაქტობრივად ბუნებრივი ანტიდოტია, რომელსაც გადარჩენილი ქალბატონის დაუძღურებული ორგანიზმი რატომღაც არ შეენინაალმდეგა, პირიქით, შეეგუა და მისი დახმარებით სძლია RED ვირუსს.

– როცა კადენმა ეს სიახლე გვაუწყა, – საუბარი მოერამ განაგრძო, – ჩვენ ამოდ ვმუშაობდით ანტიდოტის შექმნაზე, გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილებაში ვაქცინის ათობით ნიმუში გვქონდა და ყველა მათგანი არაეფექტური იყო, ამიტომ ახალი საცდელი შტამი უცხო ვირუსიდან შევქმენით, მან კი ოცდაათს საათში გაანეიტრალა RED ვირუსი.

– ეს ახალი ვაქცინაც, უცხო ვირუსიდან მიიღეთ?

– დიახ.

– მაგრამ საიდან გაჩნდა ახალი ვირუსი? – იკითხა პოლკოვნიკმა.

– ვირუსის წარმომავლობა გაურკვეველია, – კადენმა მხრები აიჩეჩა.

მის სიტყვებს ყველა დუმლით შეხვდა – ადამ უილსონი სავარძლის მბრუნავ ღერძს ჩაფიქრებული არწევდა, დოქტორ მოერა კერი სათვალის სქელ ლინზას წმენდდა და კოლეგასკენ მალულად აპარებდა მზერას, კადენ ჰილი ლაბორატორიის გამჭვირვალე ტიხართან დასჯილი ბავშვივით ატუხულიყო, შემდეგ მიხვდა პაუზა ზომაზე მეტი მოუვიდა, ერთი გულიანად ამოიოხრა და თავის კანტუნით განაგრძო.

– ჩემი აზრით, გადარჩენილი მოხუცი ევოლუციის შემდგომი საფეხურია, – წითური წვერით გაბურძგნულ ნიკაპზე ხელი ჩამოისვა და დამარცვლით დაუმატა, – ბუნება ზრუნავს კაცობრიობის განვითარებისთვის, ააქტიურებს თავდაცვით უნარს, რომელიც ყოველი ადამიანის გენოტიპშია ჩაშენებული. ვინ იცის, იქნებ მისმა ორგანიზმმა თავად გამოიმუშავა ანტაგონისტური ვირუსი?

– თქვენი მოსაზრება არარეალური მეჩვენება, – ადამ უილსონმა თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პოლკოვნიკს თვალელებში მიაჩერდა და ჯიუტად გაიმეორა:

– ვფიქრობ AntiRED hunter-ი ეპიდემიის დამარცხების ერთადერთი გზაა.

– საინტერესო თეორიაა, – ჭმუნვით ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა, – ესე იგი, შენ ფიქრობ, უცნობი ვირუსი, რომელიც მკვლელი ვირუსის ანტაგონისტია და არავინ იცის საიდან გაჩნდა, სინამდვილეში ეპიდემიის დამარცხებასთან ერთად, კაცობრიობას ევლუციისა და ბიოლოგიურად სრულყოფის შანსს აძლევს? – კითხვით აღსავსე თვალელებით ახედა კადენ ჰილს.

სწავლულმა ხელები მოწყალედ გაშალა და ალაღად მიუგო.

– შეიძლება ჩემი მოსაზრება სიგიჟედ მოგეჩვენოთ, მაგრამ ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც თავად ჩამოაყალიბეთ, მოხუცი ქალბატონი, ევოლუციის შემდგომი საფეხურია, რომელსაც ადვილად შეუძლია RED ვირუსით დასნებოვნებულ გარემოში არსებობა, დარწმუნებული ვარ, ის ერთადერთი არ იქნება, აუცილებლად იარსებებენ მსგავსი ანტაგონისტური ვირუსის მატარებელი ადამიანები, ამიტომ ეს შანსი, რომელიც ბუნებამ შემოგვთავაზა, ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

ადამ უილსონი დუმდა, ინტერესით მისჩერებოდა თეთრ, დაჭმუჭნულ ხალათში გამონყობილ მამაკაცს, რომელსაც უძილობიდან დაწითლებული თვალეები და რამდენიმე დღის გაუპარსავი წითური წვერი ჰქონდა, მერე რალაც

გადაწყვეტილება მიიღო და თავდაჯერებულმა ჩაილაპარაკა.

– რატომღაც ყოველთვის მეგონა, რომ ადამიანის ევოლუციური განვითარება ახალ ინდიგო ან ნეირა თაობებში იჩენდა თავს, – სავარძლიდან ზღაზვნით წამოდგა, ბავშვობის მეგობრისკენ მიტრიალდა და ინტერესით ჰკითხა, – მოერა, შენც იზიარებ დოქტორ ჰილის თეორიას?

ქალმა თავი ენერგიულად დაუქნია და განაპირა მდგომ კოლეგას გვერდით ამოუდგა.

– ძალიან კარგი, – ადამ უილსონმა მუჭში ჩაახველა, როცა ქვედა იარუსზე ჩამოდიოდა, არ მოელოდა თუ ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდებოდა, ორი კომპეტენტური სწავლული, რომელსაც CDC ბრმად ენდობოდა, აბსურდულ თემაზე მსჯელობდნენ.

– ძალიან კარგი, – გაიმეორა მან, გამომცდელად მოავლო ოთახში მყოფთ თვალი და ოფიციალური ტონით თქვა, – მოერა, კიდევ ერთი მოხსენების მომზადება მოგიწევს, დღესვე გამომიგზავნე, რომ ხვალისთვის პრეზიდენტის აპარატს წარვუდგინო და ვაქცინის გამოსაცდელად საჭირო თადარიგი დავიჭიროთ.

პოლკოვნიკი რამდენიმე წამი სწავლულების სახეებს აკვირდებოდა, მერე თავი ოდნავ შესამჩნევად დაიქნია და გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილებიდან გავიდა.

* * *

„ანტირედ-12“, ეფექტური ვაქცინა RED ვირუსის წინააღმდეგ. სინთეზირების მოკლე აღწერა, მოქმედების მექანიზმი და გვერდითი მოვლენები: – CDC-ს გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის დოქტორ მოერა კერის №22 მოხსენება.

„ანტირედ-12“ RED ტიპის ვირუსის ანტაგონისტური ვირუსიდან მიიღეს, რომლითაც მექსიკის მოქალაქე, 59 წლის ქალბატონი ჰესუსა ნეგერო გახლდათ დასნებოვნებული.

ვირუსს სპირალისებური ფორმა აქვს, მყარი ცილოვანი კაპსიდიტაა დაფარული, RED ვირუსთან შედარებით პატარაა, თუმცა ბევრად გამძლეა და ურთიერთშერწყმისას დაპროგრამებული აპოპტოზით მისი გაუვნებელყოფა შეუძლია.

დოქტორ კადენ ჰილმა, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ვირუსი ახალ კატეგორიას მიაკუთვნა, რომელსაც პირობითად – AntiRED hunter-ი უწოდა.

შტამის სინთეზირება, ლაბორატორია CDC-A-ს, ქვედა იარუსზე, გენეტიკისა და იმუნოლოგიის განყოფილებაში მოხდა: – გადარჩენილის სისხლი ცენტრიფუგაში ლიმფოციტებად და თრომბოციტებად დაიყო, პლაზმის უჯრედებში ვირუსის ანტიგენის სინთეზის შემდეგ, ანტიგენის კომპლექსისგან ანტისხეულების იზოლირება გახდა საჭირო, რაც რამდენიმე ეტაპს მოიცავდა:

1. სპეციფიკური ნალექის მიღება.
2. შრატის დანარჩენი კომპონენტებისგან გარეცხვა.
3. ნალექის დისოციაცია.
4. ანტისხეულების გამოყოფა ანტიგენიდან.

„ანტირედ-12“-ი 7 წამში აუვნებელყოფს RED ვირუსს, ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ საცდელი ვაქცინის შეყვანის შემდეგ დასნებოვნებული მოხალისე რამდენიმე საათში განიკურნა.

მოხალისეებზე ოცდაათ დღიანი დაკვირვების შემდეგ ვაქცინის უკუჩვენება შემჩნეული არაა, გვერდითი მოვლენები თითქმის არ აღინიშნება, თუ მხედველობაში ძილიანობას არ მივიღებთ.

„ანტირედ-12“-ის ადამიანებზე გამოცდა უკვე ერთი თვეა მიმდინარეობს, ამ ხნის განმავლობაში ასამდე მოხალისემ მიიღო ექსპერიმენტში მონაწილეობა, მათგან ერთი ნახევარი ჯერ RED ვირუსით დაასნებოვნეს და მერე აცრეს, მეორე ნახევარი კი ვაქცინის შემდეგ განათავსეს დასნებოვნებულ გარემოში.

ორივე შემთხვევაში შედეგი 100%-ით დადებითია, ყველა მოხალისე გამოჯანმრთელდა და ორგანიზმში შეყვანილმა AntiRED hunter-ის ვირუსის ანტისხეულებმა RED ვირუსის წინააღმდეგ მძლავრი იმუნიტეტი გამოიმუშავა.

დასკვნა:

„ანტირედ-12“ ეპიდემიის დამარცხების რეალური გზაა, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია დაუყოვნებლივ შევუდგეთ მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაციას.

* * *

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ მიერ RED ვირუსის ლოკალიზება და მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაცია – მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება, თუ მოსახლეობის მასობრივი კონტროლირების ახალი ხერხი? – The New York Times-ის რეპორტიორ-ანალიტიკოსის როულანდ დაუმანის სტატია.

„უკვე ნახევარი წელია კაცობრიობამ ახალი ვირუსის არსებობის შესახებ შეიტყო, მასთან პირველადი შეხება ამერიკის შეერთებული შტატების „დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრს“ ჰქონდა.

სპეციალისტებმა ვირუსის კუპირება ერთ-ერთი ექსპერიმენტალური პრეპარატით მოახერხეს.

ეპიდემიის აფეთქების თავდაპირველი კერა გვატემალა გახლდათ, შემდეგ იყო მექსიკა, მაგრამ CDC-ს დროულმა ჩარევამ, ვირუსის გავრცელება შეაფერხა.

კაცობრიობა ახალი საფრთხის წინაშე დგას, RED ვირუსი ბოთლში გამომწყვდეული ბოროტი სულივითაა, თუ გარეთ გამოაღწევს, დედამიწის მთელ მოსახლეობას უმოკლეს დროში დაავადებს.

მასთან თანაცხოვრება კი რთული იქნება.

როგორც CDC-ს მთავარი ეპიდემიოლოგ-ვირუსოლოგი დოქტორ მერიემ ბაკერი ამბობს, RED ვირუსი აქამდე უცნობი ჰაერსპოროვანი გზით ვრცელდება, რაც ვირუსოლოგიაში დამკვიდრებულ პრევენციის ყოველ ღონისძიებას ადვილად უგულველყოფს.

თუ KOVID-19-ის დროს, ეფექტური იყო: – კარანტინი, საზღვრების ჩაკეტვა, ჰერმეტიკული რესპირატორები ან ძლიერი ანტისეპტიკები, RED ვირუსის შემთხვევაში ზემოთაღნიშნული საშუალებები არ გაამართლებს.

CDC-ს სპეციალისტები თვლიან, დროული ჩარევის გარეშე, უკონტროლოდ დატოვებულ RED ვირუსს კაცობრიობის ისტორიაში ინფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ექნება.

უკვე რამდენიმე თვეა CDC-ს ლაბორატორიები ვაქცინაზე მუშაობენ, რომელიც RED ვირუსის

ანტიგონისტიდან AntiRED hunter-ის ვირუსის ანტისხეულებიდან შექმნეს.

ვაქცინამ წარმატებით გაიარა საფეხუროვანი გამოცდა და მისი ეფექტურობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალური კომისიის მიერაა დამოწმებული.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაციის თაღრიგს იჭერს, გაფრთხილებულია ყოველი სამედიცინო დაწესებულება, მობილიზებულია სპეციალური ბრიგადები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დროულად მიიტანენ ვაქცინას.

მსხვილმა ფარმაცევტულმა კომპანიებმა ერთმანეთს შორის აშკარა „ბატალია“ გამართეს, რათა „ანტირედ-12“-ის მასობრივ წარმოებაზე უფლება მოეპოვებინათ.

ასობით ფარმაცევტულ კომპანიას შორის „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ“ მხოლოდ ათი მსხვილი კომპანია შეარჩია, რომლებიც ახლო მომავალში შეუდგებიან ვაქცინის დამზადებას.

ხალხი ვაქცინას მითითურ, უებარ წამალს „პანაცეას“ ადარებს, რომელიც თითქოს ყოველგვარ სნეულებას შველის, მაგრამ რეალურად არავის უნახავს. ასეთი ირონიის მიზეზი აშკარაა, უბრალო მოსახლეობა „გაერო“-ს არ ენდობა.

კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ ვაქცინას მასების გასაკონტროლებლად შექმნილ, სამედიცინო ნანო-ჩიპების ინპლანტირებისთვის გამოიყენებენ.

ჩვენი ერთ-ერთი რესპოდენტი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ მოისურვა, საიდუმლო ექსპერიმენტებზე ჰყვება, რომელსაც „გაეროს“ ზედამხედველობით მსოფლიო წამყვანი ლაბორატორიები აწარმოებენ.

ვაქცინაციასა და საიდუმლო ექსპერიმენტების შესახებ ვესაუბრეთ ფლორიან სალის – „გაეროს“ წარმომადგენელს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასა და CDC-ში:

რ.დ. – როგორც ამბობენ, პანდემიასთან ბრძოლას „გაერო“ უდგას სათავეში, ხომ ვერ მეტყვით, რომელ ფაზაშია ვაქცინაცია?

ფ.ს. – უკვე ფინალისკენ მივინევთ, რაც მთავარია, მოსამზადებელი სამუშაოები დავასრულეთ და ვაქცინის მასობრივ წარმოებას ვინწყებთ.

რ.დ. – მოსახლეობის უმეტესობას პანდემიის არ სჯერა, ამბობენ რომ ხელისუფლების მორიგი ხრიკია, თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

ფ.ს. – ეს შეკითხვა იმ ნახევარ მილიონ ადამიანს დაუსვით, ვინც ვირუსს ემსხვერპლა. რადგანაც დედამიწის მოსახლეობის უმეტესს ნაწილს პანდემია არ შეხებია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვირუსი არ არსებობს.

რ.დ. – ფიქრობთ, რომ პრევენციამ გაამართლა?

ფ.ს. – რა თქმა უნდა, გაამართლა, ყველაფერს CDC-ს ვირუსოლოგებსა და იმუნოლოგებს უნდა ვუმაღლოდეთ, ისინი დროულად რომ არ ჩარეულიყვნენ დედამიწა უპატრონო საფლავეების კერად გადაიქცეოდა.

რ.დ. – საიდუმლო ექსპერიმენტებზე რას გვეტყვით?

ფ.ს. – აბსურდულ რალაცას მეკითხებით, არანაირი საიდუმლო ექსპერიმენტები არ არსებობს.

რ.დ. – საზოგადოება სხვაგვარად ფიქრობს, საუბრობენ მასობრივი კონტროლის იარაღზე, რომლის ამოქმედებას საყოველთაო ვაქცინაციის გზით აპირებთ.

ფ.ს. – რომელ მასობრივი კონტროლის იარაღზე საუბრობთ, იქნებ მითხრათ, ვერ წარმიდგენთ როგორ დაგვეხმარება ეგ იარაღი, კონფლიქტურ ზონებში მშვიდობის დასამყარებლად.

რ.დ. – მე სამედიცინო ნანო-ჩიპები მაქვს მხედველობაში, რომელთა ინპლანტირებას ვაქცინაციის დროს გეგმავთ.

ფ.ს. – სამედიცინო ნანო-ჩიპები ადამიანის ორგანიზმის პასიური მონიტორინგისთვისაა გათვლილი, მას მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი შეუძლია.

რ.დ. – ფსიქოკონტროლზე რას იტყვით, შეუძლია ნანო-ჩიპს ადამიანის ნების გაკონტროლება?

ფ.ს. – მსგავსი რამ მხოლოდ ფანტასტიკურ რომანებშია შესაძლებელი, ნანო-ჩიპი ორგანი-

ზმში მიმდინარე ცვლილებებს აფიქსირებს და მხოლოდ ინფორმაციის გადამცემის როლი აკისრია.

რ.დ. – როგორც ვიცი, ის GPS-ტრეკერიცაა.

ფ.ს. – GPS-ტრეკერი ყოველი მოქალაქის მობილური ტელეფონიცაა, საათიც, საკრედიტო ბარათიც, თქვენ წარმიდგინეთ პირადობის დამადასტურებელი მონმობაც კი.

რ.დ. – ესე იგი, თქვენ არ უარყოფთ, რომ ვაქცინასთან ერთად ნანო-ჩიპების ინპლანტირება იგეგმება?

ფ.ს. – მართალი გითხრათ, მაგ საკითხზე იყო მსჯელობა, თუმცა საბოლოოდ არ ჩამოვეყალიბებულვართ.

რ.დ. – რატომ?

ფ.ს. – საერთოდ, ადამიანს სიახლის მიმართ შიში აქვს, ნანო-ჩიპების ყოველდღიურობაში ინტეგრირება კი, რა თქმა უნდა, დიდ ვნებათა ღელვას გამოიწვევს, ამიტომ უნებართვოდ, როგორც თქვენ ამბობთ, ფარულად, მათ ინპლანტირებას არ ვაპირებთ.

რ.დ. – როგორ ფიქრობთ, დღევანდელ რეალობას ესაჭიროება ნანო-ჩიპები?

ფ.ს. – კაცობრიობა დღითიდღე ვითარდება, პროგრესი აშკარად სახეზეა, მართალია, ახლა იოლად გავდივართ ნანო-ჩიპების გარეშე, მაგრამ სამომავლოდ მათ აუცილებლობას ვერ გავექცევით, უმთავრესი რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, მოსახლეობის გამარტივებული იდენტიფიკაციაა, დანაშაულის პრევენციის ეფექტური შესაძლებლობა მოგვეცემა, ნანო-ჩიპებით ადვილად დაადგენ პიროვნებას, GPS-ტრეკერი კი დამნაშავეს არ მისცემს გაუჩინარების საშუალებას.

რ.დ. – გასაგებია. მაგრამ რას შემატებს ნანო-ჩიპი ჩვეულებრივ მოსახლეობას?

ფ.ს. – ბევრად გაიოლდებოდა ცხოვრება, აღარ იქნება საჭირო ექიმთან ყოველწლიური ვიზიტი, მობილური კავშირი, საბანკო მომსახურება და კიდევ მრავალი რამ. ახლა ყველას ვერ ჩამოვთვლი.

რ.დ. – მაგრამ დაირღვევა ადამიანის პირადი სივრცე, სპეციალურ ორგანოებს მუდმივად

ეცოდინება ამა თუ იმ პიროვნების ადგილსამყოფელი და მათი ინტიმური ცხოვრება.

ფ.ს. – როგორც ადრე მოგახსენეთ, სპეციალურმა ორგანოებმა ახლაც იცის მათთვის საინტერესო პიროვნების ინტიმური ცხოვრება, დღევანდელ დროში სირთულეს არ წარმოადგენს მოსმენა და თვალ-თვალი, ასე რომ, ნანო-ჩიპებით არაფერი არ იცვლება.

რ.დ. – ძალიან კარგი, გასაგებია თქვენი პოზიცია, მადლობა ინტერვიუსთვის.

ფ.ს. – მადლობა თქვენ. ბოლოს მინდა საზოგადოებას მივმართო, გაგებით მოეკიდონ ჩვენს ინიციატივას და ხელი არ შეუშალონ საყოველთაო ვაქცინაციას, ჩვენთვის ყოველი ადამიანის სიცოცხლე ფასდაუდებელია.

რა შედეგებს მოგვიტანს საყოველთაო ვაქცინაცია? ეს მხოლოდ დროის საკითხია. თუმცა აქვე თავს იჩენს მეორე კითხვა, რის მიღწევას ცდილობს „გაერო“? რა შედის მათ ინტერესებში? – მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება, თუ მოსახლეობის მასობრივი კონტროლირება?

ამის გადანყვეტა თქვენთვის მოგვიჩინა“.

* * *

გვატემალა. ვულკანი დე აგუა.

2044 წელი.

არდონ რეიესი ვულკანის ფერდობზე იდგა და ბინდ-ბუნდ შეპარულ ჯუნგლებს გადაჰყურებდა.

ჟინჟულავდა, შორს ამატიტლანის მკრთალი, უმოძრაო სილუეტი მოჩანდა, ნისლი მახრჩობელა გველივით შემოხვეოდა ქალაქს, თითქოსდა ის არ კმარა რაც მკვლელმა ვირუსმა უყო და ახლა მის გაგუდვას ლამობსო.

ერთი წლის წინ, როცა ამატიტლანი უცნობმა მომაკვდინებელმა ვირუსმა მოიცვა, არდონმა სწორედ მაშინ გადანყვეტა ცოლ-შვილთან ერთად ქალაქგარეთ ერთკვირიანი ლაშქრობა მოეწყო.

სულზე გამოასწრეს სიკვდილს, მზაკვარმა ვირუსმა მისი მშობლიური ქალაქი ერთ დღეში მკვდრების სამყოფელად გადააქცია.

ეპიდემიის შესახებ პირველად მისმა მეუღლემ რაისამ შეიტყო, სალამოვდებოდა, დე აგუას განაპირას უშველებელ კოცონს შემოსხდომოდნენ, არდონი ბიჭებს საშიშ ისტორიებს უყვებოდა, კარავის ღია კალთასთან წამოწოლილი რაისა კი, როგორც ყოველთვის, პერსონალური პლანშეტით ახალ ამბებს ეცნობოდა.

მისმა შეშინებულმა შეკვივლებამ ყველაფერი შეცვალა, როცა სტატია ერთად გადაიკითხეს, მხოლოდ მერე მიაქციეს ყურადღება ყრუდ მოგუგუნე ხმას, ქალაქისკენ მიმავალ დაგრეხილ გზატკეცილზე სამხედრო ავტომობილების კოლონა მიჰქროდა, სიბნელეში ოდნავ ბუუტავდა მათი გაბარიტული, წითელი შუქფარები.

არდონი მიხვდა, სასწაულმა გადაარჩინა და იმ დღის შემდეგ გამუდმებით სწირავდა უფალს მადლობას.

ეპიდემიამ სამყარო შეცვალა, შეიცვალა ადამიანები, გაჩნდა ახალი ფასეულობები, ის რაც ადრე ჩვეულებრივობა იყო, ახლა საფრთხილო და სასიკვდილო გახდა.

ეს ერთი წელი ყველაზე რთული იყო მისი ოჯახისთვის, ხალხმრავალ ქალაქებს ერიდებოდნენ, აქ 3000 მეტრის სიმაღლეზე, ვირუსით დასნებოვნების შანსი ნაკლები იყო, არდონიც ცდილობდა არ დაეტოვებინა ვულკანი.

ეპიდემიის აფეთქების ერთი კვირის თავზე არდონმა ვულკანის მარჯვენა ფერდზე გაშენებულ მცირე ტურისტულ დაბაში პნევმატური შაშხანა, აირწინალები და დიდი ოდენობით დაკონსერვებული პროდუქტი შეიძინა.

ეს იყო მისი ერთადერთი კონტაქტი უცხო ადამიანებთან, გზად კიდევ ბევრი ლტოლვილი ხვდებოდა, რომლებიც ეპიდემიას ჯუნგლებში ემალებოდნენ, თუმცა არდონი ცდილობდა მისი ოჯახი მაქსიმალურად მორიდებოდა მათ.

როცა უსაფრთხოების ყველა ზომა მიიღო, ცოლ-შვილთან ერთად კვლავ დე აქუას ფერდობს აუყვა და მიტოვებულ, ნახევრად დანგრეულ ტურისტულ ქოხში დასახლდა.

ამატიტლანში არდონ რეიესი სუვენირების გამყიდველად მუშაობდა, ამიტომ კომფორტულ

ცხოვრებას მიჩვეული თავიდან ვერ შეეგუა პირველყოფილ ყოფას. თუმცა მოგვიანებით მისმა წარმომავლობამ მაინც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი.

არდონის წინაპრები მოსახლეობის იმ მცირე ნაწილს განეკუთვნებოდნენ, რომელსაც ადგილობრივები „უჩეროს“ ეძახდა, რაც სიტყვასიტყვით – არმადილოს ხალხს ნიშნავდა, შავი არქეოლოგები და კონტრაბანდისტები იყვნენ, მთელი დღე ჯუნგლებში დაეხეტებოდნენ და უძველეს არტეფაქტებს დაეძებდნენ.

არდონიც ამ ერთ წელში პროფესიონალი კონტრაბანდისტით გაიწავა, მოხერხებულად დაძვრებოდა ჯუნგლებში, დასახლებულ პუნქტებსა და სხვა ლტოლვილების თავშეყრის ადგილებს ერიდებოდა.

ტურისტულ დაბაში შექმნილი პროდუქტი მხოლოდ ერთი თვე ეყოთ, სანოვაცის ხელმეორედ შევსება არც უფიქრია, რადგან დასახლებული პუნქტები სასონარკვეთილი მოსახლეობით იყო სავსე და დასნებოვნების რისკიც მატულობდა.

ნადირობა ისწავლა, შვილებიც ეხმარებოდნენ, ერთად მოხერხებულად ჩაუსაფრდებოდნენ ხოლმე ნადირს და განდეგილებივით ცხოვრობდნენ ჯუნგლებში.

ეპიდემიის დასრულებას ელოდებოდნენ.

ახლა მისი ყურადღება ვერტმფრენის შორეულმა ხმამ მიიპყრო, ამიტომ ტურისტული ქოხი მიატოვა და ვულკანის წვერისკენ შეუყვია ფერდობს.

რამდენიმე ვერტმფრენი დინჯად გადაევილო თავზე, მარაოსებურად გადანანილდნენ და რალაცეები გადმოყარეს, არდონს პირველად ელდა ეცა, ეგონა ვირუსის გამო ხელისუფლებამ ამპტიტლანის შემოგარენის დაბომბვა განიზრახაო, მაგრამ როცა გაშლილი პარაშუტები დაინახა, მიხვდა რაშიც იყო საქმე.

საყოველთაო ვაქცინაციამ გვატემალამდეც მოაღწია, მეუღლესთან ერთად სისტემატურად უსმენდა ადგილობრივ რადიოსიხშირეს და იცოდა „გაეროსა“ და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანი-

ზაციის მიერ შექმნილმა ვაქცინამ, რომელსაც ხალხი „პანაცეას“ ეძახდა, ფაქტობრივად დაამარცხა ვირუსი.

ცოტა ხანი დოინჯემოყრილი იდგა, ვერტმფრენებს თვალს არ აშორებდა, მართალია აქედან შეუძლებელი იყო მათი იდენტიფიცირება, მაგრამ დარწმუნებული იყო ყოველი ხომალდის კაპინას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ემბლემა – დედამინის ფონზე დაგრეხილი გველი ექნებოდა მიხატული.

დაფიქრებულმა მოიკვნიტა ტუჩი, ბეჭზე გადაკიდებული პნევმატური შაშხანა შეისწორა, აირწინალის ფილტრი შეამოწმა და მძიმე ნაბიჯით შეუყვია აღმართს.

ორი ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, რომ უკნიდან შარი-შური და ხმადაბალი ქოშინი მოესმა, მიტრიალდა, ფერდობზე რაისა ამოდიოდა, ეტყობოდა ჩქარობდა, აირწინალის ფილტრიც კი არ ჰქონდა ნორმალურად მორგებული.

არდონი პირველად გაბრაზდა, ეს ერთი წელი მათი ოჯახის პირველი და უმთავრესი წესი გამართული აირწინალის მოხმარება იყო, მაგრამ არაფერი უთქვამს, უტყვად მიაჩერდა მეუღლეს.

ქალი მის წინ შედგა, ცოტა ხნით სული მოითქვა და ხმამალა თქვა.

– რადიოში გადმოსცეს, გვატემალაში საყოველთაო ვაქცინაციას იწყებენ, ჯერ ტყეში გახიზნული ადგილობრივებისთვის სურსათ-სანოვაცეს, მედიკამენტებს და ამუნიციას ჩამოყრიანო.

– ვიცი, ძვირფასო, – მოკლედ უთხრა არდონმა და ხელი ჰაერში მოფარფატე პარაშუტებისკენ გაიქნია.

რაისამ ხმამალა მოგრუხუნე ვერტმფრენებს თვალი გააყოლა, რომლებმაც რწევით ჩაუფრინეს ვულკანს და ამპტიტლანისკენ გასწიეს.

– ქვემოთ ჩასვლა მოგვინევს? – შიშნარევი ტონით იკითხა ქალმა.

არდონმა თავი დაუქნია.

– ეპიდემია დასრულდა ძვირფასო, – საზეიმოდ წარმოსთქვა, სახიდან აირწინალი მოიძრო და შორს მოისროლა.



როინ აბუსადიძე

სატრფიალო ლირიკა

* * *

ხავსმოკიდებული სიმღერა გამახსენდა,
შენს ეზოს რომ ჩავუარე ამ დილით,
ახლა მომავალი აბსურდია, არ არსებობს,
მხოლოდ წარსულია ნამდვილი.
მაღალი შენობები, გალავნები, სახლები,
საიდან მოისხით სეზონებო?
იცი, შენს ბავშვობას, მუხლებგადაყვლეფილს,
კვლავ ვეძებ, სიყვარულო, ეზო-ეზო.
ჩამქრალი კოცონები, ბებერი მეგობრები,
მხვდებიან ამ ქუჩაზე მალი-მალ,
ვიღაცას უსათუოდ პოეტი ვეგონები,
ახლა იმნაირად მთვრალი ვარ...
და ყურში ზარივით მიწკრიალებს
ათობით
ლექსი და განცდა და მუსიკა,
ნეტავ ვის სარეცელს იყოფ და ათობ და
ვის აკვანს არწევ და უზიხარ?!
ის სიტკბოგასული სიტყვები მომყვებიან
გულის გალენილი ფიცარიც,
შენთან, შენთან მომაქვს, ლოთს და ბოჰემიანს.
ვაი თუ, ვაი თუ ვერ მიცანი.
როგორ მიყურებდი ფანჯრიდან, გამახსენდა,
წვიმები რომ წვიმდნენ წყვეტილად,
ცამდე მენატრები თვალებლამაზებავ,
ღმერთივით სანდოვ და კეთილო.

გავივლი ამ ქუჩებს, ამ სახლებს, ამ აღმართებს,
 დავიპნევი იდუმალ ზრახვებად,
 და ერთხელ, ამ ერთხელაც უშენოდ დავალამებ
 და ძილში წყევლასავით ჩამყვება:
 „მივდიოდით მხარდამხარ
 და დრო გვეუარესა,
 ან არ ვიცი სადა ხარ
 და რომელსა მხარესა“.

* * *

სხვა რა მოგიყვე? სხვას ვერაფერს ველარ მოყვები,
 იანვრის ამინდს მოუხურავს თოვლის ფარაჯა,
 გავსცქერით ვარსკვლავს ღამღამობით როგორც მოგვები
 და რახანია ჩვენს ზეცაზე ქრისტე არა ჩანს
 და ეს მაფიქრებს, მაგონდება განვლილი წლები,
 სანამდის ღამე ერთად ყოფნის წუთებს გატიხრავს,
 მერე კი ლექსი არ მასვენებს როცა შენ წვები,
 თვალებს ხუჭავ და ოთახიდან ძილში გადიხარ.

პირველი მხსვედრა

წვიმის ქალაქში იმ დღესაც
 წვიმდა,
 ინუნებოდნენ
 მაგნოლიები,
 შენი ჩურჩული ჟრუანტელს
 მგვრიდა
 და ათას რამეს
 გაყოლიებდი.
 ნუთუ ცხოვრება მართლა
 ბედია,
 და ყველაფერი მაღლა
 განსაჯეს?!
 ერთ ზღვაში ორჯერ აღარ
 შედიან,
 მე შენს ღელვაში მოვხვდი
 ათასჯერ...
 წვიმის ქალაქში იმ დღესაც
 წვიმდა

და გზები იყო
 გადაკვეთილი
 და რალაც მიძიმე, უცხო და
 წმინდა
 შემოდოდა ჩვენში
 ღმერთივით...
 მერე კი ყველა ნერვი
 დატბორა,
 დაუკავშირა გრძნობა
 განვლილ წლებს
 და როგორც კარგი წიგნის
 ავტორმა,
 დაფნის გვირგვინზე ფიქრი
 დავინყე,
 თუმც კაცი თურმე მაშინ
 ეცემა,
 როცა იმედი თითქოს
 გამაგრებს,
 ჯერ შენ და მერე ჩემმა
 ლექსებმა,
 ტერენტისავით ჯვარზე
 გამაკრეს!
 ბათუმს მოედო წვიმის
 არშია,
 წვიმდა უმიზნოდ, უხმოდ,
 სიბეცით
 და როგორც იმ ძველ
 სიმღერაშია,
 თითქოს ჩვენც წვიმად
 გადავიქეცით.

წასვლა

იყავი მარტო, შენზე მარტო, იმის უფლებით,
 რომ ირგვლივ ყველა დასაშვები ჩქამი განაბე,
 უცქერდი ზეცას და თვალებში გედგა ღრუბლები,
 ფანტელები კი ფანჯრის მიღმა თოვდნენ არაფერს...
 ყოველ ნაფეხურს თოვლი დილით ისევ ავსებდა,
 შუალამისას ერწყმებოდა მინა პულაგონს,
 შენ გადაღლილი სახე გქონდა იმ დღეს სავსებით
 და თაროებზე გამოვლილი წლები გელაგა.

ჩანდი ასეთი, უყველაფრო, თუმცა არ ჩანდა
 ასეთ ამინდში საცნაური შენი ბუნება,
 იყავი მარტო, შენზე მარტო, ვერც კი ამჩნევდი,
 ტელეფონი რომ რეკავდა და აკაკუნებდნენ,
 მე დაგეძებდი მარტოობის ცისფერ ტაძართან,
 შენი თითები ლიცლიცებდნენ როგორც სანთლები,
 ჩვენ კი ერთხელ და სამუდამოდ აღარ დაგვცალდა,
 ვყოფილიყავით ერთმანეთთან ისე მართლები, –
 როგორც ის ღამე, ის ზამთარი იყო სეზონთან,
 მას შემდეგ ბევრი უიმედო წელი დავთვალე,
 დაღამდა, თოვლმა ჩაირბინა მთელი ეზო და
 ვერაფრით ველარ დაენია შენს მკრთალ ნაკვალევს...

* * *

დრო აცოტავებს ცრემლებში
 მარილს,
 თუმც ვეფინები წარსულს
 ქათიბად,
 ჩემი ეზოდან წამოვა
 ქარი
 და შენს ბალებში ვარდებს
 გათიბავს.

თვალს გავუსწორებ ტაძარში
 ხატებს,
 იქაც შემოვა ცივი
 ქარის ხმა
 და შენი შავი საყურის
 ნატეხს
 მაჯაზე, როგორც დანას
 დავისვამ.

მე დავიცლები სევდით და
 სისხლით
 და შენში ყველა წყენა
 მოკვდება,
 ცისფერი ცისკენ ცხელ მზერას
 ისვრი
 და შეეცდები მზის
 ჩამოგდებას...

და მოგიკვდები ასე
 სანატრელს,
 აენტებიან როცა
 ატმები,
 ჩამქრალ ბუხართან ვნებებს
 აანთებ
 და ჩემი ლექსის ცეცხლით
 გათბები...

დრო აცოტავებს ცრემლებში
 მარილს,
 თუმც ვეფინები წარსულს
 ქათიბად,
 ჩემი ეზოდან წამოვა
 ქარი
 და შენს ბალებში ვარდებს
 გათიბავს.

* * *

მე ისევ გეტყვი ვნებით გადაღლილს,
 შენი ხმა ჩემს სულს რაგვარად კანრავს,
 როცა საწოლზე ნაწნავს გადაყრი,
 მაგ თბილ სახესთან მოსასვლელ ბანარს...
 და შევიყვარებ რაც გარშემოა,
 დამეფინება შენი სველი თმა
 და მაგ უმანკო ძილში შემოვალ,
 სიზმრის პატარა შესასვლელიდან...

* * *

„ქალი ან უნდა გააღმერთო, ან – მიატოვო“
 რემარკი

ეჭვის ჩიტები რომ აკენკავენ მოლოდინს,
 შენს ძებნას შლეგივით რომ დავინყებ,
 რომ გადამენურება იმედი
 ბოლომდის,
 წლები რომ დალენავენ ლავინებს –
 ისეთი გულწრფელი სიყვარულით

ავენთები,
 ისეთი გაგიჟებით გინატრებ,
 ჭურვივით დასკდებიან ფიქრისას
 საფეთქლები
 და მხოლოდ ლექსებში ვიბინადრებ...
 გავიხსენებ იმ გრძნობებს, იმ ღამეს,
 შენობას,
 სევდამ რომ მონატრებით შენიღბა
 და ტანში ძვირფასი ტკივილივით შემოვა –
 შენი სუნი, შენი გემო, შენი ხმა.
 პასუხი გაეცემა ყველა ჭორს,
 ყველა კითხვას,
 სალამო დაეშვება აფრებად,
 შენ მკერდზე თავს დამადებ,
 მე ლექსებს ნაგიკითხავ
 და ოთახს მოუნდება გაფრენა...
 ფილმებში ვიცხოვრებთ, მუქ ზეცას გადავღებავთ,
 შეივსება სიცოცხლის სარჩევიც
 და როგორც საყვედური და როგორც ქადაგება,
 ერთმანეთში იმგვარად დავრჩებით.
 ახლა კი ვფიქრობ და ის აზრი მათროლოებს,
 ამდენ ხანს შენზე რომ ვერ ვწერდი,
 მე ვერც გაგალმერთე და ვერც მიგატოვე,
 მე ვერ მოვახერხე ვერც ერთი!..

* * *

აღარ ირეკლავენ თვალები
 ვარსკვლავებს,
 და თითქოს ლექსებიც
 მარტივი ზმნებია.
 აღარც ის ქალები არ მესიზმრებიან, –
 ცეცხლს რომ მინთებდნენ და
 გზებს რომ მინასკვავდნენ...
 აწი რა იქნება?
 ან აწი რა მელის?
 ორი ნატყვიარი, ეს ორი ნახვრეტი,
 მუდამ თავს მახსენებს
 და რაც შენ ნახვედი,
 ღამეებს აღარ აქვთ გემო
 კარამელის.

ქუჩები ნვიმებით შეივერცხლებიან,
 ცრემლი შეერევა გამომშრალ
 სტრიქონებს,
 ჩემს ცაზე რომ ფრენენ –
 შენი მერცხლებია,
 თბილი ქვეყნები რომ ვერაფრით
 იპოვნეს...
 და ველარაფერი ჰფანტავს აგონიას,
 ერთი სევდიანი ბიჭის და
 პოეტის
 და ჩვენი ვნებების
 ფანტასმაგორია,
 ფანტასმაგორიად დარჩება
 ყოველთვის!...

პიშტა

ვიგონებ წარსულს და იმ დამეს როცა იტირე,
 ვიგონებ დღეებს, ერთიანად რთულსა და ირიბს,
 რომ ენთებოდა შენს სახეზე ცხელი სიფითრე
 და სულ სხვაგვარი სევდა ახლდა კოცონთან ტირილს.
 გათბა ძარღვებში მარცვალ-მარცვალ სიტყვა და მადლი,
 სულ რაღაც ორი ამოსუნთქვა დარჩა ღმერთამდე,
 შენი თვალები იმ კოცონთან მოჰგავდნენ სანთლებს
 და ჩემს წინაშე – ჯვარზე გაკრულ ქრისტეს ღვენთავდნენ.
 ითოვა დილით, საოცარი თოვით ითოვა,
 ჩვენი ეჭვები განშორების სურვილს მიჯერდა,
 გარეთ კი იდგა ვერცხლისფერი უამინდობა
 და ჩანდა წყვილი – ფანტელებს რომ პირით იჭერდა.

* * *

რომ აგედევნება ქარი,
 გეგმებს ჩამომარცვლავ მომავლის,
 შემდეგ განშორების მარილს,
 გულზე მეთათსედ
 მომაცრი...
 მიტოვებული და
 დაღლილი,
 ველარ მოვიშუშებ დამღებს,

კუდში გამოგყვები ძალღივით
და ძველ სიყვარულზე
დავყეფ.
მერე,
გამჭორავენ ქილიკით,
თუმც კვლავ იყვავილებს ბზა.
ჩემო საცალფეხო
ბილიკო,
ჩემო ტაძრისაკენ გზავ...

* * *

ცივი სანოლი, სამოვარი, ძველი მრიცხველი,
აკვარიუმი, კენტი თევზი, – ცისფერლაყურა.
მე მაგ თვალების უფსკრულებში გადავიმსხვრევი,
თუ არ დახუჭავ.
გახსოვს თამაში? რომ ვუძლებდით თვალის ხამხამებს,
ოთახიდან რომ მივფრინავდით ფიქრის ჩემოდნით,
რომ მოვდიოდი შენს ხელებთან, თმებთან, ღამ-ღამე,
და ვთენდებოდით...
მე მომენატრა წვიმისფერი შენი თითებიც,
სანთლებივით რომ ლიცლიცებდნენ უნინ ხატებთან,
რას ვიფიქრებდი, – სამუდამო ცეცხლს თუ მინთებდი,
მაშინ არ მწვავდა, გზას მინათებდა.
ახლა, თუ ხედავ, ჩემს სიზმრებში როგორ შემოდის, –
მოგონებები, ტკივილები, ბოლო ღამიდან?
შენ, ჩაიფიქრე, – სამუდამოდ რომ გყვარებოდი...
და... მე ამიხდა...

* * *

დგას ზამთრის საღამო თოვაში
ქვითხუროდ,
ტოტებჩამოყრილი და მყიფე
ერთთავად,
ხოლო მე ბრაილის შრიფტით
ვკითხულობ,
შენს სხეულს, როდესაც ცივა და
ერთად ვართ.
გარეთ კი ხეები წაქცევას შიშობენ,

ქარი ქრის,
 ქარი ქრის,
 ქარი ქრის,
 კაპასი
 და მინდა ეს თოვლი
 შევწირო ღვთისმშობელს,
 შენსავით თეთრი და
 შენსავით ლამაზი.

ჩვენი სინდრომი

ან ეს ქუჩები, ეს წვიმები, რაგვარად ვიმტრო,
 რახან აგვიხდა წლექიანი ქალაქის წყევლა...
 ეს სიყვარული მე მაგონებს
 სტოკჰოლმის სინდრომს,
 თუმცა ორთავე აგვიყვანა ბუნებამ მძევლად.
 ახლაც ავად ვარ, ისევ მხუთავს შენი ოზონი
 და შენი კანი, – პოეზიის ცხელი ეტრატი,
 ჟრჟოლით მახსენებს იმ დროს როცა არამოზომილ
 ალერსს და სიტყვებს ერთმანეთის
 ყურთან ვხეთქავდით.
 მხოლოდ სიზმრები, ზმანებები, ძველი კადრები
 დამაქვს საგზლად და ცრემლით ვავსებ
 სულის სამოვარს,
 ერთ დღესაც შენში სიყვარულის ქარი ჩადგება
 და ჩემს ლექსებში მონატრების წვიმა წამოვა,
 მაგრამ მანამდე, ისევ გკითხავ, –
 რაგვარად ვიმტრო,
 ჩვენი წარსული, შეჩვეული სუსხი დაისის?
 ეს სიყვარული ძალიან ჰგავს
 სტოკჰოლმის სინდრომს,
 სადაც მე მძევლად დავრჩები და
 შენ თავს დაიხსნი.



ბანრიცა ქუთათიძე

სიკლიდან: რეკვიემი დევენილთათვის

* * *

ამოდი მზეო
ამოდი მზეო, ამონათე,
ხედავ, უშენოდ რა ცივი დღეა,
უფერული და სხივებჩამქრალი;
ნაღველს ნაღველზე ართავს ამინდი,
ღრუბლებს საავდროდ შეუკრავთ პირი,
კოკისპირულად,
გადაუღებლად ალბათ ინვიმებს;
ბრაზობს ბუნება – გამწყრალა ჩვენზე,
ასეა, ასე, ასე იგრძნობა...
არ ჩანხარ მზეო,
ჩემო ოქროსთვალეა ღმერთო,
უზეშთაესო და სიცოცხლის წყაროვ,
ჩემო მეგობარო და დიდო მეუფევე,
რად გამინაწყენდი,
მე ხომ შენზე ვლოცულობდი
ჟამსა წარმართობისას;
ახლაც ვილოცებ,
განა ნაკლებად წარმართული დროა,
მამონა კერპად ვაქციეთ,
ერთმანეთი შევიძულეთ,
ვირტუალურ რეალობაში ვცხოვრობთ –
და გვემუქრება გაუცხოების სინდრომი.
ეჰ, ძნელია ამის შეგუება,
არ მიგვატოვო,

არ დატოვო ცის კაბადონი,
 გამონათე ძველებურად
 და ჩაჰბერე სიცოცხლეს სული,
 თორემ ხომ ხედავ,
 აღარც ბულბული გვიგალობს,
 აღარც მერცხლების ისმის ჭიკჭიკი.
 შაშვი კი, შაშვი,
 შემალულა კიპარისებში და გალურსულა...
 არადა, როგორ ლალობდნენ უნინ;
 ხომ გახსოვს, მათი ჟღერტული ლექსად რომ გარდავთქვი,
 რა კეთილი იყო ის დღე!
 ახლა კი, ახლა,
 გარინდულა ირგვლივ ყოველი!
 ყვავილები კი, ყვავილები –
 შენი მარადი მოტრფიალენი
 დარდობენ ძლიერ –
 მზე სად დაიკარგაო,
 ვაითუ დასრულდეს სუფევა ჩვენი.
 მისმინე მნათობო,
 უშენოდ ვინ თქვა სიცოცხლე ჩვენი,
 ამოდი, გელით!

* * *

ბიბლიური სახით რომ დააბიჯებს დედამინაზე,
 ალბათ, გეცნობათ...
 დიახ, აქ, თქვენს გვერდით,
 თქვენთან, სადაც ხართ...
 ის გესალმება,
 გილიმის კიდეც,
 გსტუმრობს კიდეც,
 სტუმრადაც გინვეს,
 როცა გჭირდება, გზასაც გასწავლის...
 საკუთარ დარდს გულდაგულ მალავს,
 არც ტკივილს იმჩნევს,
 არც იმას ამხელს, შიშს რომ უფრთხის,
 შიშს, რომელსაც წამალივით განვდიან,
 შიში, რომელიც ხან ძლიერდება,
 ხანაც ნელდება და კითხვებად ლაგდება:
 – ეს კორონავირუსი ბუნებრივია თუ ხელოვნური?
 – იქნებ, ეს გამაფრთხილებელი სიგნალია სამყაროდან?

– იქნებ, სულაც მოდელირებული ქრონიკაა?
 – კი მაგრამ, ვინაა პროგრამისტი,
 ვინ ზეობს აქ, ამ კაცთა შორის,
 როდის დაიწყო ჩვენი კირთება?
 იქნებ მაშინ, როცა არ შევისმინეთ
 უფლის ხმა,
 ქრისტე ჯვარზე ვაცვით,
 კიდევ რამდენი გავწირეთ,
 სიბრძნისა და სიმართლის მაძიებელი,
 ცოდნის გამავრცელებელი,
 სიყვარულის მქადაგებელი...
 უბედურება კოსმოსიდან კი არა,
 მიწიდან დაგვატყდა თავს –
 ჰიბრიდულ ომში ვართ ჩართული,
 კაცთმოძულე მუტანტები გვიტევენ,
 საცაა გადაგვყლაპავენ...
 ნუთუ ვერა გრძნობთ,
 როგორ იმცრევა სინათლის ხაზი,
 პარალიზდება გონება,
 ქვეითდება განწყობა
 და თუ გონს არ მოვეგეთ,
 მწვანე შუქი აგვენთება მიუსავლეთში...
 ეს ასპერგერის სინდრომიანო,
 სახეზეა განვითარების დარღვევა.
 გამოსავალი?
 კრიზისიანო, გაიჭედა მთელი დედამიწა,
 უნდა გადავტვირთოთო –
 ბრძანეს საჭისმპყრობელებმა.
 – კი ბატონო, გადატვირთეთ,
 ჩვენც გადავტვირთავთ ჩვენს ცნობიერებას,
 ვნახოთ, თუ არ ვაჯობებთ თქვენს პროგრამას,
 თქვენს პროგრამისტებს –
 უსაზღვროდ გამდიდრებულებს და გაბატონებულებს...
 ირწმუნეთ ხალხო, ირწმუნეთ,
 თქვენი რწმენისამებრ მოგეგებათ თქვენ!

* * *

დიდი ხანია ჩაიარა ჩემმა მატარებელმა,
 ფეხით მივუყვები გზას ქალაქისკენ.
 აგერ ზღვაც მოჩანს...
 გადაუფრინეს ზღვას თოლიებმა

ხავილ-ხავილით.
 ეს ხმა მაშინებს...
 ქუჩებს აწყდება მათი გუნდი,
 ფრთა დაღლიათ ქარიშხალს გამოქცეულებს...
 ვაი, ამ ფრთონას თუ გადავურჩით.
 ტაძრის გზას ვეძებ,
 ძლივს მივაგენი,
 აგერ ტაძარიც.
 მრევლი არსად ჩანს,
 ხატი უსანთლოდ შენუხებულა და თითქოს ტირის...
 ჩიტი კი, ჩიტი, ფრთამალი ჩიტი,
 მოფრენილი უცხო ქვეყნიდან,
 აქ, ეკლესიის ეზოში,
 ხიდან ხეზე დაფრინავს ლალად
 და როგორც ჩვენში ჩვევიათ,
 რახან უცხოა, მოსწონთ გალობა მისი.
 მე კი ყველას მირჩევნია ბელურა –
 ჩემი აივნის სტუმარი ჩიტი.
 მერე რაა, რომ პატარაა და ნაცრისფერი,
 სამაგიეროდ, ხმა აქვს ნრფელი,
 ის ამ ზამთარშიც არ მიმატოვებს.

* * *

გამოვექეცი სხეულს და სახელს
 და უსხეულო სული ვარ ახლა
 ცას შეყუჟული...
 არც საყდრის ჩიტად ვინდომე ყოფნა
 და არც მინდორში გაშლილ ყვავილად
 (ბავშვობაში, ჰო, ჩიტობა მსურდა
 და კიდევ რამდენი რამ მსურდა...)
 ნისლის კაბაში მოცეკვავე
 ვგავდი მთვარეულს
 და ამ ფერხულში შემომალამდა...
 ქრისტე არ ჩანდა
 (რას დაინახავ, თუ თვალები ჩაგიქრო წყენამ);
 მერე კი ჟამმა უჟამომ
 არ დაინდო ანარეკლი ჩემი სახისა,
 ჩამოაჭვნო და ჩამოახმო პოეტის ფრთები,
 ოცნების ბოლო საკინძეც ჩაკეტა

და შემატოვა ავდარს და ქარებს...
 ქარი კი, ქარი, როგორც როკაპი,
 ღრიალებს, წივის, რომ ველარ მხედავს...
 კიდევ კარგი, უსხეულო სული ვარ-მეთქი,
 გავიფიქრე და კიდევ გათენდა...
 თუმცა ჩემთვის აღარც დილაა და აღარც საღამო,
 გაქრა დრო-ჟამი,
 წყალმა ნაილო ყველა ოცნება.
 გარდავა ჟამი და ისევ მოვალ.

* * *

როცა ზღვა ღელავს,
 დიდმა ტალღებმა გადმოხეთქოს თუნდაც ჯებირი,
 არ მეშინია;
 მე ზღვის სიმშვიდე უფრო მაშინებს.

* * *

სამყარო მთელი – უსასრულო, ამოუხსნელი,
 კითხვებს ბადებდა და ახლაც ბადებს;
 ლამობთ ამოხსნას?
 ამაოდ დაშვრებით...
 ვერ შეიცნობთ ამ საიდუმლოს,
 ვერ ამოხსნით ვერც ერთი ფორმულით,
 ეს საიდუმლო შეიცნობა ღვთიურ წყალობით –
 როცა შეიგრძნობ მთელ ბუნებას,
 განიცდი და შეენივებები.

* * *

შენი დუმილი?
 საოცარი შენი დუმილი...
 ასე მგონია ღვთაებას ვხედავ...
 ვგრძნობ, ჩემი „მე“ როგორ შეგერწყა
 და მე ახლა ამ სმენით ვხედავ...
 გხედავ ყველგან, მინაზე, ცაში,
 როს ჩამონვება დიდი სიჩუმე,
 ვუერთდები და ვილევნი მასში.

* * *

წყლის ძალა არ მაქვს,
 არც არასოდეს არ მინატრია,
 არც წყლის ღვინოდ გადაქცევა მსურს;
 წყალწლებულს კი არა ერთხელ შევშველებივარ,
 წყალს რომ ნაყავენ, აი, იმ ხალხის
 მიკვირდა უნინ და ახლაც მიკვირს.

* * *

გამომეცხადა გზაგასაყარზე აჩრდილივით
 მომავლის წიგნი,
 ასე მგონია, ზღაპარში ვარ,
 რა აღარ ხდება...
 ცაში დაქრიან დროის მანქანები
 და მათ მართავენ ერთი შეხედვით,
 ჩვეულებრივი ადამიანები;
 ვისაც სად სურს, იქ მიემგზავრება:
 ზოგი წარსულში,
 ზოგი მომავალში.
 ერთი ცნობილი პერსონა ნონ-გრატა
 სხვა გალაქტიკაში მიქრის;
 მარსიდან კი საცაა გვეწვევიან
 მასკის შთამომავლები –
 მექანიკური გულითა და დაპროგრამებული ტვინით.
 ეს ყველაფერი მაფრთხობს, მაშინებს,
 თვალებს ძლივს ვახელ,
 ვხედავ წიგნს – გადაშლილს 33-ე გვერდზე,
 სანიშნედ ახლავს ვაზის გამხმარი ფოთოლი...
 ეს წიგნი ჯერ არავის ნაუკითხავს,
 სულ ახლახან დანერა იგი ერთმა მწერალმა,
 ყველა ამოსუნთქვისას ფერს რომ იცვლის,
 საუბრობს ისე, როგორც მოგვი
 და წერს როგორც განდობილი...
 დროის ხმა მესმის
 აზვირთებული ხმების ძახილით,
 გვიახლოვდება მომავალი და წარსულიც გვიახლოვდება.
 მე რა ვქნა, სად წავიდე?
 წარსულში თუ მომავალში?

იქნებ, ანდრომედადან ხომალდს დაველოდო?
– სჯობს საკუთარი სპეცმავალი იყიდო,
მიიღო კოდი და თავისუფლად იმგზავრო
გინდა ხმელეთზე,
გინდა ცაში,
თუ გინდა ზღვაში,
არ გირჩევნია? – ჭკუას მარიგებს ერთი ნაცნობი.
რა გინდა უთხრა,
რას შემომიჩადა,
როგორ მომრავლდნენ ჭკუის მასწავლებლები.
მე ჩემი გზა მაქვს და ჩემი კოდი –
ყოველ დილით დავაბიჯებ ცვრიან ბალახზე
და ვკითხულობ სტროფებს რუსთაველისას.
ლამით კი, ლამით
ყურს ვუგდებ ფოთლების შრიალს,
წყლის დგაფუნს,
ჭრიჭინობლების მისტიკურ ძახილს
მღერის ბუნება,
ეს კოსმიური მუსიკაა,
ვინაც შეიგრძნობს და გაითავისებს,
დროის სამანსაც გადააბიჯებს.



სანდრო ბერიძე

წიგნიდან: „პრეფექტობის აზღარბული წელიწადი“

ბათუმში მივდივარ. წინა დღით დამირეკეს, მინისტრთა საბჭოში თათბირია სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებით და ჩამოდიო. ჯერ კიდევ დილაა, მშვენიერი აპრილის დილა. თუმცაღა, რაღა დილაა, თერთმეტი საათია დაწყებული. ქედის ცენტრს რომ გამოვცდით, ავტოკოლონას წამოვევნიეთ. მძღოლს, ზაურ აბაშიძეს ვეკითხები, რა ამბავია, რა ხდება, საით მიემგზავრება ეს ხალხი, მოხდა რამე, ნეტა მშვიდობაა-მეთქი? ზემო რაიონებიდან მომავალი, ოცამდე „გაზ-57“ მარკის სამხედრო ნომრიანი ავტომანქანების ძარები გავსებულია ხალხით. ჩვეულებრივი სოფლელი გლეხებია, ყაყანებენ, იგინებია, ზოგი მღერის, ზოგი ხარხარებს... ერთი სიტყვით, მგზავრთა ქცევებიდან გამომდინარე, გართობის განწყობა უფრო სუფევს, ვიდრე ცუდ საქმეზე მიმავლებისა. ფიქრში გადავარდნილს ზაური მეუბნება: ეს ხალხი, მგონი მიტინგზე მიდის ბათუმში, ჩემმა ახლობლებმა მითხრეს, ასლან აბაშიძე მიტინგს ატარებს, თურმე პრეფექტების დახმარებით აჭარის ავტონომიას აუქმებს თბილისი და ასლანს ხულოელები მოჰყავს დასაცავადო... ასლანი? მიტინგი? ამომიტივტივდა კითხვები და... და მე გამახსენდება, ერთი კვირის წინ, პრეზიდენტის კაბინეტში, აჭარის ავტონომიის სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩასატარებლად პრეფექტები რომ შევიკრიბეთ

და ასლანი დაგვემუქრა, უფრო სწორედ, პრეზიდენტს რომ დაემუქრა, მე თუ აჭარაში გამაგზავნეთ, ნებისმიერი საკითხი ან მე შემათანხმეთ ანდა... ათი ათასობით კაცს გამოვიყვან ბათუმში და ფეხზე დავაყენებო...

მძღოლს ვეუბნები, მიდი, იჩქარე, გაასწარი ავტომანქანების კოლონას, რაც შეიძლება მალე ჩავიდეთ ქალაქში-მეთქი. ახლა ყველაფერი გასაგები ხდება ჩემთვის. ვხვდები თუ რატომ გაუჩინარდა ჩემი თვალთახედვიდან ერთი კვირით, უმისამართოდ, სახელმწიფო უშიშროების რაიონული განყოფილების უფროსი... კაცი ორპირი, ცრუ და არამზადა. რაც პრეფექტად დავინიშნე, იშვიათად ჩნდება, ზოგჯერ ისე მოულოდნელად წამომეჩვენება, გეგონება მინიდან ამოძვრაო, სულ ქლესიაობს, ყალბი ლიმილი ადნება პირზე. კი ვუთხარი ერთხელ, ხუმრობით, შენისთანა „კაკებუნისი“ ხელმძღვანელს 40 პროცენტ ინფორმაციას მისცემს და 60 თავისთვის დაიტოვებს-მეთქი. ხმა არ ამოუღია. იცოდა რომ ვერ ვიტანდი და არ ვენდობოდი. ასლან აბაშიძის „შპიკად“ რომ იყო ქცეული, იმიტომაც აღარ ვიბარებდი კაბინეტში და არც არაფერს ვეკითხებოდი.

ქალაქში რომ ჩავედი და ე.წ. საოლქო კომიტეტის შენობასთან მივედი, იქაურობა დულდა მომიტინგეებით. თეატრის შენობის მიმდებარედ დავდექი და ვუსმენ გამომსვლელებს. ვუყუ-

რებ ამ სისაძაგლეს და საკუთარ თავს კი არა, ზვიად გამსახურდიას ვდარდობ, პრეზიდენტი მეცოდება, ლამის მთელი ქვეყანა, შინაურ-გარეულიანად ხომ აუმხედრდა, ახლა დიდი მემედ აბაშიძის შვილიშვილმაც უგანა, უღალატა, ზურგში ჩასცა იატაკანი, აკი, დაექადნა მისსავე კაბინეტში, ათიათასობით ადამიანს გამოვიყვან ბათუმის ქუჩებშიო. ცხოვრებას რა ვუთხარი, თორემ, ხალხის გამოყვანით ექადნება ვინ ვის? დიახ, დიახ, ვინ ვის და... ჩია – გიგანტს. რას იზამ, განა ქართველის პირიდან არაა ამოსული გამოთქმა, „ახლა ჩემი დროა“... მართლაც, მოხდენილად შეარჩია ასლანმა დრო. კრემლის ნისქვილზე დაამატა წყალი, თან, ამ მიტინგით, დედაქალაქს, პრეზიდენტს მიანიშნა, აქ მე ვარ ფათიხი, არაფერი შეგეშალოთ, ჭკუის კითხვა თუ დაგჭირდათ, აქ მე უნდა მკითხოთო. მომიტინგეებში ფესიანი ბერიკაცები ჭარბობენ. მუსლიმთა საზოგადოების თავმჯდომარე იუსუფ ბერიძე დგას ტრიბუნასთან ახლოს, მანვე გახსნა მიტინგი. იქვეა ასლანი, მის გვერდით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ალექო ქობულაშვილი იღერებს ყელს. არ ვიცი საიდან გაჩნდა, ვისი ფრთებით და რა მიზნით მოფრინდა ამ უცნაურ მიტინგზე... ბადრი მელაძე შენობის მეორე სართულის ფანჯრიდან იყურება. გარეთ ვერ გამოდის. იქაურობა აჭრელებულია ლოზუნგებით: „რელიგია – ადამიანის უპირველესი უფლებაა“, „შევიწარჩუნოთ ავტონომიური რესპუბლიკა“, „გაუმარჯოს აჭარის უზენაეს საბჭოს“, „შენყდეს მუსლიმანი აჭარლების ძალით გაქრისტიანება“. ისმის გამომსვლელთა მოწოდებები: „ძირს რეფერენდუმი“, „არ დაგვინიშნოთ რეფერენდუმი, დაგვინიშნეთ ასლანი“, „ხიმშიაშვილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ“, „ნაეთრიოს ჩიგოგიძე“, „მოგვაცილეთ აჭარლების მოძულე კობახიძე“... მიტინგს ქაოსში და უმართაობაში გადაზრდის პირი უჩანდა. ხალხის ნაწილი ყვირილითა და შეძახილებით დაიძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობისკენ. აბობლდნენ ბოძებზე, შეამტვრიეს კარ-ფანჯრები, შეიტანეს ხელით აჭარის შინაგან საქმე-

თა სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომელი და მინისტრის სავარძელში ჩასვეს. აქ არის შენი ადგილიო, არავითარი გურული და იმერელი, აჭარელი იქნება მინისტრიო, თანაც ხულოელიო. ხელში აყვანილს დაატარებენ შუახევის ყოფილი რაიკომის ყოფილ მდივანს, თან გასძახიან: – შენ ხარ დიდი სელიმის ღირსეული შთამომავალი, ჩვენი და აჭარის „უმფოსიც“ შენ უნდა იყო. არადა, სელიმი დიდი ეროვნული გმირი კი არა, ერთი ავანტიურისტი ფეოდალი იყო, რუსებმა შექმნეს მისგან ფსევდოგმირი. თურქეთის წინააღმდეგ საავიტაციოდ სჭირდებოდათ. ყოფილ მდივანს კი, როგორც ამბობდნენ, არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა სელიმისა და შერიფის შთამომავალ ხიმშიაშვილებთან... ეს ის კაცია, შუახევის რაიკომის მდივნობის დროს, 1988 წელს ბათუმში მიტინგის ჩასატარებლად მომავალ ზვიადსა და მერაბს, სხვა პარტიულ ამხანაგებთან და მათ მიერ დარაზმულ აშოლანებთან ერთად, ჩაქვში რომ დახვდებოდა, მატარებელს გააჩერებს და ეროვნული მოძრაობის ლიდერებს არაფორმალურად და მოხულიგნო ელემენტებად მოიხსენიებს, ეს ის კაცია, ლენინის ძეგლს ღამეებს რომ უთევდა, არაფორმალურად არ აიღონო, არადა, შუახეველი სტუდენტები, მაინც გაიტანენ თავისას, დიდი ბელადის ძეგლს შუალამით ამონალს შემოუდებენ და ააფეთქებენ... თუმცა, აღარ გავაგრძელებ, ამის თაობაზე ზემოთაც გვარიანად ვილაპარაკე.

დაინახა, რა, ასლანმა, მიტინგის სადავეები ხელიდან უნდა გამექცესო, ხელმეორედ მივარდა მიკროფონს, მეო, მემედ აბაშიძის შვილიშვილი ვარო, მომისმინეთო და... მომიტინგეებს აჭარის დროშა, გერბი და ჰიმნი დაპირდა. ხოლო, მუსლიმებს მინარეთის აშენება. ერთი ხელის დაკვრით განმუხტა დაძაბულობა, მის სასარგებლოდ შემოაბრუნა ლამის ქაოსისაკენ გაქცეული მიტინგი. ბოლოს კი, ხალხი რომ დამოშმინდა, მადლობა გადაუხადა და მოუწოდა, ახლა დაიშალეთ და ხვალ ისევ აქ შევიკრიბოთო.

დაშლამდე, მომიტინგეთა ნაწილი, მოლალა-ტისა და აჭარის გამყიდველის შეძახილებით, ქა-

ლაქის პრეფექტს ტარიელ ფუტკარაძეს მიუვარდა პრეფექტურის ეზოში და მისი გადადგომა მოითხოვეს. ტარიელი შენობაში არ იმყოფებოდა. როგორც შემდგომში გაირკვა, მან იმ დღესვე დატოვა ქალაქი და თბილისს მიაშურა...

წინა სალამოს ასლანი გამოსულა ტელევიზიით და მოუწოდებია მოსახლეობისთვის, ხვალ მიტინგს ვატარებთ და მოდითო, თან ადგილიც მიუთითებია. მე ტელევიზიით მისი გამოსვლა არ მინახავს, ამის თაობაზე, მიტინგიდან წასვლის შემდეგ ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის კაბინეტში შეკრებილმა მეგობარმა პრეფექტებმა მითხრეს. ეს ის ადამიანი იყო, იმხანად, აჭარის ავტონომიის სტატუსის გაუქმების თაობაზე პრეფექტების პოზიციებს უყოყმანოდ რომ იზიარებდა (ამის თაობაზე 18 აპრილს გაზეთ „აჭარაში“ წერილიც კი გამოაქვეყნა)... წლების შემდეგ კი „ალორძინების“ ერთ-ერთი ლიდერი გახდება...

მეორე დღეს, 23 აპრილს, ნაშუადღევს ჩამოვედი ქედიდან. ბრბო ისევ იმ შემართებით ყელყელაობს, გრგვინავს, არ ცხრება. სიტყვით გამომსვლელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ასლანის ქებაში. სიტყვით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი. მოგვიანებით ეს პიროვნებები ასლანთან ერთად ტრიბუნიდან გაუჩინარდებიან. ბრბო მინისტრთა საბჭოს ეზოში გადმოვა... იმ შენობასთან, სადაც ახლა საკონსტიტუციო სასამართლოა განთავსებული... სადაც მოიკლა ნოდარ იმნაძე.

მეორე დღეს ხალხი, განსაკუთრებით, გურამ ჩიგოგიძეს გადადგომას მოითხოვდა. შენობაში შესვლა რთული იყო. შესასვლელი მომიტინგეებს ჰქონდათ დაკავებული. მაინც დავაპირე შესვლა. ჩემდა გასაკვირად, მომიტინგეებმა გამატარეს, ორად გაყოფილები ერთმანეთს ეუბნებოდნენ, გაატარეთ, ეს ქედის პრეფექტია, ეს ერთადერთი კაცია, დაცვის გარეშე რომ დადისო. შენობაში შესულს ასლან აბაშიძე, დილარ ხაბულიანი და მურმან ომანიძე დამხვდა, ისი-

ნი იდგნენ ფანჯარასთან მომღიმარი სახეებით და გადაჰყურებდნენ მომიტინგეებს... მაგიდასთან გურამ ჩიგოგიძე იჯდა, ქათქათა მიტკლისფერი ელო სახეზე, დანა პირს არ უხსნიდა. ასლანი მომიბრუნდა და იქედნური ღიმილით მეუბნება, ხომ ხედავ, თქვენმა უმსგავსო საქციელმა, ავტონომიას რომ აუქმებთ, რა ცუდი შედეგი გამოიღო, როგორ გააბრაზა და გადარია ხალხი, აქ შენი ქედელებიც არიანო. მე თამამად შევეპასუხე, ეს მიტინგი პრეფექტების მიზეზით არ მომხდარა, შეიძლება აქა-იქ ქედელებიც ერიონ, მაგრამ ისინი ბევრნი არ არიან, შემთხვევით გამვლელები და ცნობისმოყვარენი უფრო არიან, ვიდრე სამიტინგოდ მოსულები. ჩემი თვალთ ვნახე, გუშინ დილით ავტომანქანების კოლონა როგორ შემოვიდა ქედის ცენტრში და გეზი ქალაქისკენ აილო-მეთქი. კარგი, კარგიო, მიპასუხა, შენ ახლა ამ კაცს მიხედე, ჩიგოგიძეზე მიმითითა, ხალხმა რამე არ დაუშავოს, მე და ბატონი მურმან ომანიძე სარფში გავალთ, იქ საბაჟო გამშვებ პუნქტზე ძალიან დაძაბულია სიტუაციაო და შენობა დატოვეს. მე გურამ ჩიგოგიძე შენობის უკანა მხრიდან ისე გავიყვანე, ხალხს არ შეუმჩნევია, მანქანაში ჩავსვი და მძღოლს ვუთხარი, სახლში წაყვანა. მოგვიანებით ჩიგოგიძე ასლანის ყურმოჭრილი მონა გახდება. ასლანმა ის მაშინ გაათავისუფლა და გურამ ვარშალომიძით ჩაანაცვლა, როცა პოზიციები ყველა მიმართულებით გაიმყარა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის კაბინეტში, ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებით, მე და გურამ ჩიგოგიძეს მძაფრი დაპირისპირება მოგვიხდა და მან ღიად და აშკარად აბაშიძის მხარე დაიჭირა, მაინც პატივს ვცემდი. პრეფექტად რომ დავინიშნე, მან, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, წარმადგინა რაიონში.

ასლან აბაშიძემ ბათუმის 22-23 აპრილის ანტიქართული და ანტიეროვნული მიტინგებით ორი კურდღლის ნაცვლად ბარემ ხუთი კურდღელი მოკლა.

პირველი: მან დედაქალაქს და, პირადად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, თვალნათლივ

დაანახა, რომ აქ, აჭარაში, ყველაფრის ბატონ-პატრონი და გამკითხავი თავად იყო.

მეორე: გაამყარ-გაამაგრა აჭარის ავტონომიის სტატუსი.

მესამე: მოიშორა მისთვის ყველა არასასურველი თანამდებობის პირი.

მეოთხე: თანამდებობებზე დანიშნა კუთხური ინილო-ბინილოსნაირი ცნობიერების პიროვნებები; საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად შემოიკრიბა ირგვლივ ორთოდოქსი მუსლიმები, რისთვისაც მათ დაპირდა ჯამეს შენობაზე მინარეთის დადგმას და დანაპირები მალევე შეუსრულა.

მეხუთე: მწვანე შუქი აუნთო ე. ნ. „აჭარის ხსნის კომიტეტს“.

აპრილის მიტინგის შემდეგ, მკვლელობამდე 2-3 დღით ადრე, ქედაში, ჩემდა მოულოდნელად, დამირეკავს ნოდარ იმნაძე და მეტყვის: – რაც იყო, იყო, დავივინყოთ წარსულის წყენა და დღეიდან მეგობრები ვიყოთ. ეგრე იყოს-მეთქი. ეს იყო და ეს, მეტი აღარ გვისაუბრია. მე მასზე ნაწყენი ვიყავი. წყენას საფუძვლიანი მიზეზები ჰქონდა. თავადაც ნაწყენი იყო ჩემზე. მე მას თხოვნა არ შევუსრულე, ქედის რაიონის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე მისი სასურველი კადრი არ დავნიშნე. ალბათ, ამანაც უფრო გაგვიცვიდა ურთიერთობა. ერთხელ, ერთ-ერთ შეხვედრაზე რომ დამინახა, ჩემთან მოვიდა. მთვრალი იყო. ცუდი სიმთვრალე იცოდა. ირონიულად, დამცინავი ტონით ლაპარაკობდა, თან წამომაცყვდრა, შენ ვინ ხარ, სად იყავი აქმდე, მე ვიბრძოლე და შენ პრეფექტი გახდიო... ნოდარი მართლაც შეუპოვარად ერთგულობდა მის მრწამსსა და იდეებს, იგი არა მარტო აჭარაში, სრულიად საქართველოს მასშტაბითაც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო... სიფხიზლეში ვილაპარაკოთ-მეთქი, ცოტა უხეშად მივახალე მეც მისეულ მოულოდნელ წამოყვედრებას და გავეცალე. კარებში მომაძახა, „მრგვალი მაგიდის“ სხდომაზე ჩამოხვალ და ანგარიშს ჩამაბარებო...

სხდომაზე, დათქმულ დროს, ხელვაჩაურის პრეფექტის ბესო ბიბინიეშვილის ერთად მივედი. ყოფილი საოლქო კომიტეტის შენობაში,

ბოლო სადარბაზოს მეოთხე სართულზე ჰქონდა კაბინეტი. შენობის ვიწრო დერეფანში რომ შევედი, სიგარეტის კვამლში იყო იქაურობა გახვეული. გვარდიის ფორმაში გამოწყობილი, ავტომატიანი ადამიანებით იყო იქაურობა გავსებული. მე და ბესო ხალხით გადაჭედებულ დარბაზში შევედით. ნოდარი წამოდგა, დარბაზს მისეული ბოლშევიკური მზერით გადაავლო თვალი და ასე მიმართა: დღეს ჩვენთან იმყოფება ქედის რაიონის პრეფექტი და მოდით, ბატონებო, მოვუსმინოთ, დაგვენახოს და ახლოდან გაგვეცნოს, ვნახოთ, საერთოდ ვინ არის და რა იდეების მატარებელი კაცი. მეგონა დამცინოდა. უხალისოდ წამოვდექი, რამოდენიმე სიტყვა ვთქვი ჩემს შესახებ, ვილაპარაკე რაიონში არსებულ მდგომარეობაზე და დავჯექი. ნოდარს ვერ მოვანონე თავი... იმის შემდეგ ჩემი ფეხი იქ არავის უნახავს. ახლა კი, როცა ასლანი მასაც დაუპირისპირდა და მიტინგის შემდეგ ტელევიზიით ნოდარზე დაუკითხავად ნოდარის გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, ჩვენსკენ იბრუნა პირი, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. მას ბევრი დღე აღარ ეწერა. მე კი არა, მის უახლოეს გარემოცვასაც კი უკვირდა თუ ნოდარ იმნაძემ პრეფექტებს რატომ და რა ნიშნით არჩია ასლან აბაშიძე და გურამ ჩიგოგიძე... ნოდარი ავტონომიის სტატუსის გამოც დაგვიპირისპირდება, დაუნდობლად შემოგვიტყვის... ვინ არიან ეგენიო, უმნიფარები და შემთხვევით მოსულებიო, არც ამას დასჯერდება და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის სახელით პრეფექტებისა და „კოსტავას საზოგადოების“ წინააღმდეგ ასეთ განცხადებას გამოაცხობს 1991 წლის 18 აპრილის გაზეთ „აჭარაში“: „...ეს ვაიპოლიტიკოსები მოითხოვენ 28 აპრილს დანიშნული აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების ნაცვლად ჩატარდეს რეფერენდუმი ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების შესახებ“.

ბათუმის 22-23 აპრილის მიტინგის შემდეგ ნოდარ იმნაძემ ასლან აბაშიძეს პატარა სადამ ჰუსეინი უწოდა.

ამ მოვლენებიდან ცოტა ხნის შემდეგ კი, ქართულ ფერადოვან სიზმრებში მძინარე ბათუმს, ქართულსავე ლაჟვარდოვან სივრცეში, ასლან აბაშიძის ძალისხმევით აღმართული მინარეთიდან, მუეძინის უცნაური და გაბმული კივილი შეაკროთობს, შეაშინებს და გამოალვიძებს.

* * *

თითქმის ერთი თვეა ქრონიკული გრიპი მაქვს, ოფლს მასხამს, სიცხე თამაშობს. როგორც იქნა, გამოვნახე დრო და რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმთან შევიარე. ყურადღებით გამსინჯა, ფილტვებს მოუსმინა, შენი სუნთქვა არ მომწონსო და რენდგენი გადამაღებინა. მარცხენა ფილტვზე ტუბერკულოზის ნიშნები გაქვს, სიგარეტს თავი უნდა დაანებო, კარგი იქნება აბასთუმანში თუ ნახვალ და ჰაერს შეიცვლი, დიდხანს თუ არა, ოცი დღით მაინც უნდა დარჩეო. სად მცალია სააბასთუმნოდ, რაიონში უნდა წავიდე, უამრავი საქმე მაქვს მოსაგვარებელი-მეთქი. ექიმი დიდი ხნის ნაცნობი იყო, ჩემს გაჯიუტებას აღარ აჰყოლია, ერთი თვის სამყოფი წამლები გამომიწერა, ნემსებს და წამლებს რომ მორჩები, აუცილებლად შემომიარე, ვნახოთ, რა შედეგს მივიღებთო, მითხრა და ერთმანეთს ამით დავეშორდით.

უკვე საღამო იყო ქედაში რომ ავედი. პირდაპირ სამსახურში მისულს, მდივანმა გოგონამ წერილები და გაზეთები შემომიტანა. გაზეთები გადავათვალიერე, ფოსტის განხილვა კი მეორე დღისთვის გადავდე. ვიფიქრე, ხვალ შაბათია, მარტო ვიქნები და გულდასმით განვიხილავ შემოსულ წერილებს-მეთქი. უბინაობის გამო ღამის გასათევად ჩემს ბიძაშვილთან – გულიკოსთან ვრჩები. იმდენ წამლებს ვღებულობ, თავი მიბრუნის, საღამოს მკვდარივით ვიძინებ. გულიკოს ვთხოვე, დილით ადრე გამაღვიძე, უთენია უნდა მივიდე სამსახურში, ძალიან ბევრი საქმე მაქვს-მეთქი.

პირველი ივნისის ანუ, დიდი ჰომეროსისა არ იყოს, პირმშვენიერი ზაფხულის ულამაზესი დილა გათენდა. სისხამზე ავდექი, საუზმეს

აღარ დაველოდე, უმადობის გამო ისეც არ ვჭამდი. დილითაც და საღამოსაც ჩემი საჭმელი სიგარეტი იყო. მეშვიდე კლასიდან ვენეოდი. პრეფექტურაში ფეხით მივედი, მძლოლმა დამირეკა, თუკი საჭირო ვარ, მოვალო. არა-მეთქი, ვუბასუხე და შემოსული წერილების, ე. წ. ფოსტის განხილვას შევუდექი.

მოულოდნელად რეკავს ტელეფონი. ყურმილს ვიღებ. რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი მირეკავს და აღელვებული მეუბნება: – ბატონო სანდრო, ადგილზე იყავით, პრეზიდენტის კორტეჟი ქედის ხიდს გამოსცდა და პრეფექტურისკენ მოემართებაო. ყურებს არ დაუფუჯერე, დავიბენი. ვერაფრით წარმოვიდგინე და ვერც კი წარმოვიდგინდი, ასე მოულოდნელად, თან შაბათს, დასვენების დღეს, პრეზიდენტის ქედაში სტუმრობას. მილიციის უფროსს ვუთხარი, სასწრაფოდ დაავალე შენს თანამშრომლებს, ყველანი გააფრთხილონ და რაც შეიძლება მეტი ხალხი შეკრიბეთ კულტურის სახლის დარბაზში-მეთქი. უმალ ჩამოვირბინე ეზოში. რაიონის კულტურის სახლი პრეფექტურის შენობის გვერდით მდებარეობს. კარი დაკეტილი დამხვდა. იქვე მდგომ ბიჭებს ვთხოვე, როგორმე გააღეთ, თუნდაც გატეხეთ-მეთქი. კარს საკეტი გამოგლიჯეს და კარი ისე გამოანგრეეს. ამ ფორიაქსა და ძიძგილავში პრეზიდენტი რამდენიმე თანმხლები ავტომანქანით პრეფექტურის ეზოში შემოვიდა. ჩემდა გასაოცრად, უამრავი ხალხი მოაწყდა იქაურობას. იმდენად დიდი იყო ხალხისთვის პრეზიდენტის ნახვის ინტერესი, რომ კულტურის სახლის დარბაზი გადაიჭედა, უადგილობის გამო უამრავი ადამიანი ფეხზე იდგა. ზვიად გამსახურდიას ასლან აბაშიძესთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები ნუგზარ მოლოდინაშვილი და ბიძინა დანგაძე ახლდა. ცოტა ხანს ეზოში ვისაუბრეთ. შემდეგ ვთხოვე, ბატონო ზვიად, ხალხს თქვენთან შეხვედრა სურს და კულტურის სახლში სულმოუთქმელად გელოდებათ-მეთქი. ასლანი ხმას არ იღებს, არადა, ვიცი

გულში უხარია, უხარია და კმაყოფილია იმით, რომ მოუმზადებელი შევხვდი პრეზიდენტს. მან ჯერ არ იცის, რომ სულ რაღაც, ოციოდე წუთში, მთელი დაბა ქედის მოსახლეობასთან ერთად, რაიონის ცენტრში შემთხვევით გამლელებიც კი მოვიდნენ პრეზიდენტის სანახავად.

ასლანი იმდენად ბოროტი იყო, რომ პრეფექტები შეგნებულად არ გაგვაფრთხილა პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ, ეგონა, შაბათია, დასვენებაა, ქედის პრეფექტი ადგილზე არ იქნება, ზვიადი მოსახლეობას ვერ შეხვდება, განრისხდება და პრეფექტს გაათავისუფლებს სამსახურიდანო. როგორც იტყვიან, ხოლმე, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ამდენი ხალხი ქედის კულტურის სახლს არასოდეს ჰყოლია და ალბათ, არც მომავალში ეყოლება. იმ წუთებში, ჩემში მღელვარება და სიმშვიდე ერთმანეთის ტოლფარდი იყო. მოკლედ ვილაპარაკე პრეზიდენტის შესახებ, როგორც იტყვიან ხოლმე, ორიოდე სიტყვით მოვხაზე, მისი წარსული და დღევანდელი. შემდეგ სიტყვა თავად პრეზიდენტს გადავეცი. ვიდრე პრეზიდენტი სიტყვას დაიწყებდა, ასლანის გვერდით მჯდომმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა გადმომილაპარაკა, სად არის და შეხვედრას რატომ არ ესწრება სერგო ჟღენტიო. სერგო ანუ როგორც მას რაიონში ეძახდნენ, სელიმ ჟღენტი იმხანად ქედის სახელმწიფო-სატყეო მეურნეობის დირექტორად მუშაობდა. დავიბენი, ვერ წარმოვიდგინე, რატომ კითხულობდა ან საიდან იცნობდა მას მოლოდინაშვილი, ან კიდევ, რა სავალდებულო იყო ამ შეხვედრაზე სერგო ჟღენტის დასწრება... მაგრამ მოლოდინაშვილისთანა დროისტი ადამიანისაგან აღარ გამკვირვებია, შაბათია და ისვენებს-მეთქი, ვუპასუხე. ეს ის მოლოდინაშვილია, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ შევარდნაძის ნავში რომ გადაბარგდება, დეპუტატობას ხელმეორედ გამოკრავს ხელს, მაგრამ „ვარდების რევოლუცია“ სამუდამოდ დაასამარებს მის პოლიტიკურ კარიერას და როგორც ორპირ ადამიანს, უყოყმანოდ მოისვრის ისტორიის სანაგვეზე.

შეხვედრის დამთავრებამდე ჩემს ბიჭებს ვთხოვე, შუახვევის პრეფექტს გაავებინეთ, რომ პრეზიდენტი აპირებს სტუმრობას და მომზადებული დახვდეს-მეთქი. ასლან აბაშიძემ გაიგონა ჩემი ბიჭებისადმი თხოვნა და არ გააფრთხილოთო, უბრძანა, მაგრამ მას აღარ მოუსმინეს. შოთა ფუტკარაძე, როგორც წესი იყო, ქედისა და შუახვევის ადმინისტრაციულ საზღვარზე დახვდა პრეზიდენტს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის მოულოდნელი სტუმრობა ჩემს რაიონში კარგი შედეგით დასრულდა, მცირე ექსცესს მაინც ჰქონდა ადგილი. შეხვედრის დასასრულს, დარბაზის წინა რიგებიდან, რამოდენიმე ქალბატონი წამოვარდა ზეზე და ზვიადს მიმართეს, მოგვაშორე ეგ სისხლისმსმელი და მკვლელი ასლანი, წაიყვანეთ დედაქალაქში და აჭარა დამშვიდდებო. ეს ჩემთვის უცნობი ქალბატონები ზვიადს საყვედურობდნენ, დაანებოს ასლანმა თავი პრეფექტებს, მოეშვას მათ დევნას, განსაკუთრებით ავინროვებს ჩვენს პრეფექტს, ბესო ბიბინიშვილს, ბესოსნაირი პატიოსანი და განათლებული ადამიანი იშვიათია, ის თქვენი ერთგული ადამიანიაო... უმტკიცებდნენ გავეშუბული ქალები ტრიბუნაზე მყოფ პრეზიდენტს.

შემდგომში ასლან აბაშიძე, ხშირად, საყვედურით, წამომაცხებდა, ხოლმე, რაში გჭირდებოდა, ვილაც გაკაპასებული ქალები რომ დამახვედრე და პრეზიდენტთან ალანძღვინე ჩემი თავიო. ის ქალბატონები თქვენ ამოგყვით ქედაში, ბესო ბიბინიშვილის მომხრეები იყვნენ, მე არაფერ შუაში ვიყავი-მეთქი, ვუმტკიცებდი, მაგრამ მას ჩემი მაინც არ სჯეროდა.

საკმაოდ მომზადებული დახვდა პრეზიდენტს შუახვევის პრეფექტი. დარბაზი ოვაციებითა და ტაშის გრიალით შეეგება პრეზიდენტს. იყო გულთბილი და გულახდილი საუბრები.

ხულოსკენ რომ მივემართებოდით, ზვიადი ზამლეთის ცენტრში გაჩერდა, ავტომანქანიდან გადმოვიდა და პირდაპირ წყაროსთან მივიდა. აიღო წვრილი ჯაჭვით დაბმული ალუმინის საკმაოდ მოზრდილი ფინჯანი, წყალი აადინა და დალია. უკან რომ გამობრუნდა, იქაურმა

ახალგაზრდამ ფინჯანი ჯაჭვიანად მონყვიტა. ეს ფინჯანი დღეიდან ისტორიული ფინჯანიაო, ხმამაღლა ჩაილაპარაკა და გახარებული ხალხს შეერია.

ხულოს პრეფექტი რაიონში არ იმყოფებოდა. მოადგილემ განაცხადა, ჩვენი პრეფექტი ბეჟან გობაძე თბილისშია წასული საქმეზეო. დარბაზი სავსე იყო ხალხით. უმეტესობა ავტონომიის დაცვის მიზნით ჰყავდათ მოყვანილი, ალბათ, ასლანის დავალებით. შეკრებილები ზვიადს სთხოვდნენ, ავტონომიას ნუ გაგვიუქმებო. პრეზიდენტიც უხსნიდა, რომ არავინ აუქმებდა ავტონომიას, რომ ავტონომიის გაუქმების საკითხი, უპირველესად, აქაური მაცხოვრებლების გადასაწყვეტი იყო. ხულოში შეხვედრით ყველაზე მეტად ასლანი იყო კმაყოფილი.

ზემო აჭარის რაიონების მოვლის შემდეგ, დღის ბოლოს, პრეზიდენტი ხალხს ხელვაჩაურის პრეფექტურაში შეხვდა. პრეფექტურის ეზოში უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. უმეტესობა ასლან აბაშიძის დასაცავად მოსულიყო. იყვნენ ბესო ბიბინიშვილის მომხრეებიც, მაგრამ, შედარებით ცოტანი. ხალხმა ზვიადი დაინახა თუ არა, ყვირილი დაიწყო: „არ გვინდა რეფერენდუმი“, „ჩვენ ასლანი გვინდა“, „არ დაგვინიშნოთ რეფერენდუმი, ჩვენ ასლან აბაშიძეს ვუჭერთ მხარსო“. ზვიადმა დააშოშმინა ისინი, ამ ხალხს რეფერენდუმი კაცი ჰგონიაო, ჩაილაპარაკა და ხმამაღლა გაიცინა, თან დაამშვიდა, როგორც თქვენ გინდათ ისე იქნება, ასლანს დაგინიშნავთ, ის იქნება თქვენი უფროსიო.

მე მაშინ პირველად ვნახე ზვიადი გაცილებული. იგი მაღალი, ლამაზი და ამაყი კაცი იყო, ნელგამართული, მაგრამ მონყენილი დადიოდა. ვისაც მიმავალი ზვიადი დაუნახავს, გააოცებდა მისი ულამაზესი კეფა, რომელიც ნახატს უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალურს. აღარაფერს ვამბობ მის ორატორობაზე, ენციკლოპედიურ განათლებაზე. ზვიადი ქართველი ინტელიგენტის სანიშნო სახე იყო. ხშირად გამიგონია, გამოუცდელი იყო პოლიტიკაშიო, ეს ტყუილია, იგი შეუპოვარი დისიდენტი, შესანიშნავი მეც-

ნიერი, პოეტი და ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. ეს კაცი მხრებზე პატარა ბავშვივით შესმულ საქარველოს ქრისტესმირ ძმასთან – მერაბ კოსტავასთან ერთად კომუნისტური ჯოჯოხეთიდან სამოთხისაკენ – თავისუფლებისაკენ მიაქანებდა და გაიყვანა კიდეც, სამწუხაროდ, ზვარაკად შეწირვის ფასად.

* * *

ზვიად გამსახურდია ზემო აჭარაში მოგზაურობის დასრულების შემდეგ პრეფექტებს ბოცყვათში, ე. წ. სამთავრობო რეზიდენციაში დაგვიბარებს. შენობაში შესვლამდე პრეზიდენტის ინიციატივით და სურვილით, იქვე, ზღვის პირას მდებარე მრგვალ ფანჩატურში ჩამოვსხდებით. თითოეული ჩვენთაგანი ჩვენსავე რაიონში არსებულ პრობლემებზე გავამახვილებთ ყურადღებას. მე ჩემი სანუხარი ვუთხარი პრეზიდენტს. მოუყევი, რომ რამოდენიმე კვირის წინ რაიონის ერთ-ერთი საკრებულოდან, კერძოდ, მახუნციეთიდან, პრეფექტურაში ორმოციოდე ბერიკაცი მოვიდა და კატეგორიულად მოითხოვდნენ ჩემგან ნებართვის გაცემას იმის თაობაზე, რომ საკრებულოს ცენტრთან ახლოს, მიმდებარე სოფელ ბზუბზუს ტერიტორიაზე ჯამე აეშენებინათ. მე შევეწინააღმდეგე მათ ნება-სურვილს, ისინი დამემუქრნენ, სულერთია, ჩვენ ვერავინ დაგვიდგება და გადაგველობება წინ, შენობას მაინც ავაშენებთ, საამისოდ თანხაც გავაჩნია, ტერიტორიაც გამოვნახეთ, სამშენებლო მასალებიც გვაქვს და, რაც ყველაზე მთავარია, ასლან აბაშიძე ჩვენსკენაა და მისი მხარდაჭერა გვაქვსო. ჩვენი საუბრის დროს, მოულოდნელად პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე და ასლან აბაშიძის მეუღლე მაგული გოგიტიძე წამოგვადგებიან თავს. პრეზიდენტი დაბალ ხმაზე გვეტყვის, საუბარი შენობაში გავაგრძელოთო და ფანჩატურს დავტოვებთ. რა თქმა უნდა, საუბარს შენობაში გავაგრძელებთ. თავდაპირველად ასლან აბაშიძე ჩვენს საუბრებს არ ესწრებოდა. პრეზიდენტმა დაცვის ბიჭებს სთხოვა, ასლანს დამიძახეთო. ასლანი მაღე

მოვიდა, სახე, როგორც ყოველთვის, ახლაც აჭარბებულია. შემოსვლისთანავე ზვიადმა საყვედური მიაგება, შენ თურმე პრობლემებს უქმნი პრეფექტებს, ქედამი პრეფექტზე დაუკითხავად მიეცი ხოჯებს და მოლებს ნებართვა ახალი ჯამეს ასაშენებლადო. ასლანმა იუარა, ეს ტყუილიაო და ისეთი მუქარანარევი მზერით შემომხედა, ზვიადი დამრიგებლურ ტონზე გადავიდა და დაგვმოძღვრა, რომ ერთობლივად, ურთიერთშეთანხმებით უნდა ვიმოქმედოთ და როგორმე გადავათქმევინოთ ბერიკაცებს ჯამეს ახალი შენობის აგება. და თუ მაინც არ მოიშლიან თავისას, იქნებ აჯობებდეს და დროებით ძველი შენობა გამოუნახოთ სადმეო. მე მაშინ ყველაფერი ვილონე და ჯამე არ ავაშენებინე. ამ პრობლემების მოგვარებაში დიდი დახმარება იმავ ბერიკაცების შვილებმა და შვილშვილებმა გამიწიეს. მათ გადაათქმევინეს ბაბუებს და ხელი ააღებინეს განზრახვაზე, რომელიც ახალი თაობისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი რამ იყო. ამ საქმის მოგვარებაში ერთობ დიდი დახმარება გამიწია ჩემმა სიმამრმა დურსუნ გოგიტიძემაც. იგი სოფელ ბზუბზუს მაცხოვრებელი იყო და მის, როგორც სოფლის ერთ-ერთი თავკაცის, სიტვას განსაკუთრებული ფასი და წონა ჰქონდა, არა მარტო სოფელში, მთელს რაიონშიც კი.

ბობოყვანის შეხვედრაზე, ერთობლივად და ღიად, საჯაროდ მოხდა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“-ს პოლიტიკური ბლოკის მიერ შედგენილი საარჩევნო სიის განხილვა. აჭარის „მრგვალი მაგიდის“ მესვეურთა მიერ შედგენილ საარჩევნო სიაში წარმოდგენილი ზოგიერთი კანდიდატი მიუღებელი აღმოჩნდა ასლან აბაშიძისათვის. ამიტომაც მან დაარწმუნა პრეზიდენტი, რომ სიაში ბევრი შემთხვევითი და არასაიმედო პიროვნებაა მოხვედრილი, რომ თუკი პრეზიდენტი ნებას დართავდა, ახალ სიას თვითონ შეადგენდა და წარუდგენდა გასაცნობად. რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ასლანის წინადადებას დათანხმდა. აბაშიძე სასტიკი წინააღმდეგი იყო ქალბატონ ნაზი მიქელაძის სადე-

პუტატო სიაში შეყვანისა. ზვიადმა რომ იკითხა, თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ნაზი მიქელაძე, მე ავუხსენი, რომ ჩემი ლექტორი იყო და ეროვნულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობას ლეზულობდა წლების მანძილზე. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ნაზი ჩემს მომხრეებს კატეგორიულად შეეწინააღმდეგა ქედის რაიონის პრეფექტად ჩემი კანდიდატის წარდგენის გამო, მე ერთი წუთითაც არ მიფიქრია მისდამი, არა თუ შურისძიებაზე, არამედ სიტყვაძვირობით სამაგიეროს გადახდაზეც კი. უნდა ვაღიარო, რომ მე ქალბატონ ნაზი მიქელაძეს, მაინცა და მაინც, არ ვეხატებოდი, როგორც თავხედი და ზარმაცი სტუდენტი, თუმცა, მაინც დავიცავი იგი, როგორც ჩემი ლექტორი. ასლან აბაშიძემ გაახლებულ სიაში არ შეიყვანა ნაზი მიქელაძე და ამით ჩამოაშორა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას.

წლების შემდეგ, როცა ასლან აბაშიძის წინააღმდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ გამძაფრებულ შეტევებს წამოიწყებს, აჭარაში მათი ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი ნაზი მიქელაძეც იქნება, რისთვისაც ასლანის განდევნის შემდეგ მას აჭარის პარლამენტში ვიცესპიკერის ადგილს უფეშქაშებენ.

როცა ბობოყვანის სამთავრობო რეზიდენციას ტოვებდა, პრეზიდენტს პრეფექტები გასასვლელ ჭიშკართან დავხვდით. ზვიადი სათითაოდ გამოგვემშვიდობა, ხელი ჩამოგვართვა, ყოჩაღად იყავით, ასლანს მალე მოგაცილებთო, გვითხრა და თბილისში გაემგზავრა.

ასლან აბაშიძემ მისეული შეხედულებითა და სურვილით შეადგინა საარჩევნო სადეპუტატო სია. მე თავდაპირველ ვარიანტში სიის ათეულში ვიყავი, ასლანის შედგენილ სიაში კი – ორმოცდამეცხრე, თუმცა, სულაც არ მადარდებდა რომელი ნომრით ვიქნებოდი საარჩევნო სიაში წარმოდგენილი. დარწმუნებული ვიყავი, რომ, როგორც რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი, მაინც გავიმარჯვებდი და მოვიპოვებდი დეპუტატის მანდატს.

„ასლანს მალე მოგაცილებთო“ – პრეზიდენტის მიერ ჩვენთვის ეს დამაიმედებელი სიტ-

ყვები, მხოლოდ მაშინ გვექცევა უიმედობად, როცა სექტემბრის დასაწყისში, დედაქალაქში ხელისუფლებასა და კრემლის მიერ მართულ ოპოზიციას შორის უაღრესად დაიძაბება სიტუაცია, გამძაფრდება ურთიერთდაპირისპირება და თბილისის მოქუფრულ ცაზე დენთის სუნი დატრიალდება.

* * *

1991 წლის მარტ-აპრილში ორჯერ დანიშნული და ორივეჯერ გადადებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები, საბოლოოდ 23 ივნისისთვის დაინიშნება. პრეზიდენტმა ბობოყვათში დანაპირები, ბიჭებო, ცოტაც მაცალეთ და ასლანს მოგაცილებთო, ჯერ-ჯერობით ვერ შეასრულა. არც გაემტყუნებოდა, იმხანად შინაურიცა და გარეულიც მას უღრენდა. ამ საბაბს შესანიშნავად გამოიყენებს ასლანი, ზვიადს სიტყვით ერთგულებას ეფიცება, საქმით კი საპირისპიროს აკეთებს და ქართული იურისდიქციიდან ნელ-ნელა გაჰყავს აჭარა. ავტონომია ისედაც სახელმწიფო წარმონაქმნია, და ასლანი ახალ-ახალი სტრუქტურების შექმნით, სახელმწიფოში სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ცდილობს. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ცდილობს იმიტომ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელია. პოზიციების სრულიად გამყარებისა და მართვის სადავეების მთლიანად ხელში ასაღებად, საჭიროა 23 ივნისს დანიშნული არჩევნების იმგვარად ჩატარება, როგორც მას სურს და აწყობს.

14 ივნისს ასლან აბაშიძე პრეზიდენტს დაარწმუნებს, რომ ბათუმელები არ ენდობიან ტარიელ ფუტკარაძეს და აუცილებელია მისი სხვა პიროვნებით ჩანაცვლება, პრეზიდენტმაც არ დააყოვნა, გაითვალისწინა ასლანის წინადადება და ტარიელ ფუტკარაძე რომან კასრაძით ჩანაცვლა.

22-23 აპრილის მიტინგის შემდეგ, ტარიელის პოზიციები უაღრესად შესუსტდა, არა თუ ავტონომიურ რესპუბლიკაში, არამედ ქალაქ

ბათუმშიც კი, მას აღარავინ ენდობოდა. აღარც ის ადამიანები ედგნენ უკვე გვერდში, რომლებიც ადრე ერთგულებას ეფიცებოდნენ და მის თანამებრძოლებად თვლიდნენ თავს. უმრავლესობამ ასლანთან დაახლოების გზები გამონახა და მის ამქარში დაიმკვიდრა ადგილი.

მე სულ მიკვირდა და, ახლაც მიკვირს, თუ რატომ არ მოამზადა და პრეზიდენტთან შეხვედრაზე არ წარმოადგინა ტარიელ ფუტკარაძემ ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩასატარებლად შესაბამისი დოკუმენტაცია, თუნდაც ქ. ბათუმის საკრებულოს დეპუტატებისა და პრეფექტურის დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა ხელმოწერები, თუნდაც იმნაირი სახით, როგორც ჩვენ – ზემო აჭარაში შემავალი რაიონების პრეფექტურებმა და საკრებულოს დეპუტატებმა მოვამზადეთ.

15 ივნისს ასლან აბაშიძე აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან გაათავისუფლებს გურამ ჩიგოგიძეს. ამ თანამდებობაზე მას გურამ ვარშალომიძით ჩაანაცვლებს.

უნდა გამოვტყდე, ჩემი მუშაობის სამი თვის მანძილზე, მარტის დასაწყისიდან მაისის ბოლომდე, სხვა ყოფით პრობლემების მოგვარებასთან შედარებით, რაიონის ისტორიაში თვალსაჩინო ფურცლებად მაინც სამი მოვლენა ჩაინერება, ესენია: 31 მარტის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები, იმავე დღეს ჩატარებული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – საკრებულოების და 26 მაისს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები. სამივე მოვლენის წარმატებით ჩატარება, რა თქმა უნდა, უშუალოდ ორგანიზატორებთან ერთად, რაიონის ამომრჩეველთა მაღალი კულტურისა და სახელმწიფოსადმი მაღალი პასუხისმგებლობის შეგრძნებით იყო გამოწვეული. ამ სამი მოვლენის ტოლფარდი იყო უკვე კარს მომდგარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებიც.

ქედის რაიონიდან აჭარის უზენაეს საბჭოში ორი მაჟორიტარი დეპუტატი უნდა არჩეულიყო, ერთი – ქედის №34-ე საარჩევნო ოლქიდან, ხოლო მეორე – წონიარისის №35-ე საარჩევნო ოლქიდან. მე, მიუხედავად იმისა, რომ დანდალოს საკრებულოს სოფელ ჯალბაშვილების მკვიდრი ვიყავი, გადავწყვიტე კენჭი ქედის №34-ე საარჩევნო ოლქში მეყარა. დანდალოს საკრებულო და ბუნებრივია, ამ საკრებულოში შემავალი სოფელი ჯალბაშვილები წონიარისის №35-ე საარჩევნო ოლქში შედიოდა. ამ ოლქში „მრგვალმა მაგიდამ“ კანდიდატად ახოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე ნიგარი ლორთქიფანიძე დაასახელა. ნიგარი ჩემი თანაკურსელი იყო, უალრესად ნიჭიერი ქალბატონი, კარგი მასწავლებელი და სამაგალითო დედა. პირველ ტურში №35-ე ოლქში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ნიგარი ხმათა რაოდენობით მესამე ადგილზე გავიდა და მეორე ტურს გამოეთიშა. აქ ახლა ერთმანეთს კომპარტიის კანდიდატი, ქედის რაიონის ყოფილი რაიკომის მდივანი მიხეილ მახარაძე და „ავლანელთა კავშირის“ წარმომადგენელი, მეორე ადგილზე გასული მურმან დავითაძე დაუპირისპირდნენ.

დეპუტატის მანდატი საბოლოოდ მიხეილ მახარაძემ მოიპოვა. როგორც შემდგომში გავიგე, მიხეილ მახარაძეს მეორე ტურში „მრგვალმა მაგიდის“ ზოგიერთმა წევრმა დაუჭირა მხარი. ეს რომ ასე იყო, თავად მიხეილ მახარაძემ მაშინ დამიდასტურა, როცა კაბინეტში მეახლა და დახმარებისათვის მადლობა გადამიხადა. გულწრფელად უნდა ვაღიარო, მე ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი და გაკვირვებული ვიყავი იმ „მრგვალმაგიდელთა“ ქმედებით, რომლებმაც მას მხარი დაუჭირეს. თუმცა, ამ ყოველივეს ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩვენი კანდიდატის საარჩევნო ბრძოლიდან გამოთიშვის შემდეგ, სულ ერთი იყო, ვინ აიღებდა დეპუტატის მანდატს იმიტომ, რომ ორივე მათგანი კომპარტიის წარმომადგენელი იყო.

საარჩევნო დაძაბულობითა და ციებ-ცხელებით უფრო მეტად ქედის №34-ე საარჩევნო ოლქი

გამოირჩეოდა. აქ სადეპუტატო მანდატის მოსაპოვებლად 7 კანდიდატი დავრეგისტრირდი.

1. დავით გათენაძე – დაბა ქედის საკრებულოს გამგებელი – უპარტიო;

2. სერგო ჟღენტი – ქედის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის დირექტორი, წარმომადგინა კომუნისტურმა პარტიამ;

3. ნარგიზ დიასამიძე – მოსამართლე, წარმომადგინა „სახალხო ფრონტმა“;

4. იოსებ თავდგირიძე – ბათუმის ხილეული წყლებისა და ლუდის გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი, დამოუკიდებელი კანდიდატი;

5. ედუარდ სურმანიძე – კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე, წარმომადგინა „ავლანელთა კავშირმა“;

6. ოთარ ხაბაზი – აჭარის საგზაო სამმართველოს დეპარტამენტის უფროსი, წარმომადგინა „ეკონომიკურმა აღორძინებამ“;

7. სანდრო ბერიძე – ქედის რაიონის პრეფექტი, წარმომადგინა „მრგვალმა მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ქედის რაინულმა ორგანიზაციამ.

არჩევნების წინა დღეს დავით გათენაძემ და ედუარდ სურმანიძემ საკუთარი კანდიდატები მოხსნეს. მეგონა სერგო ჟღენტიც უარს იტყოდა და საარჩევნო მარათონში მონაწილეობაზე და კანდიდატურას მოხსნიდა, საკმაროდ ასაკიანი იყო და როგორც ქედის სახელმწიფო-სატყეო მეურნეობის დირექტორი, საბჭოთა პერიოდის ცნობილი კომბინატორი, არ გაირთულებდა ურთიერთობას ეროვნულ ძალებთან, ამ შემთხვევაში „მრგვალმა მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ქედის რაიონულ ორგანიზაციასთან, რომელთა წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი გამგეობის წევრები, მას აღიქმდნენ როგორც „მაფიოზსა“ და „ფულის ტომარას“.

სერგო ჟღენტი ბუნებითა და ხასიათით არ იყო ცუდი ადამიანი, ყოველთვის ცდილობდა მონინააღმდეგესთან ურთიერთობა დაზავებით დაემთავრებინა. რამდენიმეჯერ ჰქონდა აღებული საკავშირო სატყეო სამინისტროს გარდამავალი ნითელი დროშა. მისი ერთი მუჭა, პანანა და ხე-

ლისდადება რაიონული სატყეო სამმართველო, საბჭოთა კავშირის მასშტაბით სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობდა. ერთხელ საკავშირო სატყეო მინისტრმა ზვერევიძე პირადად ჩამოუტანა გარდამავალი დროშა და როგორც გამარჯვებულს, ზარ-ზეიმით გადასცა. მე პრეფექტობის პირველი დღიდანვე შევეცადე თავი შორს დამეჭირა მისგან. რამდენიმეჯერ მთხოვა შეხვედრა და უარით გავისტუმრე. ვიცოდი, ნებისმიერ პრობლემებს უჩემოდაც აგვარებდა და რატომ უნდა შეხვედროდი?

ახლა კი, ამ გაგანია არჩევნებში, წარმოდგენითაც რომ ვერ წარმოვიდგენდი, ვერც გავიფიქრებდი, სერგო ჟღენტი, ეს ყოვლისშემძლე ადამიანი, კონკურენტად მომეველინა და ღია დაპირისპირება არჩია ჩემთან. მისი უფროსი შვილი, რამაზ ჟღენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად მუშაობდა. იგი ძალიან კარგი პიროვნება იყო. ბათუმელმა მეგობრებმა მითხრეს, „მრგვალი მაგიდის“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია და პირადად ასლან აბაშიძე სერგო ჟღენტის კანდიდატურას უჭერენ მხარს და ნებისმიერი ხერხით შეეცდებიან, რომ სერგო ჟღენტმა დეპუტატის მანდატი მოიპოვოსო. ეს ინფორმაცია ჩემმა სიმამრმა დურსუნ გოგიტიძემაც დამიდასტურა. ჩემი სიმამრი რამაზ ჟღენტის ნათლია იყო. სერგო ჟღენტს სიმამრისთვის ეთქვა, ასლანმა შემომითვალა, დეპუტატის მანდატი თუ ვერ მოიპოვა და პრეფექტი ვერ დამარცხა, მისი შვილი აჭარის პროკურორის თანამდებობას დაემშვიდობებაო. ახლა კი მივხვდი თუ რატომ ღებულობდა მონაწილეობას 70 წელს მიტანებული სერგო ჟღენტი აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას და კენჭს იყრიდა ქედის №34-ე საარჩევნო ოლქში. არჩევნებში ჩემი დამარცხება პრეფექტობასთან გამომშვიდობებასაც ნიშნავდა. ჩემს მარცხს ასლან აბაშიძე პრეზიდენტთან ჩემივე განთავისუფლების მიზეზად გამოიყენებდა. ასე მოხდა ბესო ბინიეიშვილის შემთხვევაში.

მე და ჩემმა ნდობით აღჭურვილმა პირებმა, ორგანიზებულად წარვმართეთ საარჩევნო კა-

პანია, არავითარი ზედმეტი დაპირებები, მოსახლეობას ვპირდებოდით იმას, რისი გაკეთებაც შეგვეძლო, რისი შესრულების შესაძლებლობაც გაგვაჩნდა. ჩვენ ჩვენივე გულწრფელობის, პატიოსნებისა და სიმართლის გამარჯვებისა გვჯეროდა.

საკრებულოების გამგებლები გავაფრთხილე, არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატისთვის შეექმნათ თანაბარი პირობები, რათა თითოეულ კანდიდატს საშუალება ჰქონოდა ნორმალურად წარემართა საარჩევნო კამპანია.

20 ივნისს მერისისა და მახუნცეთის ამომრჩევლებს შეხვდით. 21 ივნისს დაბა ქედის საკრებულოში შეხვედრის შემდეგ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში გადავინაცვლეთ. საარჩევნო კამპანია 22 ივნისს დოლოგნის ამომრჩევლებთან შეხვედრით დავასრულეთ.

23 ივნისს, დილით, მე და ჩემი მეუღლე ნათელა გოგიტიძე ერთად მივედით საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად, საარჩევნო უბანი რაიონის ცენტრში, კინოთეატრ „იმედის“ დარბაზში იყო განთავსებული. ხმის მიცემის შემდეგ ნათელა ბათუმში წავიდა, მე პრეფექტურაში წავიდი. შუალაიმედე დავრჩი კაბინეტში. მე და ჩემი მეგობრები, „მრგვალი მაგიდის“ გამგეობის წევრები, არჩევნების შედეგებს ველოდებოდით. ბათუმიდან ამოვიდა ჩემი უფროსი ძმა მამია და მისი მეუღლის ძმა, რეზო ფუტკარაძე, თან შამპანურები და სხვადასხვა სახის ხორაგი ამოიტანეს. ზურაბ მამუჭაძე ტელეფონს უჯდა და ხშირად რეკავდა საარჩევნო უბნებში, მგონი ჩვენი საქმე ცუდად არისო, გვეუბნებოდა, ეს-ესაა პირველი ინფორმაცია მივიღე, სელიმმა პირნმინდად მოგვიგო მახუნცეთშიო. სერგო ჟღენტს სელიმის სახელით უფრო იცნობდნენ რაიონში, მისი სახელი პირზე ეკერა ქალსაც, კაცსაც, ბავშვსაც და ახალგაზრდასაც. იმახანად, სელიმზე ასეთ ანეკდოტსაც კი ყვებოდნენ რაიონში: განათლების განყოფილების ინსპექტორი ქედის საშუალო სკოლაში გაკვეთილს ესწრება. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეს ეკითხება, სკოლას რომ დამთავრებ, სად უნდა ჩააბარო, ვინ გინდა გამო-

ხვიდო და ბავშვიც არ დაახანებს, სასელიმოზე მინდა ჩავირიცხოო, უპასუხებს.

ლამის თორმეტი საათისთვის წინასწარი მონაცემებით ვიცოდით, რომ მე უკვე დეპუტატი ვიყავი. ჩემი გამარჯვება შამპანურებით კაბინეტშივე აღვნიშნეთ. მეორე დღეს საარჩევნო კომისიამ რომ დააჯამა, ხმათა გადანაწილების ასეთი სურათი გამოიკვეთა:

სერგო ჟღენტა – 1300 ხმა;

ნარგიზ დიასამიძე – 254 ხმა;

ოთარ ხაბაზი – 102 ხმა;

იოსებ თავდგირიძე – 314 ხმა;

სანდრო ბერიძე – 3013 ხმა.

№34-ე ქედის საარჩევნო ოლქში, სადაც მე კენჭს ვიყრიდი, 13 სოფელი შედიოდა. ცამეტიდან მხოლოდ ოთხ სოფელში – უჩხითში, მახუნცეთში, ანჭესში და სილიბაურში წავაგე. ოთხივე სოფელში სერგო ჟღენტა გაიმარჯვა.


პრეფექტობიდან თითქმის ოთხი თვე იყო გასული, მე და სერგო ჟღენტა პირისპირ არ შევხვედრივართ ერთმანეთს, მას ორჯერ ჰქონდა მცდელობა, მაგრამ მე თავს ვიკავებდი. ახლა კი, არჩევნების მეორე დღეს მოვიდა მიღებაზე, რა თქმა უნდა, მივიღე. მან გამარჯვება მომილოცა,

დიდხანს აღარ გაჩერებულა კაბინეტში, მალე წავიდა.

ამ არჩევნებში აჭარის პრეფექტებიდან პირველ ტურში მე და ქობულეთის პრეფექტმა ანზორ თხილაიშვილმა გავიმარჯვეთ. ბესო ბიბინიშვილი დამარცხდა, ეს დამარცხება მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მას პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, ასლანის ინიციატივით და ძალისხმევით, ხელვაჩაურის პრეფექტობიდან გაათავისუფლებს. შუახვევისა და ხულოს პრეფექტები – შოთა ფუტყარაძე და ბეჟან გობაძე, მეორე ტურს დაელოდებიან და მხოლოდ მეორე ტურის ჩატარების შემდეგ გახდებიან დეპუტატები.

რაც შეეხება ბათუმის პრეფექტს, ტარიელ ფუტყარაძეს, იგი იმ დროისათვის უკვე აღარ იყო პრეფექტი. მან რატომღაც, აღარ ისურვა აჭარაში დარჩენა და თავი აარიდა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას.

გავა ცოტა დრო და ასლან აბაშიძე რამაზ ჟღენტს აჭარის პროკურორის თანამდებობიდან გაათავისუფლებს. ისინი მოსისხლე მტრებივით დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. რამაზი დატოვებს ბათუმს და სამუშაოდ თბილისში გადავა.



ჭაბუკ სურბანიძე

ჭიანჭველა

ბავშვობაში მინდვრად
ცნობისმოყვარეს
უნებლიეთ ზურგზე
ტვირთმოკიდული
ჭიანჭველა შემინიშნავს,
რომელსაც
შეხების სურვილით
ხელით გზა რომ
გადავუღობე,
თითზე ამაცოცდა
და სიმძიმე
მაინც გადაიტანა.
გამომშვიდობებისას,
მისი სიბეჯითით
მოხიბულმა
ბავშვური ალერსით
გზა დავულოცე...
ვერ გამიგია, რას
უშავებენ
სატანური სულის
კაცუნებს
ჭიანჭველები?!

* * *

მინას თვლიდა
ქალამნად,
ზეცას კიდევ –
ქუდად,

მეფე კიროსს
 სამყაროს დაუფლება
 სურდა.
 სულ სიცრუედ
 ნათლავდა
 ბედის ჩარხის
 ტრიალს,
 არაფერი ჰყოფნიდა
 გაუმაძღარ ტირანს,
 კიდევ დაუმორჩილა
 სხვა ტომები
 ირანს.
 მაინც ვერ
 აღასრულა,
 რაიც დააპირა,
 რადგან სისხლის
 ქვაბში
 გადაუშვეს ყირა.

* * *

თურმე
 მგლებსაც
 მოუნდომეს
 ნითელ წიგნში
 შეტანა,
 ეს იმ ღამის
 მერე,
 შვლებს რომ
 დაუბნელეს
 ქვეყანა.
 ჯუნგლის კანონს
 ვაუქმებო, –
 უთქვამს ერთხელ
 ნადირთ მეფეს,
 რაც ირმებმა,
 ქურციკებმა
 და
 ციყვებმა დაიჯერეს,
 მაგრამ, ვაი,
 რომ დაპირება

ნაჩქარევად დარჩა
თქმული,
ნუთუ მგლების
ბოროტ ზრახვებს
არ ექნება
დასასრული?!
ტყის წიაღში
ვიდრე ასე,
ალიქვამენ მეფის
ნათქვამს,
გაჩნდებიან
მოსარჩლენი
მგლებისა და
ვისიც გინდა,
გადაშლიან
ბრჭყალით
წიგნს და
შიგ მგელს
ჩაწერს
ვიგინდარა.

* * *

არ უწერია
სიკვდილი
გმირს – უშიშარს
და ჩაუქსა,
აღმოკიდებულ
ბრძოლაში
მომხდურს
მედგრად
რომ დაუხვდა.
არ შეეპუა
მტრის
ურდოს
და ბრძოლის
ველზე
დაეცა,
არად ჩააგდო
სიცოცხლე,
ოღონდ სამშობლო

დაეცვა.
 რჩეულს თუ
 ხელენიფება
 უკვდავყოს თვისი
 სახელი,
 არასდროს
 დაიხურება
 მისი ხსენების
 სარკმელი.
 ხსოვნას გულადი
 ვაჟკაცის
 მუდამ აქვს
 ნედლი
 ძირია...
 იმისთვის ვჩნდებით,
 რომ
 მამულს
 ვერვინ შეჭბედოს
 ძვირია.

ისე უნდა იცხოვრო

ვუმზერ მინის
 დედოფლებს
 ხეებს გადაპენტილებს, –
 ტოტზე ჩამონათოვებ
 ფიფქთა მრავალწერტილებს.
 აფეთქება რტოების,
 გულის ნაღმი –
 ნუგეში,
 პატარძლებად კეკლუცობს
 ატმები და ნუშები,
 ბავშვობიდან გამზრდელი
 სანაპიროს ქუჩები,
 ბიჭურ გულის
 ძგერებას
 ველარ გადავურჩები.
 პეპლებს გამოტყდომიან
 სიყვარულში სერები,
 თვალწარმტაცი სანახის
 ხილვას ველარ

ველევი.
 სანამდე დამატყვევებს
 მოხასხასე ველები,
 ხან მზით
 განაბრწყინები,
 ხან ცვარ-ნამით
 სველები
 გვირილების მზერებით
 ბაგე მიმზიდველები,
 სიკვდიმდე მათ
 სიტურფეს
 სუნთქვით მოვეფერები.
 მაგრამ განცდა
 სხვაც ახლავს
 იერთ გახარებას
 (არსებას ვერ უბრძანებ
 ერთ ნოტაზე
 ტარებას...),
 რადგან სრულად
 სჭირდება
 მამულს გამოდარება,
 შეგვძლებოდეს ჩვენ
 მისი
 სევდის
 გაფერმკრთალება.
 ცალმხრივია სხვაგვარად
 სულის
 ფერისცვალება,
 ისე უნდა
 იცხოვრო,
 ღირდეს გარდაცვალება.

მის ბრწყინვალებას

ალაზანს შეხვდა
 ალიონს,
 შეაკვრევინა
 ბინდს ღილი,
 კავკასიონი – ძველიდან
 დღევანდელამდე მანძილი.
 ვერაგის არამცნობელი,

ლახვარად გულს
 რომ გადასწვდა,
 მტერისთვის გამოვიმეტებ,
 რაც ლეკთა ბელადს
 გადახდა.
 მახარებს, ჩვენი
 ლადარი
 კერიას რომ არ
 მინავლდა,
 ჭავჭავაძიანთ სამკვიდროს
 ვეთაყვანები – წინანდალს.
 ყვარელს, გრემსა და
 იყალთოს
 არ ეთქვას ჩვენთვის –
 ვინ ხართო,
 მის ბრწყინვალეობას –
 სამშობლოს
 სხვაგვარად როგორ
 მივმართო.

ალაგერდი

მოუშიშვლავთ
 კაკლებს მკერდი,
 გზად შემოგვხვდა
 ალავერდი.
 მრევლის გულში
 სათავისოდ
 შეღწეული უფლის
 ხვედრი –
 ლოცვა ქვეყნის
 შემავედრი.
 უხმოდ ხილვა
 მენადა და
 გაჩუმებას ვერ
 დავჯერდი,
 როცა ფრესკებს
 ვუცქეროდი,
 თვალუნვდენელ
 თალის გვერდით.

დავით გურამიშვილს

სახით სიტყვა-შვენიერო,
 სხიო, მზეთა-მზის სახეო,
 ვეძებე და შენი მსგავსი
 მე აქ ვერცადა ვნახეო;
 გეაჯები, ნუ გამწირავ,
 მოვჰკვდე, შენ კერძ
 დამმარხეო.

დ. გურამიშვილი

მახსოვს ჯარში
 მიღებულმა ამანათმა,
 პოლტავაში საქართველო
 უსაშველოდ მომანატრა,
 თავს დამადგა
 ღვთაებრივი ათინათი,
 მშობლიური ხმა
 მანვდინა
 ჩემმა დიდმა
 წინაპარმა.
 და ფიქრებით
 გავჩნდი
 უმაღ მირგოროდში,
 ზუბოვკასთან
 გურამიშვილს
 დავეძებდი,
 მსურდა წამით,
 რომ
 შემეველო მისთვის
 თვალი,
 იქნებ, ჩემში
 დაენახა
 საქართველოს
 მომავალი.
 მე მწყუროდა,
 რომ
 გამეთბო
 მისი გული,
 ქართლის ბედზე

უსასრულოდ
 დაზაფრული,
 მირგოროდში იდგა
 მაშინ გაზაფხული
 და შორიდან
 ლამისყანას
 კვლავ ეტრფოდა
 მგოსნის სული.
 ზეცა იყო
 ლამაზი და
 მოსარკული,
 ღიმილივით
 მსუბუქი
 და მარტივი,
 მის საფლავთან
 მიველ,
 მუხლი მოვიყარე,
 დავიტირე
 სამშობლოსთვის
 მარტვილი...
 მახსოვს ჯარში
 მიღებულმა ამანათმა,
 პოლტავაში
 საქართველო
 უსაშველოდ
 მომანატრა...

ბაბუშა

ო, რა მალე
 მიიღია ხანი,
 დანაპირებს ვერ
 ვასრულებ კვლავ
 და რატომღაც
 თავს ვიმშვიდე
 ისევ,
 ბაბუასთან
 ნავალ-
 მეთქი ხვალ.
 სიყვარულით

ეგებება
ყველას,
მისი მზერაც
ხომ თილისმას
ჰგავს,
თუმცა ზოგჯერ
დამტუქსავდა
კიდეც,
აამებდა პანანინა
ძმას.
მიყვებოდა ომის
მრუმე დღეებზე,
ჩხია თვალებს
უნამავდა
ცრემლი
და ცხოვრების
ანბანს ჰგავდა
მისი
კუნთოვანი,
დაკოჟრილი ხელი.
გუშინ ძმაკაცს
განეშორა
სევდით
და ამქვეყნად
უმეგობროდ დარჩა,
შესანდობარს
გულმოკლული
სვამდა,
თანაგრძნობა მისი
გულში ჩამრჩა.
ო, რა მალე
მიიღია ხანი.
დანაპირებს ვერ
ვასრულებ კვლავ
და რატომღაც
თავს ვიმშვიდებ
ისევ,
ბაბუასთან წავალ-
მეთქი ხვალ.

ქედა

მთაში შეფარებულ
 ქედანს
 მივამსგავსე შორით
 ქედა.
 თუმც სიმშვიდეს
 არ აცლიდნენ,
 ახარებდა ვაზს
 და კედარს,
 წინათ რა
 გზაც გაიარა,
 არ იჩემებს
 თავის ქებას.
 ქედს მოვუხრი
 „დედაბრულით“
 ნასაზრდოებ
 გუთნისდედას,
 თამარის ხიდს
 წინაპარის
 რჯულისათვის
 თავდადებას.
 მისი ხილვა
 ყველა ჯერზე
 მოგანიჭებს უმაღ
 შვებას.

ის გამობრჩენს...

შვილს – ხათუნას

ვერ წაადგები
 სამშობლოს,
 თუ არ სულდგმულობ
 ქართულად,
 ვგრძნობ შენში
 როგორ ხმიანობს
 ეს სისხლის ძგერა,
 ხათუნა.
 ის გამოგაჩენს –

ჩვენ ლიბოს,
რასაც შემატებ
სართულად,
დაუკარგია ყოველი,
ვინაც განცხრომით
გართულა.
მოვლენილი ხარ
ამქვეყნად
მშობლის, შვილების
სალბუნად,
იხედებოდე სხვის
გულში –
უფალმა ღმერთმა
გარგუნა.

* * *

შვილიშვილს – ლიზას

მოისურვებს – სწვდება
ვენეციას, პიზას,
აიპადით ყველგან
დანავარდობს ლიზა.
შეაშველებს კომპასს
ზღარბს,
აცდენილს გზიდან,
ეკალის ქვეშ
სხვისგან
შეფარებულ ხიზანს.
მეგზურობით საზღვრავს
ყველა კეთილ
მიზანს.



ტუბუ გორბიდაძე

თოვლი

ფიფქები ბარდნიან, ვისკი და ბალზაკი.
ვეცნობი ამინდებს, პარიზი „Bonjour“.
მე შენში მომნონდა რისკი და ბარბაცი.
ვბლაოდი დათვივით თოვლიან მთებს შუა!
უხდება ლირიკა, კლასიკა – შოპენი.
კრიტიკა თავის და სიმთვრალე ულევნი.
ვხდები რომ ჩემს ეგოს ვტანჯავ და ვშორდები.
მეცლება ასაკთან ცხოვრების უღელი!
ფიფქები ბარდნიან და ჰქრიან რარიგად.
ბეთჰოვენს ანაცვლებს ჯაზ-ფიუჟენი და
ტრიალებს ფირფიტა, სანთელი, მაგიდა.
ბარათი, თარიღი. გწერ მიუნხენიდან.

მძღვნება დედებს

როგორ დავინყო დედაჩემო ლექსი არ ვიცი,
ყოველი ღამე ცოდვებს ვითვლი ისე განვიცდი!
სიტყვები მხოლოდ სიტყვებია, ლექსი – ლირიკა.
გამოგიტყდები გამიჭირდა ფიქრი, კრიტიკა.
– მე მერამდენედ დავაპირე სიტყვა – მიყვარხარ,
კვლავ შენს კალთაში მოვინდომე თავის ჩადება.
მაგრამ ასაკს და სიამაყეს უკან მივყავარ,
თუმცა ფიქრებში ბავშვობა ისე ჩერდება –
თითქოს კინოა, სიუჟეტი, მხოლოდ ბავშვობა,
ისე რომ არ მსურს დედაჩემო ხელის გაშვება.
შენი თვალები, შენი მზერა, შენი ღიმილი –
გულის სალბუნი, სულის კვება, შენი ღიღინი –
თითქოს და მერცხლის ჭიკჭიკივით ისე მესმოდა,
შენი ტუჩები ჩემს შუბლს ტკბილად რომ ეხებოდა!

თვალეზს ვხუჭავდი არ მეძინა მერიდებოდა
 (რა მარტივია შვილად ყოფნა, რთული – დედობა).
 მერიდებოდა, მეთქვა შენთვის სიტყვა – მჭირდები.
 შენი ხელებით მონაქსოვი თბილი წინდები,
 უშუქობაში, სანთლის შუქზე, ახლა წინ ვდგები –
 სარკის, ვხედავ თავს უცნაურს და უკეთ ვრწმუნდები –
 რომ წლებთან ერთად მიგროვდება ტვინში ლაქები.
 რომ ცოდვებს ისე დავემონე ვეღარ ვლაგდები!
 როგორ გამომდის მოფერება დედა არ ვიცი,
 ყოველი ღამე ცოდვებს ვითვლი ისე განვიცდი!
 სიტყვები მხოლოდ სიტყვებია, ლექსი – ლირიკა.
 გამოგიტყდები გამიჭირდა ფიქრი, კრიტიკა.

ბაღდა

– მე შენს თვალეზში ვიპოვე სხივი,
 გაყინულ გულს რომ წამებში ალღობს,
 ვივსები, ვტკბები სიკეთის ხილვით,
 სული მშიერი, რარიგად ლაღობს.
 ცა, ჭორფლიანი ნავარდობს ზღვაში,
 მთვარე ფლირტაობს, გრძნობებით სავსე,
 ისმის ლირიკა, ვნებათა ზღვარი
 აღარ არსებობს, წამოდი დავსხდეთ,
 დავღვაროთ სევდა, ვიფრინოთ მთებში,
 როგორც ნისლევი ღებავენ მინდორს,
 ცა წურავს ღრუბლებს, იწყება თქეში,
 ეს ხმები მოგავს მაჟორს და მინორს!

მინიმები

1
 ნენეს –
 ჯვარდასმულ
 მჭადს,
 ბადიში
 „ბისმილათი“
 მიირთმევდა,
 თამარის
 ხიდს
 კი
 ბობოქარი
 მდინარე,

პანაშვიდს
უხდიდა
წინაპრებს...

2
ნეტა
თუ იცოდნენ
ღრუბლებმა?
როცა
ტიროდნენ,
მათი
ცრემლები
იას
ეამებოდა...

3
დღეს
კვლავ
მოფრინდა
აივანთან
მტრედი
საჭმელად,
თუმცა
არ იცის
ვინც
აჭმევდა
გარდაიცვალა...

4
ნეტა თუ იცის
მზემ
თუ
როგორ
შეუძლია
ატიროს
მთები;
თავად მზისგან
გაფურჩქნული
ენძელა,
მთის
ცრემლებისგან
წამოსულმა
ნიაღვარმა
წაილოს!

ხმა ამოიღე ყმანვილო

ხმა ამოიღე ყმანვილო,
 პოეტს უსმინე, ლირიკოსს,
 იტირეთ ღრუბლებო, ინვიმოს.
 (მავანმა თან მაკრიტიკოს!)
 მომწონს თქეში და ქუხილი,
 მეტი ფასი აქვს მზის სხივებს,
 ვგავარ, ვარსკვლავებს უხილავს,
 მთვარე რომ აღზრდას უპირებს!
 ყოველ დაცემას მოყვება,
 გაზაფხულს ფეთქვა კვირტების,
 ვფიცავ, ერთგული „მოყმე“ ვარ
 ზამთარგამოვლილ ჩიტების!

* * *

აღარ ვნერ ლექსებს, სულს ვერ ვმკურნალობ,
 ეს განსაცდელი ჭექა-ქუხილი,
 სადა ხარ მზეო? ჩემო მკურნალო.
 ფიქრებში, მწერდა გრძნობა წუხილის.
 ცა – ჭორფლიანი, მზე – ღრუბლის მსხვერპლი,
 ქუჩა – ძაღლებით, კედელზე – ლექსი,
 – მე კვლავ ზურაბის ლირიკას ვეტრფი,
 ყველაზე მეტად ჩემი რომ ესმის!
 და ეს წუთები იბერებიან,
 ასაკს აკლდება ყოფა, ხალისი,
 მუდმივი ქვეყნად არაფერია,
 მაშ, ნუ ვიცხოვრებთ მხოლოდ ხვალისთვის!
 მარადიული რჩება სახელი,
 კაცად ცხოვრება მეტად რთულია,
 ყოველ დილით რომ თვალებს ვახელდი,
 ვგრძნობდი, ჩემს სხეულს რაღაც სწყურია.
 ვერ ისვენებდა შიგნით პოეტი,
 გარეთ სამყარო არ ასვენებდა,
 ნავედი მაგრამ მაინც მოვედი,
 საკუთარ თავის გასასვენებლად!



დადი თადორაძე

შური ჰირი

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ზარმაცი და ურჩი ვირი. საქმეს მუდამ თავს არიდებდა. როცა პატრონი თვალს მიეფარებოდა, წამოწვებოდა და ოცნებებს მიეცემოდა.

ხშირად მეგობრებს დასცინოდა გულიანი შრომისთვის. მარტო და განცხრომით ცხოვრების სიამტკბილობაზე უყვებოდა და გაქცევის გეგმებს სთავაზობდა, მაგრამ არავინ უსმენდა.

ერთ დღეს, მინდვრად გასულმა, ჯერ ყროყინი მორთო, შემდეგ ტლინკები აყარა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. მეპატრონე დაედევნა, ეძახა, მაგრამ ბოლოს თავი მიანება. – სად წავა, ან დაბრუნდება ან მგლების ლუკმა გახდებაო, – ჩაილაპარაკა სირბილისგან გულამომჯდარმა და უკან დაბრუნდა.

ურჩი ვირი გარბოდა, თან უკან-უკან იხედებოდა. როცა დარწმუნდა პატრონი აღარ მოსდევდა, გაჩერდა, ცოტა დაისვენა და ნელ-ნელა განაგრძო გზა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ გაშლილ მინდორში, გზასთან ახლოს, თავჩაქინდრული, მტვერისგან გაყვითლებული ვირი დაინახა.

მიუახლოვდა და რას ხედავს – მინდორზე მკვდარი კაცი წევს. ვირი თავზე დადგომია და ცრემლებს აღვარღვარებს.

– რა დაგმართნია, ძმობილო. ეს ვინ არის, ან შენ რა გატირებსო?

მტვრიანმა ვირმა გული რომ იჯერა ტირილით, სლუკუნით დაიწყო მოყოლა: – ეს კაცი,

ჩემი პატრონია. ერთ დროს ძალიან მდიდარსა და გავლენიანს, ცოლი გაუხდა ავად. უკუურნებელი სენი შეეყარა. ყველაფერი გაყიდა, მაგრამ ვერაფერი უშველა. ამ ბოლოს, ერთი დოსტაქარი ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში. კაცს დაპირდა მოვარჩენ, ოღონდ ურთულესი ოპერაცია სჭირდება, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ჩემი პატრონი არც დაფიქრებულა, მისი უშველებელი და ულამაზესი სასახლე გაყიდა. ერთი ხის ქოხი ააშენა და შვილებთან ერთად იქ დასახლდა. დღეს ფული დოსტაქართან მიგვქონდა. უცებ, ვაიმე, გულიო დაიძახა, წაიქცა და მოკვდა... ახლა რა უნდა ვქნა... – ისევ ატირდა ვირი.

– ეგ, ამხელა ხურჯინი ფულითაა სავსე? – თვალეხი შუბლზე აუვიდა ურჩ ვირს.

– კი, დღეს შეთანხმების ბოლო დღეა. ფულს თუ ვერ მივიტანთ, ქალიც დაიღუპება.

– მერე, რას ელოდები. რატომ არ მიდიხარ?

– ვერ წავალ. პატრონს აქ ვერ დავტოვებ, მხეცები დაგლეჯენ... ცოდოა. – თქვა ვირმა და ცრემლები ლაპალუპით გადმოსცვივდა.

„ვაი, შენ მართლა ვირო – ფიქრობდა ურჩი ვირი, – ბედმა გაგიღიმა, პატრონი მოგიკვდა, ზურგზე უამრავი ფული გაქვს აკიდებული და იმის მაგივრად ცხოვრება აიწყო, დგახარ და მოთქვამ“.

ვირს რაღაც ფიქრმა გონება გაუნათა. სიხარულისგან თვალეხი აუციმციმდა.

– იცი, რაა? – დაიწყო ფრთხილად, – მე შემოდლია ეს შენი ხათრით გავაკეთო!

– რა, რა შეგიძლია? – გამოცოცხლდა მტვრიანი ვირი.

– რა და, მითხარი მისამართი და მაგ ფულიან ხურჯინს წავუღებ... თუმცა, არა, არა. მე ჩემს გზაზე მივიღივარ... ვერ ვისწავლე სხვისი ტვირთი, რომ არ უნდა ავიკიდო... ისედაც უამრავი საქმე მაქვს... – და თითქოს წასვლა დააპირა.

– მოიცა, მოიცა. არ წახვიდე ძმობილო... გემუდარები, ეს სიკეთე გააკეთე და მთელი ცხოვრება შენთან ვალში ვიქნები.

ბევრი უარის და განევ-გამონევის შემდეგ, ურჩმა ვირმა, ვითომ უკმაყოფილო სახით, ფულით სავსე ხურჯინი აიკიდა და ნელ-ნელა გაუდგა გზას. თვალს მოეფარა თუ არა, ჯერ სიხარულით კუნტრუში და როკვა დაიწყო, მერე გზიდან სწრაფად გადაუხვია. იპოვა ერთი მიტოვებული ქოხი, დამპალ იატაკზე ფული გაფინა, ზედ წამოწვა და მთელი ღამე მისი სუნით ტკბებოდა. მეორე დღეს კი სირბილისგან აქოშინებული ჩავიდა ქალაქში. დაიქირავა კალატოზები და შუაგულ ტყეში, დიდ, ღამაზ მინდორზე სასახლე ააგებინა. უკარო და უფანჯრო სასახლე, რომელსაც ერთი, პატარა სარკმელი დაუტანა. სამაგიეროდ შემინული სახურავი გადააჭიმვინა, რათა მხარეთქობზე წამოწოლილს ვარსკვლავებიანი ცისთვის ეცქირა.

საწყობი და საკუჭნაოები სურსათ-სანოვაციით და წყლის ბიდონებით გაავსო. ბედნიერი სახით მიმოიხედა, ხომ არაფერი დამავიწყდაო და როცა დარწმუნდა ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდოდა, წამოწვა სპეციალურად შეკერილ დიდ ტახტრევანზე, გვერდით საჭმელ-სასმელი მოიწყო და ბედნიერების ოხვრას ამოაყოლა:

– ამბოდენ, ცხოვრებაში ერთხელ ჩამოვივლის ოქროთი დატვირთული აქლემების ქარავანი და უნდა გამოიყენო... იდექი ახლა მაქ, სიცხეში, მტვრიანო ვირო და უდარაჯე მკვდარ პატრონს. – მერე გემრიელი ნუგბარიც მიაყოლა ნოყიერ საჭმელს, – თუმცა, ახლა არც შენი და არც შენი

პატრონის ძვლებიც აღარ იქნება. ასეც მოგიხდება. – მთქნარებით ჩაილაპარაკა. გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა.

გავიდა ხანი. ვირს უქმად ყოფნა და კოტრიანი არ მობეზრდა. პირიქით, ისე გაუტკბა, ფეხზე წამოდგომაც კი ეზარებოდა, ამიტომ ყველაფერი სასთუმალთან დააწყო. ჭამდა და სვამდა, ნებივრობდა და ეძინა. ისე გასუქდა, უშველებელი ტახტრევანი ყველა გადაბრუნებაზე საწყალობლად ქრიალებდა. ხშირად ისმოდა მშვიერი მგლების და ტურების ყმუილი, რაც ნანინად ჩაესმოდა, ენით აღუნერელ სიამოვნებას ანიჭებდა და ყოველ ჯერზე მიაძახებდა: – რა ბედნიერება ყოფილა, როცა მე თბილ სახლში, მაძლარი ვნებივრობ და თქვენ, მშვიერი, გაყინული დაძრწით ტყეში ლუკმა-პურისთვისო და ისე ახარხარდებოდა, კედლები ზანზარს იწყებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, დილით, ახალგამოდვიძებულმა (არ უნდოდა თვალის გახელა, რადგან ძილის შებრუნებას იპირებდა) ხელის ფათურით დაიწყო წყლის ძებნა. ბოცას ხელი გაკრა და წყალი დაიღვარა. ბუზლუნით წამოდგა, ეზარებოდა, მაგრამ მთელი ღამის ნაჭამს ხახა ისე ჩახრაკოდა, ნერწყვს ძლივს ყლაპავდა. საკუჭნაოში ზღაზვნით შევიდა და ელდა ეცა, წყალი გამოლეოდა. გადაჩხრიკა, გადაქექა ყველაფერი, ცარიელ ბოთლებს აპირქვავებდა, მაგრამ ამოდ. გაბრაზებულმა მილენ-მოლენა იქაურობა და წყლის მოსატანად წასვლა გადაწყვიტა.

ძლივს გამოალო ნახევრად ჩაჭანგული სარკმელი. თავი გაყო, შეათვალიერა, ვინმე ხომ არ მიდარაჯებსო და გადაძვრომა დაიწყო. თავის შემდეგ წინა ფეხები გადაყო, უნდოდა გადამხტარიყო, მაგრამ მოულოდნელად სარკმელში მუცლით გაიჭედა. ბევრი იჯახირა, ბევრი ინვალა, მაგრამ ვერც წინ წავიდა და ველარც უკან შებრუნდა. შიშის, სიმწრისა და მცხუნვარე მზისგან გაოფლიანებული, რაც უფრო მეტად იბრძოდა, მით უფრო ეჭედებოდა სარკმელში.

დალამდა. უკუნი სიბნელე ჩამოწვა. ვირი ყროყინებდა, მშველელს უხმობდა, მაგრამ ამოდ, მხოლოდ მთები ეხმიანებოდნენ. შორს მგლებ-

ის ყმუილი გაისმა. ვირი ნანობდა, კარი მაინც გამეკეთებინა სახლისთვისო... უცებ მოეჩვენა მტვრიანი ვირი, რომელსაც ზურგზე ხურჯინთან ერთად პატრონი გადაეკიდებინა, ხელს უქნევდა და ღრუბლების კიბით მსუბუქად ადიოდა სადღაც, სიმაღლეზე. ურჩ ვირს თვალები გაუბრწყინდა, გადარჩენის იმედი გაუჩნდა. – მიშველეთ! მიშველეთ! ყველაფერს უკლებლივ დაგიბ-

რუნებთ, ოღონდ გადამარჩინეთ! – ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებდა და ხრიალებდა... მშველელი კი არსად ჩანდა. სამაგიეროდ, მგლები თანდათან უახლოვდებოდნენ. აი, სიბნელეში გამოჩნდა მათი მოელვარე, მშვიერი თვალები და ფართოდ დაღებული, დუჟმორეული პირი... ვირის ღრიალმა ტყე გადასერა. ორ წამში, ჩასუქებული, ნაპატივები ვირისგან ძვლების გროვა დარჩა.



პაატა სურბანიძე

ხატის ანბელოსი

გულია სულის საკან-კელია,
ბერიც სენაკში ხატო ვანდება.
ხატი კანკალით საკანკელია,
როცა ღვთის სიტყვა ხატოვანდება.

მზემ, პანალიას, გამა ხავერდის,
ხელთუქმნელ ხატად მოუბარხატა.
ანგელოსის ხმა გამახარებდი,
გულის კულონში მოუბარ ხატად.

ვინმე მექცევა განა თემურად,
რომ მწამს ხატამზე ნატიფ სახული.
მაინც განმკვეთეს ანათემურად,
ხატზე გადამცეს, ხატის მსახური.

მერვე სტოტრება

ვწერ და ვიქნები, ჩემი რა მიდის,
ვარდთან შეხვედრას ია მპირდები.
თმებზე ბალები სემირამიდის,
მკერდზე ნაგები პირამიდები.
თვალი-შუქურა ალექსანდრიის,
ვარსკვლავთმრიცხველი მოგვი ხდებოდა,
ხორცს მხეცი ერჩის და ლექსს ნადირი,
ზენიტში ფრენა მოგვიხვდებოდა.
ძველი ღმერთების მოქანდა ქება,
ოლიმპიაში გელის ძაგება,
გადავდე ზევსის მოქანდაკება

მინდა ქალღმერთის ძეგლის აგება.
 ნუ მოგეშალოს არტ ეს იმედი,
 ყველგან მივყვები ეროსს სტრატეგად.
 მწვავს, საოცრება არტემიდესი,
 მის დასაწვავად ჰეროსტრატე დგას.
 გამომიწოდე ხელი მეფესო,
 პოეტს ყველა ლექსს ქალი კარნახობს,
 ფიქრით ვიხილე ძველი ეფესო,
 რაც მკვდარ ოცნებებს ჰალიკარნასობს.
 ასე არავინ ააკოკოლოს,
 ძეგლი გემების სანადიროდო.
 რა გინდა მეტი დააკლო კოლოსს,
 გნახავ, ვნახავდი სანამდი როდოსს.
 ეფერებოდა დაისს ფაროსი,
 აღწერს მშვენიერებს ანტიპატროსი,
 ვისზეც ვწერ, ღმერთმა დაიფაროს ის,
 არ ვარ საუნჯის ანტიპატრონი.
 ეგვიპტის ცაზე სემი რა მიდის,
 მთვარე გაოცდა პირად დიდებით.
 მწამს დედოფალი სემირამიდის
 და ფარაონი პირამიდებით.
 ერთი ხმით მღერის ცა ოც არიას,
 შვიდ საოცრებით მამხელდა მერვედ.
 საოცრებებზე საოცარია,
 პირველად ქალი, სახელად მერვე.

ღურჯი მორიელი

ჩემში მძინარე მორიელია,
 რომ არ მასვენებს, Memento რული.
 სიკვდილს მიცხადებს ორი ელია
 და ნოემბრის ხმა, მე, მენტორული.
 პარიზს მიხსნიდა მე ცა, გარელი,
 ცეცხლს რომ მიკიდებს, ზოდი, აქ ალურს.
 ვარ ჩემი ბედის, მე ცაგარელი,
 რომ ქალს ვნებდები ზოდიაქალურს.
 ღრუბლებზე ხატავს, შორი ელდებით,
 ვრუბელი ჩვიდმეტ დემონს მარტებით.
 გულში ისიდა მორიელდები,
 მარტი მომნატრის, დღეს მონმარტრებით.
 ობობას სახე დამიგეს, მკლავენ...

არაქნე პოეტს არ აქნი დებით.
 სამეფო კბენით დამიგესლავენ,
 ფარაონის გულს არაქნიდები.
 შავი სამოსით, ცა შინელდება...
 ხვალ ჩემ სიცოცხლეს mori ელი სად?
 საშინელება, მაშინ ელდება,
 გამოლვიძებულ მორიელისა.

სულამიო

ორ სიტყვით, სულ ამით, „მოზრუნდი სულამით“.
 ვაზის ჯვარს ვევენები მარხული მტევნებით.
 მდინარის ხმაური დაფარე სუ! ლამით.
 თვალყურის დევნებით, მიდიხარ, მტევ ნებით.
 თოვლზე დევს სულის მთა, შეგითხზავს სულა მითს,
 მაგ ტანთა ფინიკი სხივებზე გადაწვა,
 ბიბლიას, სულმნათი გიკითხავ, სულამითს,
 არ მინდა ამ გულის სხვის ბედზე გადაწვა.
 ვგძნობ მკერდის მთაგრეხილს და ბორცვებს კარმელის,
 მონეულ ძონეულს, დაბრანულ ბრონეულს.
 თვალების გახელით ედემის კარს მელი,
 ჯოჯოხეთს მიმზადებს რადგანაც ბრბო წლეულს.
 ფერდებზე გიყვავის ვარდები დამასკოს,
 ეგ ყელი მაღალი – „სპილოსძვლის გოდოლი“,
 მოზრუნდი, რომ მოსვლამ დარდები დამაკლოს,
 უდაბნოს მკვდარი ხმა გავარდა გობ-დოლის.
 გოდების კედელი შენს თვალებს ბჭედ ელის,
 მინდოდა ვენახში რთვლობისას მყოლოდი.
 სჩანს მთვარის ბეჭედი, ცის ბედის მჭედელი.
 ღვინოს ღვრის შენ ხანში შესული მყოდოლი.
 ჩვენ ვინვით ცალ-ცალკე, ქულამით-შამფური,
 ვრცელი და მაღალი სული გაქვს სულამით,
 შემოდის ჩემს სულში ნახტომით სამ ფურის,
 ცრემლის გზა ალალით, ქარავნით, ულამით.
 და „ესეც გაივლის“, მშვიდობით სოლომონს,
 გედების გოდების ჩემთვის აქვს სოლო მონს.
 მიწიერს უყვარხარ ციერი სულამით,
 მოზრუნდი, დამადე, გულის ქნარს სალმუნი,
 ისრაელს შემოდი იერუსალიმით,
 რომ შევქმნა ლურჯ სულით მორწმუნის ფსალმუნი.

ბებერ და ბრძენ გულსაც მომიარს მორია,
 სულ მათი ბრალთა, რწმუნდები სულ ამით,
 გოდებით, ამ სულით რომ იარს მორია.
 თუ ლამის დაგკარგე, ბრუნდები სულამით?

ცისფერი დროშა

მზისფერმა აჯად-ოქროს კალა-მზე,
 სულის აწევა აღმა რთულია.
 ცამ-მეტი მეტრის ოქროს კალამზე,
 ცისფერი დროშა აღმართულია.

ცაზე ხმოვანი „ანა“ ნავდება.
 ცეცხლოვან გემზე აფრით ალები,
 წყლიანი ენით ანანავდება,
 შტორმში ზღვის გულის აფრიალებით.

ცივი სიტყვები მყინავს, ცხელ დროში,
 რომ მენატრება ცა ნეტარულად.
 დავიპყრობ, ციურ (ცის ნავს) ხელდროშით,
 ცისფერი დროშით პლანეტარულად.

ხომლამდი მიმქრალ მთვარით ხო, მალდი...
 ცაზე ლანდს სტოვებს „გემი დალანდი“,
 ზღვას ატორტმანებს „მთვრალი ხომალდი“,
 ციურ მელანში გავმაგელანდი.

გათეთრდა ლამის დაირა ლებვით,
 ისრით ასწია (გულის **flag**) მანის.
 ჩნდება ცისფერი ბაირალებით,
 თოვლივით გემი, სულის ფლაგმანი.

ეს დრო მიხსნიდა – ცისკარს იმ დროში,
 ამ დროშით შენთან მინდა დრო შებმა.
 სული მოძრაობს, ცის სამკვიდროში,
 რომ იფრიალონ წმინდა დროშებმა.

შევდგები ცისფერ კალმის ევერესტს,
 თეთრ ბუნიკს ხელი გალამ დარია.
 ვერ მოვესწრები აღმის „ever rest“-ს,
 მეკალმე ფურცლის ალამდარია.

სწევს ხატის დროშას ბარხატის ტარი,
დანევა გინევთ დროშა-ალმისა,
დროშიონს უძღვის ბაირახტარი,
რადგან დამდგარა დრო შავ სალმისა.

ცისფერ ძეგლს მიდგამს მე დრო, შენებით,
საფლავს ეცემა ცა ლაჟვარდებით.
ვლაშქრავ თეთრ პარნასს მედროშე ნებით,
ღმერთმა პატივი მცა ლაჟვარდებით.

მზისფერმა აჯად-ოქროს კალა-მზე,
სულის აწევა აღმა რთულია.
ცამ-მეტი მეტრის ოქროს კალამზე,
ცისფერი დროშა აღმართულია.



ნანა კადანდაძე

დილა

საცაა, დილა შემომამტვრევს ჩემს სარკმლის მინებს,
გარეთ კი, თეთრი ოცნებები ფიფქებად ცვივა,
უფერო ფიქრებს არევიათ გონში ნუთები,
სამზეო უხმოდ მიიცვალა, თითებშიც მცვივა.
გადაიკარა, არემარე აბრწყინდა მზეზე,
სინატიფეში ჩაიძირა ბნელის სიჩუმე,
მამლის ყივილზე აფუსფუსდა სოფელი გზებზე,
და წამიერად, შენი სუნთქვის ფერი ვისუნთქე...
მზერა აორთქლდა, აისვეტა ცათა კაბადონს,
პულსის უხეში რიტმი გულში თრთოლვით ასევდდა,
მუქი სიფერის ვირუსები ღამემ გადამდო,
და კვნესა მყიფე, სულის ტოტზე გრძნობით აცეკვდა.
აისის შუქმა გამიწინა ურვის ფარდები,
ჩემს სახედებში ჩაიძირე გულის ფსკერამდი,
ფიქრის სარკმელზე მწოლიარე დღეში გავები,
და ყოფიერი საცხოვრისი მოდის ჩემამდი.
როცა კი, დილამ შემომილო სახლის კარები,
ღამის ზმანების სპექტაკლიდან უცებ გავვიდი.

ფერადი ზღაპრები

და როცა ოცნებამ ჩაიცვა თალხები,
ფერადი ზღაპრები ქვიშაში დაყარა,
როცა აისხა მძივებად ნამსხვრევი,
როცა, ფიქრებით დღე ღამეს გაჰყარა,
როცა ღრუბლებად ცის ნასხლეთს ჩამოჯდა,
როცა, ო, როცა აწვიმა სამყაროს,
როცა ნამეხარ ზეცაზე გამოჩნდა,

როცა ნაშალა მზის სხივი სადარო,
 ნამნამზე ცრემლებად ამბორი დატოვა,
 ამომიტვიფრა გულს დალად სევდები,
 სანუთრო მდუმარედ, მალულად დატოვა,
 ვერაფერს ვერ ვამბობ, უბრალოდ ვხევედები...
 უფალო, შემინდე, სიცოცხლე ძნელდება,
 შემინდე ცოდვები, ტკივილის სანაცვლოდ,
 ცხოვრება შავ-თეთრი ფერებით გრძელდება
 მე კი მსურს ნათელი ფერებით დავლაშქრო...
 და, როცა ოცნებამ ჩაიცვა თალხები,
 ქვიშაში გამებნა ფერადი ზღაპრები...

მარტი

სურნელდაფრქვეულ, დაფერილი ქრელი ხალიჩით,
 შემოაბიჯა მძლავრი ტერფით, ტოტებაშოლტით,
 უბეში სითბოჩაგუბებულ თვალთასხივოსნით,
 კეკლუცვარდობით, იაობით, ენძელაობით,
 კვირტებდაბერვით, ფერთა გამით, გაზაფხულობით,
 მედიდურობით, კოპნიობით, ყელყელაობით,
 მზისა და ღრუბლის ერთურთვისთვის ბილწსიტყვაობით,
 მარტის, უმარტეს მარტისაებრ, მარტააობით...

ხანი ბაჰიდა

მზე იჭყიტება თოვლის ფანჯრიდან,
 კრთის სხივი სპეტაკ ფიფქთან შეხებით,
 უკვე რამდენი ხანი გავიდა,
 ზეცის ფერებში ჩუმად შეხების...
 თითებზე ვითვლი ლამაზ ამბორებს,
 ჩემთან მოსვლით რომ მახარხარებდა,
 ეს გაზაფხული სევდას აგორებს,
 და დროში ფიქრი გამასხარავდა...
 გულში ჭრილობა ველარ დავხურე,
 ველარ ჩავრაზე ტკივილის ვნება,
 ეს რა გრძნობების ფერი მასხურე,
 იარებით და ვარამით შვება...?
 გავჭალარავდი, იცი, გავედი,
 გადავაბიჯე უკვე სამზღვაროს,

ყოფნა/არყოფნის ქსელში გავები
ვინძლო, გამოვხსნა, გადავატარო...
მზე იჭყიტება თოვლის ფანჯრიდან,
უკვე რამდენი ხანი გავიდა!

* * *

ხელისგულებზე წვიმის წვეთები
და მოგონების ფთილები თრთიან,
თოვლჭყაპია და ადრით გაზაფხულს,
გრძნობაარეულთ ფიქრები ცრიან.
ეს გზაც ხვეული, ბილიკთა ხმობით,
სევდად ჩამდგარა ცრემლთა ტბორებით,
შორიდან მიმზერს გუბაზის პირად,
აგორებული ქვიშის გორები...
ფეხზე ბოტები, ფლანელის კაბას
დადინებული მუქი ფერები,
ბავშვობის წლებო, როგორ მიყვარხართ,
ხედვების მიღმა სულ გეფერებით...
ხელის გულებზე თოვლჭყაპის სითბო,
შენითლებული ხელების ორთქლი,
ჩემი ბავშვობის დღეები მიხმობს
და უცნაური წვეთების შფოთი...



თორნიკე კანდიდაკი

მომავალი წიგნიდან „ქარების სახლი“

ხიდზე

ახლა, როდესაც ამ წერილს გიწერ,
ლამეა, ირგვლივ არავინ არის,
ვდგავარ ჩვენს ნაცნობ საოცარ ხიდზე
ნათლის ქვეშ ახალ ამოსულ მთვარის.

თითქოს ომიდან მე დაგიბრუნდი,
ისევ წრეში ვარ სახემლიმართა,
დაფრთხა და გაქრა ყველა ბინდ-ბუნდი,
როცა ეს ხიდი აქ აღიმართა.

რალაც დაკარგულს ვიბრუნებ უკან,
დიდი ხანია რასაც თვალები
არ შეხვედრიან და თითქოს რუკა
მე მანვალეზდა გაფერმკრთალებით.

შეხე, რამდენი სანთელი ჩაქრა!
ვინ გადაურჩა სულის ობლობას?
მე ახლობელი ბევრი მყავს, მაგრამ,
ეს უნდა მხოლოდ ჩვენს ახლობლობას?

სულში რა ხდება მხოლოდ შენ განდობ,
მე შენთან ვხარობ თავისუფლებით,
არ გეკრძალება ერთი შენ მარტო
მიგლოვო, თუკი დავიღუპები.

ჯოჯოხეთში ვარ, თუ ვერ გიგონებ
და უფრო ბნელში ბილიკებს მივსდევ,
და რადგან ვგზავნი შენკენ სტრიქონებს,
ეს იმას ნიშნავს, ახლოს ხარ ისევ.

არ დამემდურო, გიცქერენ სადაც
ლალატით, ღვარძლით, დაცინვით, შურით,
იქ გულგრილობა მშვიდი და სადა
მოგერეოდა შენც უნებური.

როდემდე უნდა ენთოს სანთელი?
როდემდე უნდა სტანჯონ ქარებმა?
როდემდე უნდა მან წინანდელი
გადაივიწყოს გულმწყურვალება?

მე ვერ ვიკავებ ვერასდროს ღიმილს,
როდესაც ვხედავ რა ფიქრით სდუმან,
რაც მოსვლას ითხოვს ათასი წვიმის,
შენ მას, ძვირფასო, მიხვდები უმაღლ.

თუ მიკავია მერნის სადავე,
თუ რამე ცეცხლი ჩემში ღვთიურობს,
ნეტავ, ვიცოდე შენთვის რადა ვარ
ასეთი უცხო, გზავ, მშობლიურო!

მე მახსოვს სითბო შენი თითების,
როცა ყველასთვის უცხო ვიყავი,
ძირს დაცვენილი მარგალიტები
და მოსროლილი სადღაც ნილაბი.

ყველა თასს დავცლი მე წმინდად, გწამდეს!
ჩემი ტკივილიც მოიძევს საფლავს
და ყველაფერი დასასრულამდე
მივა რაც ახლა მტანჯავს და მზაფრავს.

არაფერია, ჩემო ძვირფასო,
ბევრჯერ დაღვრილა ცრემლები ცხელი,
ბევრი წარწერა ვნახე კვირბაზე,
მაგრამ ჯერ კიდევ გული მაქვს მთელი.

და ახლა, როცა ამ წერილს გიწერ,
ვისმენ სიხარულს შორეულ ჭერის,
კვლავ ჩვენს საოცარ ამოვედ ხიდზე
და ქარს უხილავს ვატან ამ წერილს.

პოეტის ხსოვნას

ყინულის თვალთა და ზურგშექცევის
შენ დაიღალე უკვე ყურებით,
შენ გიტაცებენ ხელში ლექსები
და ცისკენ ასე მიეშურები.

არც ერთი ამბობს ცქერა თვალების,
მაშინ როდესაც ასე ევნები,
ჰა ჩემი გული, აქ უცვალები
ჰპოვოს შენ სულმა მოსასვენები.

შეუძლებელიც იყო სრულიად
ცხოვრება შენი გარეთ ოცნების,
რომ შენ არ გეგრძნო სადაც სულია –
ანგელოზური სული მგოსნების.

შეუძლებელი იყო სავსებით
ყელი სილალით არ მოგელერა,
და როცა ლახვარს გცემდნენ მასები
თავდავინწყებით რომ არ გემლერა.

და შენც სხვებზე მოგიღეს ბოლო,
რადგან ვერ იქცა სახლად გალია,
შენც მოგკლეს, მოგკლეს, იმისთვის მხოლოდ,
აფრენა გასურდა მალლა ძალიან.

იყო პოეტი

იყო პოეტი, – რა გიხარია?
ეს დაწყველაა, სხვა არაფერი,
აქ ყველაფერი მხოლოდ ქარია,
შენ ინსტრუმენტი ხარ ჩასაბერი.

შენ სანთელი ხარ, ანათებ, იწვი,
მაგრამ ვერ თბები და შენთვის ბნელა,
და თუ ჩაქრები, კარგადვე იცი,
ეს უარესი იქნება წყევლა.

შენი ბედია დიდი ძეგლები
და ყვავილებით საფლავი სავსე,

სიცოცხლეში კი მხოლოდ ეკლები,
ეკლები გზებზე, ეკლები თავზე.

შენთვის სასახლეც ეს არის სორო,
არ მნამს, ცხოვრება რომ თქვა „ავინყე“,
ქვეყნად ყველაზე მძაფრად შენ ცხოვრობ
ქვეყნადცხოვრებაგადანავინყი.

დადიხარ, უფრო სწორად კი, დაქრი,
დაქრი და არსად არა გაქვს ბინა,
დაქრი და ყველგან შენია სახლი,
მხოლოდ ამ ქროლვით არ მოგენყინა.

მხოლოდ ქროლვაში, მხოლოდ ქროლვაში,
ამ უთავბოლო ქროლვაში მხოლოდ
ოქროს ნუთების არის კოლაჟი,
შენი სიცოცხლის თავი და ბოლო.

იყო პოეტი, – ნუ გიხარია,
ანდა, იხარე, გულს ნუ აქვს ბზარი,
შენი სიცოცხლეც ეს ხომ ქარია,
შენ ხომ არასდროს არა ხარ მკვდარი!

მოლოდინში

ეს მარტივ ქრება ვით თებერვალი,
ასეც და ისეც, გზავ, არ მომელი,
ამ გულმა ნახა ბევრი მწვერვალი
სამარადისოდ მიუწვდომელი.

ამ მწუხარების სული სალია,
მრისხანე, ვეფხვი ვით ბენგალიის,
შეულო კარი მტანჯველ გალიას
შეღებამ ჩემი გულის გალიის.

ამ სიხარულის, ამ ტანჯვის სახე,
რასაც ვუძღვნიდი გულში ოდებს მე,
ვერ ვიფიქრებდი შეცდომის სახელს
მომავონებდა თუკი ოდესმე.

სხვა გაღიმებას ვხედავდი გუშინ,
სხვა იმედებით ვიდექ ზარებთან

და არ მეგონა ბედი ღრმად გულში
თუ ამ სინანულს დაატარებდა.

ზვავები დაწყდნენ, დაწყდნენ ძაფები,
გვეთქვა ნეტავი რას არ ვამბობდით!
შენ აცდებოდა ეგ ნილაბები,
მე ამცდებოდა ეს ეშაფოტი.

რალაც ყოველთვის უნდა დაიცვა,
სადლაც ყოველთვის დაცვას ელიან,
ოდესლაც ვილაც ისე დაინვა,
რომ კვნესა მისი დღესაც მწველია.

კედლის სურათზე ქარიშხალია,
იტაცებს ხომალდს მორევი ბნელი
და მე ვიცი, რომ ვილაც ქალია
მთელ ამ სურათის შთამგონებელი.

სიჩუმე ჩადგა, თვალების ჭაში
ალარ გროვდება ცრემლი ჩვეულად,
მოდის მწუხარედ და ამბობს პაჟი –
ფსკერი ყინულად გადაქცეულა.


ჩვენ ვნახულობდით სხვადასხვა სიზმარს,
როგორც მუსიკა ისევ გველის ეს,
არ ვიცი, როგორ შეძლო პარიზმა
მოდა დასცქერდეს მინდვრებს ელისეს.

რომ არ მიცდიდე (შენ კი არ მიცდი),
რომ არ მელოდე (შენ კი არ მელი),
არ იძებნება ბრალის ამისთვის,
აქ უღონოა ფრთები მფარველი.

ვერ შეედრება ცივ რკინას მინა,
ფარულ ანთებას – სუსტი ხველება,
ვით მოჩვენებით მშობლიურ ბინას –
უბინაობის საშინელება.

ეს მარტივ გაქრა ვით თებერვალი,
ნეტავი, რისთვის, გზავ, თუ მომელი,
ამ გულმა ნახა ბევრი მწვერვალი
სამარადისოდ მიუწვდომელი.

ქრისტიან, ჯუჯულიძისტიან



დადო საიდოხვიდი

საღ არის (ან რა არის) ლექსი?

წინათქმა:

ამას წინათ ვნახე და მოვისმინე პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალამოს ტრანსლაცია მოსკოვიდან, სადაც მოგონებით გამოდიოდნენ ცნობილი მსახიობები, მომღერლები და თან შეძლებისდაგვარად ასრულებდნენ პოეტი-ბარდის პოპულარულ სიმღერებს. მართალია იმიტატორები არაფერს იშურებდნენ, როგორმე დამსგავსებოდნენ ავტორისეული შესრულების მანერას: ინტონაციით, ხავერდოვანი ტემპრით... მაგრამ (უარესს მაინც სჯობდა) დარბაზში მყოფთათვის იგი მაინც იყო ემოციის საგანი. ის კი არადა, ყველანი მომღერლებთან ერთად ხმაშეწყობით იმეორებდნენ ტექსტთან ერთად მელოდიას. როგორც აღმოჩნდა – მთელ რუსულენოვან აუდიტორიას ზეპირად სცოდნოდა საყვარელი პოეტი-იმპროვიზატორის რეპერტუარი. თავად იუბილარის სურათი სცენის სიღრმეში ეკიდა და სარკაზმული ღიმილით გვამუნათებდა: *Виноградною косточку в теплую землю зарюю...* (ქართული მიწის სურნელი) *А иначе зачем на земле этой вечной живу?* (ცნობილია, ბულატ შალვას ძე გახლდათ გალაკტიონ ტაბიძის რეპრესირებული მეუღლის – ოლია ოკუჯავას ძმიშვილი).

აქვე გავიხსენებ: იტალიაში ყოფნისას ბულატ ოკუჯავასთვის უკითხავთ – ვინ მიაჩნია დღესდღეობით მსოფლიო დიდ პოეტად? – გალაკტიონ ტაბიძეო – უყოყმანოდ უპასუხნია მას. ამის მერე დაინტერესებულან მასპინძლები და უთარგმნიათ კიდეც... გალაკტიონი და ისიც თარგმნილი? თუნდაც ლუიჯი მაგაროტის მიერ.

მოკლედ, იმ სალამოს ლექსი იყო ყველაფერი და ყველგან: გიტარის სიმზე, მომღერლის ბაგეებზე და მსმენელთა მესხიერებაში.

ამ ამბავმა გამახსენა ერთი შემთხვევა:

1.

გურამ კანკავა (ლიტერატურათმცოდნე) თავის წერილში იხსენებს ერთ საუბარს გამართულს სიმონ ჩიქოვანის (პოეტის) ბინაში, სადაც მსჯელობისა და ეჭვის საგნად ქცეულია თავად ლექსის „ადგილსამყოფელი“, სად არის ლექსი – ქაღალდზე, ბეჭდურ სასტამბო ნიშნებში თუ ადამიანის მესხიერებაში? მართლაც, სად არსებობს ლექსი ლოკალურად? სიმონ ჩიქოვანის მიერ კითხვის ამ-

გვარად დასმა თითქმის „აღმოჩენას“ ჰგავდა, ისევე როგორც უჩვეულო იყო იმის აღიარებაც, რომ ლექსის დასტამბულ ტექსტს წიგნთან მხოლოდ ჭვარტლით გაპოხილი პირობითი ტიპოგრაფიული ნიშნები თუ აკავშირებს. ლექსი ხომ დაბეჭდვამდეც არსებობს... ქალაქის ფურცელი, როგორც ლექსის არსებობის თავშესაფარი, იმთავითვე გამოირიცხა, გამოთქმა: „ლექსი შეტანილია წიგნში“ – წმინდა წყლის მეტონიმი (შემდეგ წერილის ავტორი იხსენებს იქ დამსწრე ლიტერატორს, რომელიც აცხადებდა: ლექსი ადამიანის მესხიერებაში არსებობსო, მაგრამ ამ სურვილს ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ არსებობენ პოეტური ნაწარმოებები, რომლებსაც ადამიანის მესხიერებაში ადგილი არა აქვთ მიჩენილი. და მართლაც, სად შეიძლება ლექსის ძიება და შეიძლება თუ არა ლექსი ვეძიოთ მატერიალურ სამყაროში, საერთოდ ქალაქზე, ბუნებაში, სასტამბო დაზგაზე?).

თუ სახელმძღვანელოში ჩავიხედავთ, იქ ლექსი განმარტებულია როგორც რიტმულ-ინტონაციურად მოწესრიგებული მეტყველება, რომელიც ენის პროსოდიული (გამახვილებული, მინამლერი) ბუნების შესაბამისად განსაზღვრული ლექსთწყობის კანონებზეა დამყარებული, მაგრამ ამგვარი ირიბი განმარტება არ აკმაყოფილებს „მთხრობელს“, თუმცა ნებსით თუ უნებლიეთ ისიც ვერ ახერხებს თავის დაძვრენას ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულ ცნებებისაგან, როცა ამბობს, რომ ლექსი პოეტის პიროვნების, მისი ერთიანი ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის ანარეკლია და ამიტომ იგიც მთლიანობისკენ ისწრაფვის. ლექსი მთლიანია როგორც სისტემა (რომელიც ბერძნული სიტყვაა და ცალკეული ნაწილებისაგან შემდგარ მთლიანობას ნიშნავს). ლექსი მთლიანობაა, რადგან მისი საშენი მასალა ქმნის ერთიან, პირობადადებულ მტკიცე სტრუქტურას. ჭეშმარიტი ლექსის სტრუქტურა მიისწრაფვის მონოლითის ბუნებისკენ. საბოლოოდ ავტორს მიეყვანართ იმ დასკვნამდე, რომ ლექსი აღმოჩნდება იქ, სადაც იპოვნება მისი ინდივიდუალური აღნაგობა, მისი მხატვრული სტრუქტურის ერთადერთობა: ლექსი საკუთარ ინდივიდუალურ მხატვრულ სისტემაში არსებობს („მდგომარეობს“), როგორც იდეალური სახის ნაგებობა, ლექსის რეალობა (არსებობა). იგი არამატერიალური ბუნებისაა, ისევე როგორც არამატერიალურია ჩვენი აზრი ან გრძნობა.

რა თქმა უნდა, ლექსი იქამდე არსებობს, სანამ მას მკითხველი აღიქვამს, რადგან იგი უკვე თავის თავშია მოცემული. ყველა მატერიალური მხარე ლექსისა, რომელიც კი მას გააჩნია – ეს მისი ბგერითი ორგანიზაციაა. ლექსს აქვს დროისა და სივრცის საკუთარი, განსაკუთრებული განზომილებები, რომელიც არ ემთხვევა მათ ჩვეულებრივ გაგებას. როცა გურამ კანკავა ლაპარაკობს ლექსის მხატვრულ (სტრუქტურულ) განუმეორებლობაზე და ერთადერთობაზე, ფორმის შეუვალლობაზე და მხატვრული მასალის შეუნაცვლებლობაზე, ლექსის კარკასზე – მის შინაგან მეტრულ სქემაზე, მელოდიური წყობის უნიკალობაზე თუ კომპოზიციის შემკვრელ ძალაზე, მაშინ ის არსებითად გულისხმობს იმასაც, რომ ლექსი პოეტისთვის განკუთვნილი მასალით ნაგებ შენობაშია მოქცეული, რომელსაც დასრულებული, მხატვრული აღნაგობა და არქიტექტონიკა გააჩნია. ამის სანიმუშოდ კრიტიკოსი გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას, რომ ბარათაშვილის „მერანი“ სივრცობრივად საკუთარ მონუმენტურ პოეტურ კონსტრუქციებში ცოცხლობს და უკეთეს ადგილს მას ვერ მოუძებნის, რომც მოინდომოს, მისი საარსებო ბინა მისივე მხატვრული გრძნობადაზრობრივი მკვიდრი სისტემაა. და როცა გადატანითი მნიშვნელობით ამბობენ, რომ ლექსი ბუნებაში ან ქალაქზე შეიგრძნობა, მას ამგვარი მეტამორფულობა უხერხულობად მიაჩნია.

როგორ ვიფიქროთ – ვითომ მივაკვლიეთ ლექსის ადგილმდებარეობას?

საბას მიხედვით: ლექსი – სიტყვა სრული და რჩეული, გინა შეწყობილი ლექსი არს. შეწყობილი ლექსი სხვა არაფერია თუ არა ჰიმნოგრაფიული თხზულებანი. როგორც ცნობილია, ლიტერატურული პოეზიის დარგი წარმოდგენილია სხვადასხვა სახის საგალობლებით – ესე იგი, ჰიმნებს კითხულობდნენ და გალობდნენ. არ ვიცი, სხვაგან როგორ იყო, მაგრამ ქართული ორიგინალური

ჰიმნოგრაფიული ძეგლი „ქებაი წმინდისა მონამისა ჰაბოისი“ (იოანე საბანისძე) ლექსის პროზით, საზომის დაუცველად დაწერილი ნაწარმოებია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ – ლექსის პროზად გადაქცევა და მისი (ლექსის) სიმღერასთან შეწყობა როგორ გავიგოთ, ნუთუ ლექსმა სამკვიდრებელი პროზაში და მასთან ერთად საგალობელში ან რიტორიკაში ჰპოვა? (ჰიმნების კრებულს ერთგან ხომ, „ხმანი“ ჰქვია, ანუ გახმოვანებული ლექსი). ნათქვამია: „თაგვმა თხარა, თხარაო – კატა გამოთხარაო“... ადრე თუ ლექსის სამყოფელი გვიქმნიდა ლექსის სანუხარს, ახლა აგერ პროზა (გინდ ლექსი პროზად) გამოტყვრა – მე რას მიპირებთო? მაინც რაში დასჭირდა იოანე საბანისძეს მერვე საუკუნეში აბოს ბიოგრაფია აღწერა გალექსილი პროზით, საზომის დაუცველად? ისმის კითხვა (ქათმისა და კვერცხის არ იყოს): რომელი გაჩნდა პირველად ლექსი თუ პროზა? ამას იმიტომ ვკითხულობთ, რომ გავარკვიოთ – ერთმანეთისადმი ლტოლვა ბუნებრივი თუ თვითნებური პროცესი იყო. ამას რომ ჩავუღმავდეთ, სავსებით შესაძლებელია, ჰომეროსთან ან უფრო იქით – ორფევსის საუფლოში ამოვყოთ თავი. იქნებ სჯობდეს ახლო წარსულიდან მოვიხმოთ ფაქტები, მით უფრო, როცა თავად გვიგვმნია ტკბილი ნაყოფი იმ შუალედური ფორმებისა, რომელსაც ლექსი პროზად ან რიტმული პროზა ჰქვია.

სტეფან მალარმე თავის ავტობიოგრაფიას (რომელიც ვერლენის დაკვეთით დაიწერა) ასე ამთავრებს: ერთ დღეს თქვენ სანახავად მოვალ და ყოველივეს გეტყვით, მოგიტანთ ერთ სონეტს და ერთ გვერდ პროზას – საგანგებოდ თქვენთვის შეთხზულს (წარმოიდგენთ, ის ამ წერილს წერდა ფანქრით, რათა შექმნოდა შთაბეჭდილება განაპირებული მეგობრების ხმადაბლა საუბრისა). გინდა ნამდვილად ერწმუნო ავტორს, რომ ის ერთგვერდიანი პროზით უთუოდ შეუქმნიდა მეგობარს ამგვარ განწყობას. სხვანაირად წარმოუდგენელია, და ეს იქნებოდა მცირე ზომისათვის „განწირული“ პროზა – ლექსად შეთხზული (ამაზე მომდევნო წერილში უფრო ვრცლად გვექნება საუბარი, როცა საგანგებოდ გავამახვილებთ ყურადღებას მუსიკისა და პოეზიის „ერთმნიშვნელობაზე“). რადგან დაუოკებელი სურვილი წინ გვისწრებს, რამდენიმე შტრიხით მაინც დავაკონკრეტებთ, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა პოეტი, როცა თითქოს გარკვეულია ბევრი რამ, მიუხედავად ლექსის ბუნდოვანი აღნაგობისა, თანაც წინანდელი მეტრი კვლავ ძალაშია, და ეს ჰგავს გზაჯვარედინზე ყოფნას. რომანტიკულმა ხმამ შექმნა ტოლფასი ელემენტი ალექსანდრიული ლექსისათვის – სასვენი ნიშნებით და სხვა მისთვის დამახასიათებელი თვისებებით. ამ შენადნობს მალარმე მიიჩნევს ბედნიერ აღმოჩენად, რითაც მისი აზრით დასრულდა გუშინდელი ძიება და ეს გახლავთ ვერლიბრი. მოდულაცია (რაც არაერთხელ უთქვამს) აქ ინდივიდუალურია, რადგან ყოველი სული – რიტმული კვანძია.

ფორმათა ჭიდილის მიუხედავად ჭეშმარიტმა ქმნილებებმა ამოხეთქეს. ცნეს კიდევაც – გადატვირთული ინსტრუმენტისათვის უბადლოა დუმილის ფასი. Мысл израченная есть лож (ფ. ტიუტჩევი). მიუხედავად ლექსის აბოპოქრებელი სულისა ახლა უკვე მოწმენი ვხვდებით, რომ ყოველივე გაზომილ-გაანგარიშებული იშვიათობაა. რა დროშიც არ უნდა ვაცხოვროთ, იგი მაინც იშვიათის წარმოსახვაა. ქართულ ლექსს ყველა ეს (მეტრიკულ-ვერსიფიკაციული) გზები გავლილი აქვს თავისი ნებისით თუ უნებლიე ჩავარდნებით, და მაინც კვლავ ამაღლებული, სრულყოფილი ინტონაციით მოედინება მოდუდუნე მტკვარივით ძველ არტახებში. ეს „ძველი არტახები“ განგებ არ არის მოხმობილი – ბარათაშვილიდან გალაკტიონამდე ფორმათა ჭიდილის მიუხედავად, თავისი სრულყოფილებით ის მაინც რომანტიკული ბუნებისაა, და იგი ამით თითქოს ჩაწვდა ლექსის რაობას. მაგრამ რა დავარქვათ ახალ მიმდინარეობას, რომელმაც გვერდი აუარა ძველ კალაპოტს და ღობის მიღმა აღმოჩნდა ობოლივით – ლოგიკის, ალოგიკური ლოგიკის, სიტყვის პრაქტიკული მნიშვნელობის, პოზიტიურად რაციონალური სტილის ნაწარმოებს – ამას ევროპაში მოდერნისტული ეწოდა. თუმცა არაფერი არის ახალი ამქვეყნად, ყოველი სიახლე დავინწყებული ძველია (გავიხსენოთ, თუნდაც

დავითის ფსალმუნები). ინგლისელმა მეტაფიზიკოსმა პოეტებმა სამი საუკუნის წინ ჩაუყარეს საფუძველი ამ სტილს, რომლის უტრირებაა მოდერნისტული დამწერლობა. შემდეგ ამ სტილს მეტი ხელოვნურობა, ექსცენტრულობა, მეტი პროზა, მოჩვენებით რეალისტური მისტიკა შემატეს გათვლილი მკითხველის გასაოცებლად. მაგრამ ეს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ქალაქის ნაგლეჯებიდან ბრინჯაოს ქანდაკებების ჩამოსხმას (ეს ფიგურალური გამოთქმა თამაზ ჩაჩავას ეკუთვნის და იგი მოხმობილია მისი ესსედან „მოდერნიზმი და პოეტური მეტაფიზიკა“, სადაც განხილულია თ. ელიოტის, ი. ბროდსკისა და თქვენი მონამორჩილის პოეზია).

რაკი საქმე მიდგა ისევ ლექსის ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე, კვლავ მოვიხმობთ თ. ჩაჩავას სიტყვებს მისი წერილიდან: „საერთოდ მოდერნისტული დამწერლობის უდიდესი ნაწილი, უფრო თვით დამწერის ცნობიერებაში ხორციელდება, ვიდრე ქალაქზე. ის მუდამ უხერხულად რალაცას გულისხმობს, რასაც ქალაქზე ვერ გამოხატავს. ამისათვის მეტად და მეტად ართულებს სიტყვათა კომბინაციებს და ბოლოს, როცა თვითონაც ვერ ხვდება თუ რას გამოხატავს ეს კუდნაჭრილი დინოზავრი, იგი ჩერდება (ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება თითქოს ლექსმა დინოზავრის სტომაქში ამოყო თავი, გაბეზრებული მაძიებლებისაგან შვებით რომ ამოესუნთქა. იქნებ ეს ჩვენ უფრო გეჭირდება, ვიდრე ლექსს, რომელიც თავს ისედაც ლალად გრძნობს ყველა მდგომარეობაში). არადა, იმავე დროს ჭეშმარიტი მეტაფიზიკა, რაციონალური ან ფილოსოფიური გონით არ შეისისხლხორცება, რადგან იგი უფრო ენერგიების სამყაროა. ეს არა წამოყვრება, არამედ ჭვრეტაა, არა ეფექტაცია და ექსცენტრულობა, არამედ გრძნობა და მეტამორფოზაა, არა ხეტიალი ქალაქი და კოუტერული ყაყანი და ყიყინი, არამედ გარინდება, წვდომა შინაგანი ერთიანობაა“ (სიტყვა სრული: საბა).

უნებლიეთ მახსენდება რომაელი პოეტის ჰორაციუსის (ძვ. წ. 65) ერთი ფრიად საყურადღებო გამონათქვამი: „ლექსი ნახატსა ჰგავს: არის სურათი, თუ ახლოს დაუდექ ძალზე გაგიტაცებს, არის ისეთიც, რომელიც შორიდან მოგეწონება. ერთს ჩრდილი უყვარს, მეორეს კი სინათლე სჭირდება, რათა მსაჯულს მკაცრი შეფასების შიში არ ჰქონდეს. ზოგი მხოლოდ ერთხელ მოგვეწონება, ზოგი კი ათგზითაც რომ ვიხილოთ, მუდამ ერთნაირად მოგვივა თვალში“. ანაზღეულად თავს გვახსენებს გალაკტიონის ამოძახილი: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები“...

როგორც ხედავთ, ისევ დაგვისხლტა ხელიდან სანუკვარი ლექსი – ახლა იქედან, შორიდან გვიმზერს. არაფერს ნიშნავს თქმა იმისა, რომ ლექსი დაინერა და ეს ყველაფერია. წარმართობის დროინდელი ხალხური ნიმუში: „მზეო, ამოდი, ამოდი!“ ან „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი“-ს აღბეჭდვამდე ხომ საუკუნეების განმავლობაში ზეპირსიტყვიერების პირმშონი იყვნენ. მაშ, როგორ ვთქვათ. არის კი ლექსის დაფიქსირების აუცილებლობა საჭირო, იგი რომ იქცეს ისეთ ნივთად, რომელსაც ადგილს მივუჩინებთ, ჩვენ მოწმენი ვხვდებით ლექსის გაჩენის (დაბადების), რითაც აზრი აღწევს სიცოცხლის მაღალ საფეხურს და არ ქრება ისევე, როგორც აბრეშუმის ჭია იქცევა პეპლად და მათ შორის ჭუპრია და არა სიკვდილი.

თუ ამგვარი ინტერპრეტაცია მისაღებია, მაშინ ლექსი უკვდავი სულის ღვთაებრივი გამოვლინებაა, რომელიც ირაციონალურ სამყაროში პეპელასავით დაფარფატებს.

2.

ჩვენი საუბრით დიდი პატივი დავდეთ იმის კვლევას, თუ სად არის ლექსის ადგილი, და დაგვავიწყდა, თავად ლექსი რას წარმოადგენს? ჯერ კიდევ ორი ათას ხუთასი წლის წინ იცოდნენ ფილოსოფოსებმა, როცა ამბობდნენ: ლექსი არის პოეტის შემოქმედებითი პროდუქტი... პლატონის თქმით: „მისწრაფება მშვენიერების, სიკეთის, უკვდავებისადმი ხორციელდება მშვენიერის, კარგისა და უკვდავების დაბადების შექმნა-წარმოებაში“... შემდეგ პლატონს მოჰყავს მაგალითად: ჰომეროსმა,

ჰესიოდემ და სხვა პოეტებმა დატოვეს ისეთი მემკვიდრეობა, რომლებმაც მათ უკვდავი სახელი მოუპოვაო. მაინც ვინ არის პოეტი, ვის შეიძლება მიეცეს ტიტული?! ამაზე პლატონი განმარტავს: ყველა ვინც რაიმეს ქმნის, რაიმე საგანს აძლევს არსებობის უფლებას – ესე იგი, შემოქმედი, რომელიც დაკავშირებულია მუსიკისა და მეტრიკულ ზომასთან, იწოდება პოეტად, მისი შემოქმედება კი – პოეზიად. მართალია, პოეტები ტყუილს ამბობენ, ისინი მაინც მშვენიერების იდეისადმი სიყვარულის მისწრაფების განხორციელებაა. რაც შეეხება „ტყუილს“, აქ პლატონი ჰომეროსს ამუნათებს. „ღმერთებსა და გამირებს მიანერენ ისეთ რამეს, რომლის მიწერა მათთვის ყოველად შეუძლებელია“. ჩვენ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ რა არის „ჭეშმარიტი სიცრუე“ და ვის სჭირდება იგი. რა თქმა უნდა, ზედმეტია იმის ილუსტრირებაც, თუ როგორ განვითარდა და გამდიდრდა ლექსთმცოდნეობა, სალექსო ფორმები, მისი ბგერითი სტრუქტურა, ანუ ფონიკა (მხატვრულ მეტყველების ბგერითი ორგანიზაცია), მეტრიკა (სალექსო საზომთა თეორია), რიტმიკა (მეტყველების რიტმული ნორმები), პროსოდი (ენის იმ ელემენტთა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ლექსთწყობის სისტემას), სტროფიკა (სალექსო სტროფის ორგანიზაცია). როგორც ხედავთ, ლექსთმცოდნეობა თავდაპირველად ნორმატიული ხასიათისა იყო და იძლეოდა რჩევებს ლექსის თხზვის შესახებ. შემდგომში კვლევითი ხასიათი მიიღო და სწავლობდა, თუ როგორ იქმნებოდა ლექსი მისი გაჩენის ეტაპებზე.

ძალაუნებურად მივადექით წყობილსიტყვაობას (ძვ. ქართ) ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე (მუხლი და ტერფი თავს გვახსენებს როცა გვტკივა). ჩამოვთვლით ლექსთწყობის კომპონენტებს: რითმა, ასონანსი, ალიტერაცია, ანაფორა, ეპიფორა, ბგერწერა, გადატანა, ლექსის ინტონაციური-სინტაქსური ორგანიზაცია და სხვა. ამას გულისხმობდა ალბათ მალარმე, როცა მოუთხრობდა აუდიტორიას (იმ მოწვეული მგზავრის არ იყოს, აქოშინებული ერთბაშად რომ დაცლის გუდას კატასტროფის შესახებ, რომლის მოწმე თვითონ გახლდათ). ამ დღეშია პოეტიც: რაკი დანერის ნამიდანვე ლექსი ყველაფერია: სტილი, ვერსიფიკაცია (წყობილსიტყვაობის შემადგენელი ნაწილი) და თუ იგი რიტმიცაა, მაშინ დიდებული მწერლის პროზა, ჩუქურთმოვანი და არა ნებასმიშვებული, სადარია ტეხილი ლექსისა, ფარული რითმებითა და ტემპრით რომ თამაშობს: თითქოს დიონისეს თავისი ტირსით (ჯოხი) ურთულესად დაუყვიაო. დიახაც, აყვავდა ის, რასაც წინათ უწოდებდნენ ლექსს-პროზად (ეს ნაწყვეტი მოტანილია მალარმეს ესეიდან „მუსიკა და მწერლობა“, რომელიც მან თავდაპირველად ლექციების სახით წაიკითხა ინგლისის უნივერსიტეტებში – ოქსფორდსა და კემბრიჯში. 1894წელს). ეს კომენტარი იმიტომ გავხადეთ საყურადღებო, რომ აღგვენიშნა მალარმეს დამოკიდებულება მუსიკისადმი მწერლობასთან მიმართებაში. პოეტი მიმართავს მსმენელებს, რომ ეს მოწვევა საგულისხმო მომენტს დაემთხვა და თავადვე განმარტავს – დიახაც, მოგიტანეთ ახალი ამბები, გასაოცარი, ჯერარნახული. რა სიახლე იყო ეს – გასაოცარი, ჯერარნახული. ეს გახლდათ პირველი: ლექსების პროზად გარდასახვის ევოლუცია (სხავათა შორის ტერმინი – *Poemes en prose* ფრანგულ სინამდვილეში წარმოიშვა და მისი ავტორია შარლ ბოდლერი. საყურადღებოა ისიც – როცა ბოდლერი სტეფან მალარმეს ლექსებს, პროზად დანერილს ხელნაწერში გასცნობია, აღფრთოვანება არ დაუმაღავს და გამოხმაურებია კიდევ). მეორე სიახლეს წარმოადგენს ვერლიბრი, რომელიც შექმნა ძლიერმა რომანტიკულმა ხმამ თავისი მჩქეფარე ალექსანდრიული ლექსისათვის – სასვენი ნიშნებით აღნიშნული პაუზითა და ანჟანბემანით (ლექსში წინა ტაეპის ერთი ან რამდენიმე სიტყვის გადატანა მომდევნო ტაეპში). მომხსენებელი ამას შენადნობად მიიჩნევს, რათა ახალი მთლიანობა შექმნას. ეს არის ბედნიერი აღმოჩენა, რითაც ავტორის აზრით, გუშინდელი ძიება დასრულდა, და ბოლოს ასკვნის, მოდულაცია ინდივიდუალურია, რადგან ყოველი სული – რიტმული კვანძია.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ასეთ დიდ ყურადღებას არ იჩენს ამ „ბედნიერ აღმოჩენის“ გამო და ლამის ლექსები პროზად, ვერლიბრი (ფრანგ. *vers libre* – ურითმო ლექსი) თავისუფ-

ფალ ლექსთანაა გათანაბრებული. ჩვენ აქ არ ვაპირებთ თითოეული მათგანის განსაზღვრას. ეს დიდ ადგილს ნაიღებს და თანაც ყველაფერი სახელმძღვანელოშია მოცემული. საერთოდ, ტერმინოლოგია მეტად შემთხვევითად განმარტავს ლიტერატურის ზოგიერთ მიმართულებას, ჩარჩოში აქცევს, აძევებს აღწერის აუცილებლობისაგან. პოეზია მალარმესთვის წარმოადგენს არა საზომების სისტემას, არამედ იდუმალებას: „არა საგნების ასახვა, არამედ მის მიერ მოხდენილი ეფექტისა“ (მონიფულობისას მალარმემ მრავალ თავის ლექსში პუნქტუაცია ცი გააუქმა). იგი „ახალ ენას“ ქმნიდა. თუკი გავიხსენებთ, რომ ბოდლერი უმთავრესად ვიზუალურია, ვერლენი კი მუსიკალური, მალარმე თითქოს ორივე საწყისის სინთეზისაკენ ილტვის, ან თავისი ბუნებით მუსიკისადმი იხრება, რადგან ბორკავს სიტყვა „თვალი“. მართლაც, სიტყვის აღქმისათვის საჭიროა გაბადრული და ყურადღებიანი თვალი. მალარმემ იცის დუმილისა და სურნელების ფასი. იგი თითქოს შემოფოთებულია აუდიტორიის წინაშე, სადაც უნდა გაცხადდეს მისი მესამე პირობა, ის კატეგორიულად აცხადებს: არა! რამეთუ ჭეშმარიტმა ქმნილებებმა უკვე ამოხეტეს, ფორმათა ჭიდილის მიუხედავად, განა არ ცნეს, რომ უბადლოა დუმილის ფასი გადატვირთული ინსტრუმენტისათვის? (იგი თითქოს ეპარება სათქმელს). ლექსი აბოპოქრებული იშვიათობაა, თუმც ახლა (დაუკვირდით!) უკვე მონმენი ვხვდებით, რომ ყოველივე გაზომილ გაანგარიშებული იშვიათობაა, ისევე როგორც ლიტერატურა, თქვენი და ჩვენი სურვილის მიუხედავად, რომ ვაცოცხლოთ იგი ყველა დროში, იშვიათის წარმოსახვა (მთელს ამ პათოსში ნათლად ჩანს, პოეტი მოითხოვს ლექსის ავტონომიურობას), ბოლოს და ბოლოს წერის აქტი ბოლომდის ჩანვდა თავის რაობას. სიტყვის – რომელიც სხვათაშორის ქართულში ლექსის სინონიმს წარმოადგენს – ძალმოსილება ურყევია. თუკი ადამიანმა – შემოქმედმა ბევრი რამ აღმოაჩინა ან თავის სასარგებლოდ გარდაქმნა, იმაზედაც იზრუნა, რომ ამ განთავისუფლებაში მკაცრად შემოენახა სიყვარული და მოკრძალება იმ ოცდაოთხი ასოსადმი უსასრულოების სასწაულით, რომ განმტკიცებულან ენაში: აზრი, ქმედება, ამსახველობა, სიმეტრიასთან შერწყმით, ზეგარდმო ძალით გარდაქმნილი, რასაც ლექსი ჰქვია. მალარმეს აზრით, სხვა სიკეთესთან ერთად, ამ ცივილიზებული ედემის მკვიდრს (ლექსს) დიდი მადლი აქვს მინიჭებული – ყოველივე შემოქმედებითად გარდაქმნას.

სურვილი გიჩნდება – მალარმეს მიერ ლექსის სადიდებლად თქმული ყოველი სიტყვა რამენაირად სრულად გადმოსცე. ამისათვის საჭირო გახდებოდა ტექსტის მთლიანად გადმოწერა. აბა როგორ დააღწევ თავს ამ პასაჟს: უნდა გვერდზე გადაიდოს თქვენი განსწავლული თაბახების, რუბრიკების, ეტრატების კითხვა, რაკი მტკიცედ მიმაჩნია უსარგებლობა და უიმედობა ამა საქმისა... მაქვს წუთები, როდესაც რაც არ უნდა გავაკეთო, რაღაც იდუმალი განწყობის გამო, არ დამაკმაყოფილებს, სულ სხვა რამაა – თითქოსდა დაბნეული ცახცახი ფურცლისა ითხოვსო, დაუთმენლობით მთრთოლვარე, სხვა შესაძლებლობისაკენ სწრაფვას.

საერთოდ, ცნობილია, მალარმეს ახასიათებდა ბუნდოვანება, რაზედაც მიუთითებდნენ კიდევ. მით უფრო, მისი შემოქმედება იდუმალებითაა მოცული. ამ შემთხვევაში, ანუ აუდიტორიის წინაშე გამოსვლას და ქადაგებას, გარკვეული სიფრთხილე მართებს, რასაც იგი ოსტატურად ახერხებს, მსმენელები რომ არ გააღიზიანოს. ბოლოს და ბოლოს, ის საუბრობს ლექსის ბუნებაზე და იმაზე, რომ დაწერილი ლექსი ყველაფერია. მაგრამ რა მოუხერხოს ტრადიციას, მით უფრო მაშინ, როცა ის დგას უცხო მსმენელების წინაშე შიშით და მოკრძალებით, რადგან სიტყვის მოქნილობის დამფასებელი თავყრილობისათვის უბრალოდ კითხვის დასმაც არ უნდა იყოს მოულოდნელი, რომლის პასუხი გარკვეულწილად უცნობია. არსებობს კი სხვა რამ მწერლობის მსგავსი, კიდევ უფრო მეტი რამ, ვიდრე დახვეწა, სინატიფე გამოხატვისა, ცნებებისა ყველა დარგში (რაც კლასიკურ ეპოქათა მწერლებს მოეთხოვებოდათ). კიდევ გავიმეორებთ, მოკლედ ყველაფერი რის გადმოცემაც მათ სურთ, აღამალლებს სიტყვას ჩვეულებრივ, მიუხედავად დარგისა და მასალისა.

აკი არისტოტელე განმარტავდა: პოეზია საერთო ემპირიულ ცოდნაზე უფრო ფილოსოფიურია, ანუ ახლოსაა პირველ მიზეზთა ცოდნასთან. მალარმემ უთუოდ იცოდა, რომ ლექსით მეტყველებას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. მისი საწყისები სინკრეტიზმშია, როდესაც სიტყვა, მუსიკა და ცეკვა ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. პოეზიისა და მუსიკის მჭიდრო კავშირი განპირობებულია ორივე დროში „განფენილობით“ და ძირითადი მასალის ბგერითი ბუნებით. მაგრამ დროთა განმავლობაში ჩვეულებრივ მეტყველებას გამოეყო ლექსითი მეტყველება რიტმულ-ინტონაციური პერიოდულობით. ლექსითი მეტყველების ფორმები ვითარდება იდეურ-ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისად და თავისი „წინასწარდადგენილი განსაზღვრულობით“ (ჰეგელი). მოკლედ, თანდათან მიიღო დღევანდელი სახე. რაც აქ ითქვა, არაფერია ახალი და მალარმესაც არ უნდა გაჭირვებოდა აუდიტორიისათვის პირდაპირ ეთქვა და არა მობოდიშებით – რომ ლექსი ხელოვნების სხვა დარგებისაგან დამოუკიდებელი ფენომენია, და არ საჭიროებს სხვის „აპეკუნობას“.

ძალიან როყიოდაა ნათქვამი, მაგრამ ეს ვარაუდია. საქმე იმაშია, რომ კლოდ დებიუსიმ მალარმეს („ფავნის ნაშუადღევის“ ავტორს) მოასმენინა ამავე თემაზე, ამავე სახელწოდებით, ახლად დაწერილი პრელუდია. მოგვიანებით კომპოზიტორი იგონებდა: მალარმე მოვიდა ჩემთან უცნაური და შოტლანდიური პლედით შემკული, მოსმენის შემდეგ იგი კარგა ხანს დუმდა (საინტერესოა რას ფიქრობდა? იქნებ ყოველივე იმას, რაც თავის ესსეში აქვს გამოხატული?) და შემდეგ მითხრა: „ამგვარ რამეს არ მოველოდი! ეს მუსიკა ჩემი პოემის ემოციას განაგრძობს და მის დეკორს უფრო ვნებიანად საზღვრავს, ვიდრე ამის გაკეთება ფერს შეუძლია“.

როგორც ჩანს, მალარმე ესწრებოდა დებიუსის პრელუდიის პირველ საჯარო შესრულებასაც, რომლის შემდეგ კომპოზიტორისათვის მიუწერია: „ფავნის ნაშუადღევის“ თქვენებური ილუსტრაცია (აქ შესაძლებელია ეს სიტყვა ნახმარია, როგორც რისამე დასამტკიცებლად, ასახსნელად მოყვანილი თვალსაჩინო მაგალითი, ნიმუში) ჩემს ტექსტთან არავითარ დისონანსს არ ქმნის, თუ არა ის გარემოება, რომ მუსიკა უფრო შორს მიდის ნოსტალგიასა და შუქში, ნატიფად, ძნელად, მდიდრულად (ამის დამწერს უფრო ხანგრძლივი დუმის დრო ექნებოდა).

როგორც ცნობილია, მუსიკის პირველი საჯარო შესრულება 1894 წლის 22 დეკემბერს შედგა. ამავე წელს დაიწერა ესეე „მუსიკა და მწერლობა“. ახლა ძნელი სათქმელია: რომელი რომელს წინ უსწრებდა, როცა დუმდა მაშინ მოხდა გადაფასება, თუ მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი კრედო. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ მალარმეს „პოემის“ შექმნის პროცესში ესახებოდა „ფავნი“ როგორც მუსიკალური ნაწარმოები და ფერწერული ტილო. საქმეს ის ართულებს, რომ მალარმეს „ფავნის ნაშუადღევი“ ორიგინალური ნაწარმოებია, ხოლო დებიუსის მუსიკა (როგორც მალარმემ შეაფასა – „ილუსტრაცია“, დეკორი. ამით სულაც არ ილახება კომპოზიტორის ღირსება, პირიქით – მან ამ ნაწარმოებით საფუძველი ჩაუყარა იმპრესიონიზმს მუსიკაში).

ვრცელი ნიაღვრე გამოგვივიდა, თუმცა მალარმე უფრო დიდ ყურადღებას იმსახურებს, თუ არა ისევე ჭირვეული ლექსი, რომელიც თავს ხან მუსიკაში ამოყოფს, ხან ფერწერაში და ხანაც პროზაში. მალარმე ერთ-ერთ თხზულებაში (პროზა დეზ ესენტიისათვის) გამოხატავს მის პოეტურ კრედოს. ეს არის მისი პოეტური ხელოვნება, ოღონდ ბუალოს ან ვერლენისაგან განსხვავებით, მალარმეს თავისი მრწამსი დაშიფრული აქვს და მარტოოდენ გადაკრული სიტყვებით გადმოგვცემს. ამიტომ უხერხულ და გაურკვეველ მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ, ისევე მის ესსედან რამდენიმე ამონარიდს მოგაწვდით. – იქნებ თავად მის ტექსტშია ყოყმანის მიზეზი: „ცნობიერებას აკლია ჩვენთან ის, რაც მაღლა იფურჩქნება. რას ემსახურება ყოველივე ეს – თამაშს. სიცარიელის ზეგარდმო მიზიდულობის ძალით, სულიერი დაშრეტის ჟამს, ვიგლეჯთ ყოველივეს, რაც მყარად გაბატონებულია ჩვენში, ვიდრე არ აივსება იგი მშვენიერებით და არ შთაგვინერგავს მას, რათა თავისუფალ სივრცეთა

შორის წარმოშვას დიდებული და განმარტოებული ზეიმი (ეს გახლავთ შემოქმედებითი პროცესი, რაც წინ უძღვის ლექსის შექმნის იდეას და მის საბოლოო შედეგს. რა განსაზღვრავს ამას?). ბუნება თავისი გზით ვითარდება, ვერაფერს დაუმატებ. რაოდენი ქალაქი, რკინიგზა, გამოგონება შეადგენს ჩვენს აღჭურვილობას, მხოლოდ თავისუფალი მოქმედება (მწერლის ნებაზეა საუბარი) რჩება მარად იმ ძალად, რომელიც ჩანვდება სხვადასხვა დროთა შორის დამყარებულ ხშირსა თუ იშვიათ ურთიერთობათა ბუნებას. რაღაც შინაგანი განწყობის მიხედვით, გსურს საკუთარ ყაიდაზე განავრცო და გაამარტივო სამყარო (სხვაგან, ავტობიოგრაფიაში პიოეტი წერს – გულით მენადა შემექმნა რაღაც სხვა იმ ალქიმიკოსის გულმოდგინებით, ვინც მზადაა გასწიროს მთელი თავისი პატივმოყვარეობა და კმაყოფილების გრძნობა, ცეცხლს მისცეს თავისი სამყოფლო და დედაბოძი, ოღონდ კი შემოქმედების დიდი კოცონი გააჩალოს). მაგრამ ვანყდებით საოცარ რამეს ვით ახლის შექმნისას, თუნდაც ისეთის, რომლის ცნებაა გასარკვევი, საგანი კი არ არსებობს. რა უნდა დაერქვას იმას, რაც შემოქმედის სულიდან გამოიძერწება: წიგნი მწყობრად ნაგები და წინასწარ მრავალ ტომად განზრახულ-გამიზნული და არა კრებული შემთხვევითი შთაგონებით დანერგული ლექსებისა. მარტოოდენ ადამიანი ინახავს თავისი იდუმალების წმინდა ჰარმონიას. ჩვეულებრივ წვდომა მაოცებს, როგორც მოვალეობა, რომელიც ბორკილს ყრის უსასრულობას, რომლის რიტმი სიტყვიერი კლავიატურის კლავიშებზე თითის დაკვრის შეკითხვას ნებდება, რათა ჩვეულებრივ ხმები (სიტყვები) ერთუროს მიუსადაგონ (აქ მუსიკალური ტერმინები არაპირდაირი მნიშვნელობითაა ნახმარი). სინამდვილეში რაა ლიტერატურა, თუ არა ლითონი, დამუშავებული, კამათში ნაწრთობი, რათა გარდაქმნას, ან შექმნას რწმენა თავისივე თავის წინაშე, რომ სანახაობა პასუხობს წარმოსახვის გაგებას, იმ იმედით, რომ მასში თავად აისახება.

ამ პასაჟს მოსდევს ზუსტად ის, რასაც ჩვენ ველოდით, რაც მალარმესთვის პირველ საგნად იქცა მას შემდეგ, როცა იგი თავისი პოემის „ფავნის ნაშუადღევის“ მუსიკის ენაზე ილუსტრირებული პრელუდიის მონმე გახდა. მალარმე არ არის შურიანი, მაგრამ მისი ეჭვი თუ წარმოიშვა მხოლოდ და მხოლოდ იქედან, რომ იგი კარგად იცნობს თავისი შემოქმედების აბსოლუტურ პატივმოყვრულ ხასიათს და სრულ აუცილებლობას, იგი კარგად ასხვავებს წინააღმდეგობათა წყვილს, რომელშიც არ ხდება სინთეზი. ჟან პოლ სარტრი მალარმეს სევდიან მისტიფიკატორს უწოდებს. მან მეგობრებს და მონაფეებს (სხვათა შორის კლოდ დებიუსიც იმ სამშაბათების მონაწილე იყო, რომელიც იმართებოდა მალარმეს ბინაში და სხვებთან ერთად ისმენდა ლექციებს პოეზიაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე, თეატრზე. მაშინ დებიუსი სრულად ახალგაზრდა გახლდათ და შესაძლებელია „ფავნის ნაშუადღევიც“ აქ მოისმინა). დიდი შემოქმედების ილუზია შეუქმნა, რომლითაც უნდა შთაენთქათ სამყარო, რადგან მიაჩნდა რომ, საამისოდ ემზადებოდა. თანაც იცოდა, ეს შეუძლებელი იყო, უბრალოდ, საჭირო გახლდათ, რომ მისი ცხოვრება არარსებულ საგანს, დედამიწის ორფიკულ ახსნას მოხმარებოდა, რაც იგივე პოეზიაა. თავადაც ასე სწერდა ავტობიოგრაფიაში: სანუკვარი წიგნი, რომლის შექმნას ყველა მოკალმე ცდილობს, თვით გენიოსიც კი, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, ესაა სამყაროს ორფიკული ახსნა, რაც პოეტის ერთადერთი მოვალეობაა და ლიტერატურის დანიშნულება. თემას რომ არ გადავუხვიოთ, მივცეთ საშუალება მომხსენებელს, განაგრძოს დაწყებული საუბარი:

„მე ვიცი, რომ მუსიკა, ანუ ის, რასაც ასე უწოდებენ საყოველთაოდ, დაყვანილია ბგერათა შეთანხმების შესრულებამდე მხოლოდ სიმების და ხის მეშვეობით და ის პოეტური თავისუფლება, რომლითაც ის სიტყვას მოიშველიებს, იფარავს იმავე პატივმოყვარეობას, მხოლოდ ამაზე ნურაფერს ვიტყვით, რადგან ამას დიდი სიამით როდი გაგვანდობს. ამ მონახაზის სანინააღმდეგოდ არის წამი, იდეის კლაკნილი და მოძრავი ვარიაციისა, რომლის აღწერასაც იტვირთავს წერა (საუბარია დამწერლოაბზე. რატომ მიმართავს მაესტრო გაოგნებულ მსმენელს გამომცდელი კითხვით? განა

აღმოჩნდებოდა მათ შორის რომელიმე მათგანი, ვისაც ექნებოდა ამგვარ ფრაზასთან საორკესტრო ჩანაფიქრის შეხლა). ყოველივე ამას იქნებოდა – განაგრძობს პოეტი, თუ სიტყვა მრავალნაწროთი „სიმღერით განმედილი და აღმაფრენილი აზრის წყალობას დაკარგავს“.

მოკლედ, მალარმე ცდილობს დაარწმუნოს აუდიტორია, რომ ურთიერთგაცვლა (ესე იგი მუსიკისა, ანუ იმის რასაც ასე უწოდებენ საყოველთაოდ და პოეზიის) შესაძლოა მოხდეს სიტყვის ტრიუმფალური დაბრუნების მეშვეობით, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თუნდაც მცირედი დროით სამონყალოდ მიიღოს ინსტრუმენტალობა, რათა სიცოცხლის ძალნი არ დარჩნენ ბრმად თავიანთი ფარული და გაუმჟღავნებელი დიდებულების წინაშე (თქვენი არ ვიცით და მე უკვე წარმომესახა დონკიხოტი და სანჩო პანსა – აუდიტორიის სახით, რომელიც ტირადას ისმენს „ქარის ნისქვილებთან“ შებრძოლების ბატალიებზე). შემინდოს მალარმეს სულმა, მაგრამ თავად ირონიის დიდოსტატი ხომ კარგად აცნობიერებდა მისი წარმოშობის მიზეზს, რომელიც მისივე შემოქმედების აბსოლუტურად პატივმოყვარეობის ბუნებიდან გამომდინარეობდა. იქნებ არ ვარ მართალი, მაგრამ ასე ჩანს – იგი (ვიმეორებ) ასხვავებს წინააღმდეგობათა წყვილს, რომელშიც არ ხდება სინთეზი, და მას ეს აკმაყოფილებს კიდევ, რადგან განუწყვეტელი განაყოფიერება თავის თავს აუქმებს. ამიტომ მოითხოვს იგი „მიუკერძოებელ დუმის მივანდოთ ყოველივეს აღორძინება, რათა გონება შეეცადოს დაუბრუნდეს თავის კერას... ძველებური გამიჯნვა მუსიკისა და ლიტერატურისა, მხოლოდ გზაა საერთო ჩანაფიქრისაკენ მიმართული, ამ შემთხვევაში ერთი პრესტიჟის თითქმის აბსტრაქტული ხილვის ჩამწვდომი, აზრად ქცეული, გაფართოებულ ფურცელსაც რომ თანაბარ უფლებას ანიჭებს“.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მომხსენებელმა მოიკრიბა ძალა და მსმენელებს გაუზიარა თავისი ესთეტიკური თვალსაზრისი: რომ მუსიკა და ლიტერატურა ერთი სახის ორი მხარეა, პირველ შემთხვევაში წყვილადისკენ მიქცეული, მეორე შემთხვევაში მოკაშკაშე, ერთი და იგივე ფენომენის დამაჯერებლობით, რომელიც იდეის წყალობად ვახსენე (მალარმე).

დასასრულს მალარმემ აღმოთქვა სიტყვა, რომელიც შვებისმომგვრელი იყო არა მარტო მისთვის, არამედ აუდიტორიისთვისაც – „ახლა როცა ამოვისუნთქე იჭვისაგან განთავისუფლებულმა, როცა ზიარება მიღებულა, სინანულიც ნაკლებია“. დაუკვირდით, ვედრებანარევი მობოდიშებაც თავისებური რევერანსია: „თავიდანვე დარწმუნებულმა, რას ვიფიქრებდი, რომ ჩვენი მსჯელობის საგანი ქეშმარიტებად დაგესახებოდათ“. სიხარულისაგან არ იცის, რა მოიმოქმედოს – გაიფანტა გაუგებრობის ბურუსი.

მახსენდება გალაკტიონ ტაბიძის გამოსვლა ერთ-ერთ საიუბილეო საღამოზე ბათუმში, ტრიბუნაზე მდგომი როგორი მღელვარებით კითხულობდა ლექსებს. დასასრულს ტაბიძის გრიალში გავარდა კულისებში, გადავრჩითო! იქ მყოფთათვის უთქვამს. ამ სცენას მე თეატრის ქანდარიდან ვუყურებდი. იმასაც ვხედავდი, დასაწყისში როგორ ავიდა ტრიბუნაზე, ხელში წიგნი ეჭირა, დარბაზში მსხდომ მაყურებლებს უჩვენა და განუცხადა: მე ახლა ნებისმიერ ადგილზე გადავფურცლავ და წავიკითხავთ – გადახსნა წიგნი ზუსტად იქ, სადაც წინდანი ქალაქი ჩაედო. ელდა მეცა – ამხელა ბუმბერაზი პოეტი როგორ კადრულობს ეშმაკობას-მეთქი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, გამოუცდედი, სტუდენტი, არც არაფერი მეკითხებოდა. თუმცა შემდგომში შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი „ცისფერყანწელების“ ერთ-ერთ ნომერს, სადაც ტიციან ტაბიძემ იწინასწარმეტყველა, რომ მომავალ დიდ მხატვარში ერთმანეთს უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. შემდეგ აზუსტებს: რუსთაველი მას ესმის, როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე, ამავე აზრით – ევროპის პრეზენტიზმისა. რუსთაველს არაფერს ვერჩი, მაგრამ როცა ეს სტრიქონები წავიკითხე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას სწრაფად მივაშურე, იქ ნაცნობი მეგულებოდა, რომლის მეშვეობით მოვიხელთე სტეფან მალარმეს ქუთაისური გამოცემა (ტურზე თითი მიიღო, ეს ნიშნავდა არავინ

დაგინახოსო). ასე მოხდა ჩემი მალარმესთან ზიარება, მერე უფრო გამიღრმავდა მოსაზრება, რომ მალარმე და გალაკტიონი აუცილებლად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ენამ მიყივლა თუ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ როცა თამაზ ჩხენკელის წერილი წავიკითხე, შვებით ამოვისუნთქე: ეს წინასწარმეტყველება გალაკტიონ ტაბიძის 1915-18 წლების პოეზიაში ჯერ „ვეროპოს პრეზენტის“ პრიმატი, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში რუსთველური მოდულაციებით აღბეჭდილი სტილის პრიმატი – სავსებით განხორციელდა (თამაზ ჩხენკელი, 1968 წ. „მნათობი“ №8).

ყოველგვარი აზრის უმაღლესი წერტილი ამოსუნთქვაა (ვალერი). და მალარმემაც „ამოსუნთქა“ აუდიტორიასთან ერთად, მალარმემ იმიტომ რომ უაზრობაა ყველაფერი, ხოლო აუდიტორიამ ამ უაზრობაში იდუმალი პოეტი ამოიცნო. თუმცა აქა-იქ გაისმა ჩურჩული – ამ კაცის მთელი ლექსები სამყაროს სიმღერაა და რას ნიშნავს ის, როცა ლექტორი მუსიკას თვლის წყვილია მისი მხარედ?... აკი შეუქო დებიუსის „ფავნი“? რაა მალარმეში ღირებული, ოღონდ არა მუსიკალური გონების ჭვრეტა, პირიქით, იმ ეპოქაში არ მოიძებნება არავინ მასზე მუსიკალური სულის პოეტი, მაგრამ იცის, რომ მუსიკა – რასაც ასე უწოდებენ საყოველთაოდ, დაყვანილია ბგერათა შეთანხმების შესრულებამდე მხოლოდ სიმების და ხის მეშვეობით და ის პოეტური თავისუფლება, რომლითაც ის სიტყვას მიაშველებს, იფარავს იმავე პატივმოყვარეობას, მხოლოდ ამაზე ნურაფერს ვიტყვით, რადგან ამას დიდი სიამით როდი გაგვანდობს. იგივე ითქმის გალაკტიონზე და არ შეიძლება მისი პოეზიის გონიერ მკვლევარს მხედველობიდან გამორჩენოდა ეს, მე ვიტყვოდი, დამაინტრიგებელი ინციდენტი. ამიტომ ხელმეორედ გადავიკითხე თამაზ ჩხენკელის წერილი, რომელიც ზემოთ გვქონდა ნახსენები:

„ყველა სიმბოლისტი პოეტი და სიმბოლიზმისაგან გამოსულ, ან მასთან ახლო მდგარ პოეტურ სკოლათა და მიმართულებათა უმრავლესობა იზიარებს ბოდლერის მიერ მიკვლეულ და განხორციელებულ ერთ მეთოდს, რომელიც მანამდე უცნობი იყო, ეს მეთოდი გულისხმობს პოეზიის ისეთი საკუთარი სამყაროს შექმნას, სადაც დემიურგად და დიქტატორად ფრანგი მკვლევარებისა და კრიტიკოსების მიერ LLa zeve-დ წოდებული, პოეტური განწყობის მდგომარეობა გამოდის, რაც სხვა ენებზე ზუსტად არ ითარგმნება და დაახლოებით ნიშნავს „ზმანებას“, „ოცნებას“, „ნებისმიერებას“!

აქვე უნდა აღინიშნოს მეორე მომენტიც, რომელიც სამყაროს მუსიკალური ხმეერებით განცდას გულისხმობს. მთავარი ამ პრინციპში ლექსის მუსიკალური ხმეერება კი არ არის, არამედ ის, რომ აზრით დატვირთული პოეტური სახე იძენს მუსიკალურ დენადობას, განუსაზღვრელობას, რაც მკითხველის ცნობიერებაში ლირიკული განწყობილების განსაკუთრებულ ექოს ბადებს. გალაკტიონისათვის (ისევე როგორც მალარმესათვის) ნიშანდობლივია ორივე ეს მომენტი. აქედან მოდის იმპრესიონისტული ელემენტების სიჭარბე გალაკტიონისეულ პეიზაჟებსა და აღწერილობაში, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო გვიანი სიმბოლისტებისათვის, რომლებიც ნაყოფიერად იყენებდნენ პარნასელთა გამოცდილებასა და ბოდლერის, ვერლენისა და მალარმეს პოეზიის იმპრესიონისტულ მიღწევებს“.

თამაზ ჩხენკელის წერილიდან ამოვწერე თუ არა ეს საყურადღებო პასაჟი – შვებით ამოვისუნთქე: მეც, მალარმემ უკვე მეორედ და გადაღლილმა აუდიტორიამაც. საქმე ის არის – არ უნდა დაგვაბნოს ძველბერძნული სალექსო ფორმით დაწერილი პომეროსის „ილიადამ“ და „ოდისეამ“, რომლებიც მუსიკალურ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მსმენელზე, რადგან მას მღეროდნენ აიდეები. შემთხვევით არ მიიქცია ჩემი ყურადღება ჩხენკელის წერილში საყურადღებო მაქსიმამ: „ჩვენ შეგნებაში ლექსი და პოეზია ექვივალენტური ცნებებია“.

ჟან-პოლ სარტრი მალარმეს პოეზიის წინასიტყვაობაში წერს: „სამყაროს პროზა ლექსს ვერ შთაგაგონებს“. ლექსისთვის ლექსის მანამდე არსებობაა საჭირო. მართლაც, იგი ხომ თავისთავში მღე-

რის, ვიდრე დაინერებოდეს. აქ მისტიფიკაციაა ჩარეული, რადგან ახალი ლექსი, რომელიც საცაა დაიბადება, სინამდვილეში ძველი ლექსია, რომელიც მკვდრეთით უნდა აღდგეს. ამიტომ, ლექსი, რომელიც თითქოს ჩვენი გულიდან ბაგეებისკენ მოინწევს, სინამდვილეში ჩვენი მეხსიერებიდან მოდის... შთაგონება? (ფილოსოფოსი თავად სვამს კითხვას, რადგან იცის, მის მოსაზრებას ოპონენტები გამოუჩნდებიან, ამიტომ მისი პასუხი ლაკონურია). არსებობს მხოლოდ რემინისცენციები, არ ვიცი, ვის როგორ წარმოუდგენია ამ მოსაზრების სისწორე... ჩვენ კი ერთს დავსძენთ: გალაკტიონის აბობოქრებული სული, ქარში ხეტიალი, დიონისური ლტოლვა ნუნუასადმი, განა ლექსს არ წარმოადგენდა, ვიდრე ის ქალაღზე დაივანებდა?! თუ კი „ბუნება თავისი გზით ვითარდება, ვერაფერს დაუმატებ“ (მალარმე). გალაკტიონი აქ გვევლინება იმავე თეზის აპოლოგეტად – შინაგანი განწყობის მიხედვით, საკუთარ ნებაზე განაგრცოს და გაამარტივოს სამყარო: რაკი მარტი გადაყვა სუსხიან ტოტებს და ვერ ააყვავა, მაშინ პოეტი თავად მოირთვება თეთრ ტანსაცმელში და გადაიქცევა გაზაფხულად. სწორედ ეს არის თავისუფალი მოქმედების მარადი ძალა, რომელიც წვდება სხვადასხვა დროთა შორის დამყარებულ ხშირსა და იშვიათ ურთიერთობათა ბუნებას. ყოველივე ამას იქნება, თუ სიტყვა მრავალწარმოები, სიმღერით განმწმენდილი და აღმაფრენილი აზრის წყალობას დაკარგავს... „და ნავალ ქარში, როგორც მოცარტი, გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“. იქნებ გავაღრმავოთ ჩვენი მოსაზრება – რა ამოძრავებს ქარს?

„პოეზია საშუალებას აძლევს გონებას აღადგინოს კონტაქტი რეალობასთან, რომელიც წინ უძღვის ამ მექანიკურ ურჩხულებს, თვით ამ გონებამ რომ შვა, ანუ წინ უძღვის ჩვენს ვარაუდებს და ცოდნას – როგორი საშუალებანი, პოეზიის რა ჯადო იძლევა ამ როლის თამაშის უფლებას“ (ვალერი). როგორც ხედავთ, ვალერი გამორიცხავს შთაგონების იდეას, გულით დასცინის ლირიზმს, რომელიც მხოლოდ „ამოძახილის განვითარებაა, შთაგონებაა, ჰიპოთეზაა, ავტორს მეთვალყურის როლს რომ აკისრებს“. ისევ ვალერი (რომელიც სხვათა შორის მალარმეს მონაფე გახლდათ და ესწრებოდა მის ლექციებს). „მშვენიერების შეგრძობება ესოდენ თავანწყვეტილ ძიებათა და ამასთან საზღვრებათა საგანი – იქნებ, ცვალებადობის შეუძლებლობის აღიარებაც იყოს“. აი, სწორედ ამით გვაკმაყოფილებს და ამით გვანონებს თავს, იპყრობს ჩვენს გონებას, იგი „იძენს“ და აჩერებს დროს (ამასვე აკეთებდა ორფეუსიც – მისი სიმღერით მოხიბლულნი, ჩიტები წყვეტდნენ გალობას და მდინარეები ჩერდებოდნენ). არადა, გალაკტიონს დროსთან მიმართებაში სხვანაირი დამოკიდებულება აქვს: ის უშუალო მონაწილეა მოვლენების და სუბიექტური განწყობილების შესაბამისად მისი მბრძანებელიც. „ამაღლი სულო თეთრ აკლდამაზე... დღეს ყველგან მზეა და სილამაზე (მოულოდნელი აფეთქება) სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“.


„მზისა და სილამაზის მეოხებით სიკვდილთან შერიგება თავისთავად სიცოცხლისა და შესაბამისად, ხელოვნების, შემოქმედების, მშვენიერების პოზიტიური ღირებულების აღიარებაა. მაგრამ ეს აღიარება იმთავითვე მოცემულ ჭეშმარიტებად არ არის მიჩნეული. არის რაღაც რუსთველური სიკვდილ-სიცოცხლის შერიგების ამგვარ გადაწყვეტაში, ამ ლექსს გააჩნია თავისი პირქუში ორეული („ედარებოდა შეშლილს“), სადაც ყურადღება სამყაროსადმი ნეგატიურ მომენტზეა გამახვილებული, მაგრამ ეს ნეგაცია ლექსის შიგნითვე, ხელოვნების აქტში ხდება. ლექსი, ხელოვნება, იგივე არტიტული ყვავილები, პოეტის აზრით ის ერთადერთი რამ არის, რაც შეიძლება დაუპირისპირდეს სიკვდილს“ (თამაზ ჩხენკელი).

სავსებით ვეთანხმები ზემოთ თქმულს, რომ ლექსი ერთადერთი რამ არის, რითაც შეიძლება დაუპირისპირდე სიკვდილს, ან შეურიგდე მას. მართალია, იმ საღამოს, როცა გალაკტიონი ბათუმის თეატრში კითხულობდა თავის შედეგებს – მიუხედავად ძლიერი შთაბეჭდილებისა, მაშინ მე სხვა რამემ უფრო შემძრა, წამით შევიგრძენი მისი გულისამაჩუყებელი მეტაფიზიკური ტკივილი – იგი

მთელი არსებით თრთოდა, ასე მეგონა, სადაცაა გულის ძარღვი ჩაუნყდებოდა... მაგრამ იგი „გადა-რჩა“ (მისივე სიტყვებია). მას შემდეგ გავიდა ნახევარი საუკუნე და ის ხმა სივრცეში განფენილი, რომელშიც იყო სიტყვებთან ერთად ლექსის საგანი, დღესაც არ შეწყვეტილა, ბოლოს და ბოლოს ის ლექსის მბეჭდველი იყო. „მაქვს მკერდს მიდებულები ქნარი, როგორც მინდა“ მას კატეგორიულ იმპერატივად ჰქონდა დასახული – ყველაფერი ლექსად ექცია. ლექსი მხოლოდ მეტყველების ნიშნების სისტემა არ არის, ის არის აგრეთვე ცხოვრების ფორმა, რომელშიც ამ მეტყველებით (ლექსით) მოლაპარაკე ადამიანებმა იპოვეს არსებობის მოდუსი. არაა საჭირო აბსოლუტური აზრის ძიება, რომელიც სამეტყველო ნიშნების უკან უნდა იყოს დამალული. ლექსი არის ცხოვრების ზომა, ხერხი, სახე, მხატვრულ ფორმაში მოქცეული, მხატვრული აზროვნების ნაირსახეობა, საგნის გარდამავალი არამუდმივი მდგომარეობა, ან მეტყველების თვისება. ადამიანები ნორმალურად ცხოვრობენ, მაგრამ პოეტი ავადმყოფია („ედარებოდა შეშლილს“), რომელიც არ იცნობს მეტყველების ყოველდღიურ სტრუქტურებს და ამ სტრუქტურების არცოდნა აიძულებს მას ეძიოს მეტყველების ისეთი ფორმა, რომლის აგებულება (წყობა) მხატვრული ქსოვილი იქნება. რას უნდა დაეყრდნოს პოეტური მოთხოვნა, როცა ასე დიდია სასონარკვეთა, რაც ადამიანს უბიძგებს განერიდოს ყოფიერებას, რათა მიუახლოვდეს იდეას. მაღარმემ სერიოზულად განიზრახა თავის მოკვლა ტურნონში, ბეზანსონშიც და ავინიონშიც, იმავე განზრახვით ბათუმისკენ მიმავალ მატარებელში მყოფი გალაკტიონი ოცნებობს, ზღვაში თავის დახრჩობაზე. „ყოფიერება წარმოქმნის რაღაც ყოფიერებას, თუ პოეტი აირჩევს არარსებობას თავისი არშესაძლებლობის შესაბამისად, მაშინ არა იქნება არარას მიზეზი: „ადამიანი ყოფიერების მბრძანებელი გახდება ადამიანის გაქრობის გამო“ (სარტრი). ეს ღმერთთან გათანაბრებას ნიშნავს. რალაცნაირი „აბსოლუტური ელვა“ შემოიჭრა მის ფანჯრებში – პირველი, რაც მოიმოქმედა მაღარმემ, იყო ის რომ ზიზღი დაძლია და სამყაროს ბრალი წაუყენა, ხოლო გალაკტიონმა შეისმინა ფლობერის მაცდუნებელი შეგონება წმინდა ანტუანის მიმართ თქმული: მოაკვდინე საკუთარი თავი!... (ანუ ჰქმენ ის, რაც ღმერთთან გაგათანაბრებს... დაფიქრდი, მან შეგქმნა, შენ მის ნამოქმედარს გაანადგურებ მამაცურად და თავისუფლად). განა ეს არ ეწადა მაღარმესაც, მაგრამ მან ვერ შეძლო (არა იმიტომ, რომ მას აკლდა „სიმამაცე“, ის შებოჭილი იყო ოჯახური გარემოთი, – უფრო თავისი ასულით) ხოლო გალაკტიონმა, ყველაფრისაგან თავისუფალმა, უყოყმანოდ გამოიყენა ფანჯრის „აბსოლუტური ელვა“ და გადაეშვა მარადიულში, რითაც ადამიანურ ისტორიას პოეტური მსჯავრი გამოუტანა.

P.S. რაინერ მარია რილკეს აქვს შედევერი-ლექსი „შემოდგომა“, სადაც ფოთლების ცვენასთან ასოცირდება ბუნებრივი კვდომა – რომ ყველაფერი ცვივა უგუნებოდ და ხელალებით, რომ საერთოა ცვენა და ვარდნა. მაგრამ არსებობს ერთადერთი, ვინც ყოველ ვარდნას ნაზად იჭერს თავისი ხელით.

ამ გრძნეული ხელის გამოღება მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ ძალას ხელეწიფება და ეს ყოველისშემძლე ფენომენი გახლავთ ლექსი.



ღევიან გორვიანაძი

თეიმურაზ ლანჩავას ნიგნის („ფიქრის გასამართლება“) შესახებ

როცა ადამიანი ფანჯრიდან იხედება, მრავალი საინტერესო მოვლენის დანახვა შეუძლია, მაგრამ სახლის ცნება მის ცნობიერებაში იმთავითვე ფიქსირდება და გადაულახავ წინააღმდეგობად იქცევა. გამოსავალი ბუნებად ყოფნა, სახლებისა და ფანჯრების გარეშე. ხედვის პერსპექტივები ლოკალურ სივრცეებს ვერ სცდება; მარწმუნები, რაც რაციოს ბოჭავს და აფერხებს – მუდმივია, დაბადებამდელი ვიბრაციული ძვრების გამოძახილია, რაც შიმშილს მოჰგავს. საგნობრივი, განხორციელებული ფანჯრები და სახლები იმსხვრევა, ჰქრება და იფანტება შიმშილის განცდა, როგორც წყალი, – ხორციელი სასონარკვეთილება, მაგრამ რჩება ხედვის ქვიშიერი იდეა, რაც განფენილი და მცხუნვარეა... მას მზისებრი ბასრი სხივები აქვს, – პალეოლითური არქეტიპებით.

თეიმურაზ ლანჩავა საქართველოს სახალხო მწერალია, ხელოვნების ქურუმი; ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ალექსანდრე პუშკინისა და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრემიის ლაურეატი. მის მდიდარ პოეტურ და პროზაულ შემოქმედებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიგნი შეემატა. ავტორმა საკუთარ ნაშრომს „ფიქრის გასამართლება“ უწოდა, ჩვენ კი დღეს არც მოსამართლენი ვიქნებით, არც ადვოკატები და პროკურორები, არც ნაფიც მსა-

ჯულთა კრებული, არამედ ჩვენ ვიქნებით მტაცებლები, რომლებიც თ. ლანჩავას წავართმევთ ტექსტს და მის მკითხველად ვაქცევთ... სწორედ ეს არის ნამდვილი კრიტიკის დანიშნულება: ჩაკვლათ ავტორთა კულტი საკუთარ თავში და ტექსტებში დავბადოთ... აქ მხოლოდ ტექსტები ლაპარაკობს და არაფერი მის მიღმა! დღეს ჩვენ ვკლავთ და ვაცოცხლებთ; ღმერთები ვართ – ადამიანთა სხეულებში!

თეიმურაზ ლანჩავას ნიგნი – „ფიქრის გასამართლება“ ავტორის გონების საინტერესო პროდუქტია. პოეზია და პროზაული ნაწარმოებები გაერთიანებულა ამ ნიგნში, ბოლო წლებში შექმნილი ნამუშევრები, რომლებიც ავტორის სულის გამოძახილია. ნიგნის პირველი ნაწილი პოეზიას ეთმობა, ხოლო მეორე ნაწილი – პროზას.

თ. ლანჩავას ლექსებში სხვადასხვა თემის განაზრებასა და გაშლას ვხვდებით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მძაფრი რომანტიზმით გაფლენილ ლირიკასა და ნოსტალგიურ ალუზიებს. რეალიზმის დრამატულ კანონზომიერებას ავტორი გაურბის, ცდილობს რა იმოგზაუროს ტრივიალურ სამყაროებში, მისი ლექსების სტროფებით გარემოფაქტორების მონანილედაც გვევლინება, რადგან მან იცის, რომ თვალთახედვის გარეშე არ ყალიბდება იდეალიზებული აზრიც. თხრობის დინამიკა შეუქცევადია; ლანჩავას ახასიათებს ბუნებრიობა

და გულწრფელობა, სისადავე, მაგრამ, ამავედროულად, სიხისტე და კრიტიკულობა. მის პოეზიაში ვხვდებით სარკასტულ პასაჟებს, სადაც თვითირონიის ეფექტი განსაკუთრებით მომხიბვლელია.

თავმდაბალი, მაგრამ საკუთარ ძალებში ობიექტურად დარწმუნებული ავტორი პირველი ლექსით ყველას გვესალმება; „სალამი ყველას“ – ამ ლექსით იწყება ნიგნი. ის ესალმება მოყვარესა და მტერს, ადამიანის სულიერ გამონათებას და ბუნების უზოგადეს მოვლენებს, ესალმება სიკეთისა და ბოროტების ცნებობრივ იდეებს, რომლებიც არსებობის ყოფიერ სინამდვილეს ანხორციელებენ, რის შედეგადაც ასეთი მომხიბვლელია სიცოცხლე. მომდევნო ლექსები ადამიანად ყოფნის დრამატიზმის გამოაშკარავებით გრძელდება. თ. ლანჩავა გვიმხელს, რომ მარადიულად არსებობა უგრძნია სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ყოფნაში, ცამდე აფრენაც კი უცდია ამ დროთა დიქტომიაში, პარადოქსალური აპათიის სამდურავსაც გვეუბნება თავისი გულწრფელი ემოციით, დროში ფანტავს სტრიქონებს და იმედოვნებს, რომ ამ გარდაუვალი დროის მარწმუნებაც კი გააოცებს ადამიანის სიტყვა, რომელიც მარადიული გონიდან მომდინარეობს. ვხვდებით სიკვდილთან შეხვედრის მზაობასაც, როგორც ადამიანური სიმტკიცისა და ცნობიერი სიმალლის გამახატულებას. „ჩემო სიკვდილო, ჩემთვის ვბერდები და უკვდავებას ვინახავ შენთვის“ – ამბობს ავტორი და ამ სტრიქონებით ამჟღავნებს მონინებას გარდაუვალი მოცემულობის – სიკვდილის მიმართ, ამავედროულად კი – სიცოცხლის თავისუფლების საზღვრულ ესთეტიკასაც გვისახავს. სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებსაც ვხვდებით, დარდი და ტკივილი სჩანს ლანჩავას სიტყვებში, უსამშობლოდ მას ვერ წარმოუდგენია საკუთარი არსებობა; საზოგადოდ, იდენტობისა და სუბიექტის არსებობის გამართლებად სამშობლოს განცდა მიაჩნია. ავტორი გულდანყვეტილია თანამედროვე ვითარებით, ვაჟკაცობასა და გამჭრიახობას უწუნებს ბოლო საუკუნეებში (დღე-

ვანდებლობის ჩათვლით) მმართველებს ჩვენი ქვეყნისა, ის შეჭნატრის დავით აღმაშენებელს და სიმამაცეს ხელისუფალთა, რომელ ხელისუფალთაც შეეძლება აღმშენებლობის, სტაბილურობისა და მშვიდობის მოპოვება ჩვენი საქართველოსთვის. გამჭრიახობა, ბრძოლისუნარიანობა და სიმამაცე მიაჩნია მტრისგან თავის დაღწევის ერთადერთ გზად. ვხვდებით პოეტის როლისა და დანიშნულების განხილვასაც, რომ პოეტი ყოველთვის უსასრულო თავდავიწყებას ესწრაფვის, სიკეთისა და სათნოების ცალსახოვანი სფეროა, რომელშიც ყველა ვერ აღმოჩნდება, მაგრამ ვინც აქ არის, ის ჭეშმარიტად ეზიარება უსასრულობას. ავტორი ლექსებს უძღვნის თავის სათაყვანებელ ქალაქს – ქუთაისს. „ამ ქალაქში არ კვდებიან, იბადებიან“, – ამბობს თეიშურაჲ ლანჩავა და მთელი გრძნობით გადმოსცემს ლექსში საკუთარ დამოკიდებულებას ქუთაისის მიმართ, რომ აქ მაცხოვრებელი ადამიანისათვის სიკვდილსაც კი განსაკუთრებული ხიბლი აქვს. აღსასრულის სასონარკვეთილების განცდასაც უგულვებელჰყოფს ავტორი და ადამიანურ, ზნეობრივ-მორალურ ურთიერთობებს ამარჯვებინებს სიკვდილის საშინელებაზე. მეტიც: სიკვდილს სიცოცხლის განუყრელ ნაწილად წარმოგვიჩენს და მიგვანიშნებს, რომ საშიში არაფერია.

„ფიქრის გასამართლებაში“ შესული პოეტური ტექსტები პალიმფსესტური პათოსით ხასიათდება, როგორც მრავალ ფენაგადაფხეკილ ეტრატებზე ახალი სიტყვიერების ნიშნებით გამოკვეთა სხვადასხვა აზრისა, რომელ აზრებშიც ეპოქებს ერთმანეთის ექო მოესმით. თ. ლანჩავას გათავისებული აქვს ორთოეპიის მნიშვნელობა, მისი ტექსტუალური ექსპანსია უარყოფს მამონას იდეოლოგიურ ქვეტექსტს, როგორც სიმდიდრისა და მომხვეჭელობის სრულქმნილებას; ობივატელური განკერძოების საგიტალურ პარადიგმას ანგრევს და აუფასურებს, რაც მდგენელად გვისახავს არსის გადაულახავ მონადას. ლანჩავას პოეზიაში ორგანულად შეთვისებულია დრამა და სატირა. როგორც ძველინდური

ანდაზა გვეუბნება: „ყოფნა ყოფნამდეა და ყოფნის შემდეგაც არის ყოფნა“. საკრალური მისტიფიკაციებით გაჯერებულია ავტორის პოეზია, გზების ძებნა რელიზმის მარწმუნებებიდან გაქცევისა სჩანს, თუმცა ფაქტობრივ მოცემულობათა გავლენებიც იგრძნობა. ხედვითი სიმულაცია განაზრებული აქვს თ. ლანჩავას, შეგრძნებებით იმდენადვე მოქმედებს, რამდენადაც გონებით. მჭვრეტელობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის პოეზიაში, მაგრამ მგრძნობელობას იმდენად შეესატყვისება, რომ განცალკევებულად რომელიმე მათგანს ვერც კი დავასახელებდით. კლასიკა უყვარს და მიისწრაფვის მისკენ, არც თანამედროვეობას უშინდება და არც მომავლის პერსპექტივებს, ამკარად იგრძნობა ნოსტალგიური ფონი, რაც ავტორისეული სუბიექტივიზაციის ნიშანი ნამდვილად არ არის, არამედ საყოველთაობასთან შეთავსებისაკენ მიილტვის. სურს, რომ საუკუნეთა ვიბრაციული მუხტი გაითავისოს. განიცდის ეგზისტენციალურ შიშსაც, რაც მულტიფუნქციური სრულიადაც არ არის, – ეს მისი ლოკალური შიშია, როგორც თვითრეალიზაციის აუხსნელი სუბსტრატი. ინდივიდუალისტური პრაგმატიზმიც ახასიათებს თ. ლანჩავას ლექსებს, რაც მექანიზატორულ როლს ასრულებს. რთულია, თვალები გაახილოს ადამიანმა და უსასრულო სამყაროს წინ მდგომმა, საკუთარი არსებობის განაზრების შემდეგ, მოძრაობა განაგრძოს. ავტორი სრულად აცნობიერებს, რომ მისი სიტყვა დროისა და სივრცის ნაწილია, ბუნების ხილვადობა კი არაფერს კარგავს, არამედ პერმანენტულად აღმოაჩენს.

ნიგნის – „ფიქრის გასამართლების“ მეორე ნაწილი თეიმურაზ ლანჩავას პროზაულ ნაწარმოებებს ეთმობა, წარმოდგენილი გვაქვს მოთხრობები და ნოველები. თემატური სხვადასხვაობაა მოცემულ მოთხრობებში, გვხვდება როგორც ზოგადდიდაქტიკურ-დამრიგებლობითი, ისე პრაგმატულ-ცხოვრებისეულ სიბრძნეთა გადმოცემა. ლაკონური და გასაგებია ავტორის განწყობები, ყოველგვარი გადატვირთვის გარეშე, მსუბუქად და ძალდაუტანებლად ავტორს

შევეყვართ ნაწარმოებთა სპეციფიკაში. გვხვდება ავტობიოგრაფიული ნოველებიც, სადაც თეიმურაზ ლანჩავა იხსენებს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, მათ ფსიქოპორტრეტს გვიხატავს, მათ დამოკიდებულებებსა და ურთიერთობებს, რაც მეტად ადამიანური და უშუალოა. აღმოვაჩინთ ისეთ ჩანაწერებსაც, სადაც ავტორი ალეგორიებით გვესაუბრება, არსებობის დასაწყისის სიხარულითა და დასასრულის მწუხარებით არის გაჯერებული მოთხრობათა სრული უმრავლესობა. განსაკუთრებით გამოსარჩევია რამდენიმე ნაწარმოები, მათ შორის: „დაკარგული უკვდავება“, „დაბრუნება“, „წვიმის ფარდის იქით“, „ინგლისურის გაკვეთილები“, „სცენაზე იდგა სავარძელი“, „სიმაღლე“, „სიყვარული“.

„დაკარგულ უკვდავებაში“ ავტორი მისტიურ სამეფოს წარმოგვიდგენს, სადაც შთაგონებით მეოცნებეების დაშოშმინება მოინდომა ხელისუფალმა... აუსრულეს რა მათ ყველა ოცნება და სურვილი, ქვეყანაში მოწყენილობამ დაისადგურა, შემოქმედებითი მუხტიც დაიკარგა და ზოგადი ინტერესიც, დათმეს და გაასხვისეს უკვდავების წყაროც, რაც ავტორისათვის ყოფითი სინამდვილის ხიზლის სიმბოლოა, სადაც უკვდავების შეგრძნება იზადება გამუდმებითი წინააღმდეგობებისა და გარდასახვების კვალდაკვალ. მდორე, სტატიკურ ერთსახოვანებას, რაოდენ სრულყოფილადაც არ უნდა მიგვაჩნდეს ის, არანაირი გამართლება არ გააჩნია, ადამიანური ფსიქიკა კვდება და ნადგურდება პროცესუალური ცვალებადობის გარეშე. თ. ლანჩავა ეთანხმება თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, – მუდმივი მხოლოდ ცვალებადობა შეიძლება იყოს.

თეიმურაზ ლანჩავას ნიგნი – „ფიქრის გასამართლება“ მაღალი დონის მხატვრული ნაშრომია, მასში შემავალი ტექსტები ერთმანეთთან დიალოგში არიან, გამოსჭვივის სათნოება და კეთილშობილება, ადამიანური სიკეთენი. ყოველი ჩვენგანი ნაწარმოებების ნაწილად ვიგრძნობთ თავს. იმდენად დახვეწილი და ბუნებრივი ენით მოგვითხრობს ავტორი საკუთარ განცდებს, რომ სიყალბისა და მოჩვენებითობის განცდა სრული-

ად არ გვეუფლება. ვგრძნობთ, რომ ლანჩავა საკუთარი ტექსტების მკითხველად გვევლინება, ქმნადობის პროცესში გათავისებული აქვს, რომ ტექსტი ზოგადდება დროისა და სივრცის უსასრულობაში, თვითონ კი – ამ ტექსტებში იბადება ყოველ ჯერზე.

ყოველი მხატვრული ნაწარმოების დანიშნულებაა, რომ საკუთარი თავი დაგვანახოს გარე

საგნებისა და მოვლენების კონტექსტში. სარკისებური ეფექტი გააჩნიათ ტექსტებს. ფანჯრიდან ოთახს გადავისვრით, შემდეგ ვამსხვრევთ პირველ მათგანს; ბუნებაში გადავაბიჯებთ... განუყრელ მთლიანობად აღვიქმებით ბუნება და ჩვენ, – ჩვენ და ბუნება. ტექსტიც ასეა, ის გაურბის ავტონომიებს... საბოლოოდ კი – აღარც ფანჯარა რჩება... მხოლოდ ქვიშაა და მცხუნვარება.



ენანი პროვადი

დედის მკვლელი თარგმანი

თავიდანვე მიიწვევს განვაცხადო: საუბარია რომან „დათა თუთაშხიაზე“ და მის საბჭოთა დროინდელ რუსულ თარგმანზე. როგორც ცნობილია, აღნიშნული რომანი წინადაც გამოცემიდან რამდენიმე წლის შემდეგ ითარგმნა რუსულად ჟ. ამირეჯიბის მიერ. ცხადია, უცხო ენაზე ეროვნული ნაწარმოების გადატანა ღირსშესანიშნავი საქმეა. ასევე ცხადია, რომ პროზაული ნაწარმოებიც კი ხშირად ვერ გადააქვთ სხვა ენაზე უნაკლოდ. თუმცა, ცხადზე უცხადესია, რომ ნაწარმოების დედააზრი ყოველთვის შენარჩუნებულ უნდა იქნას. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა „დათა თუთაშხიას“ შემთხვევაში.

რომანი „დათა თუთაშხია“, როგორც გახმაურებული ნაწარმოები, პირველად რუსულ ენაზე რომ ითარგმნა, გასაკვირი არ არის, ვინაიდან ეს ენა ავტარკიულ საბჭოთა სახელმწიფოში უფროსი ძმის და აქ თავმოყრილი ხალხების მთავარი საურთიერთობო (ასევე, ოფიციალური) ენა გახლდათ. აქედან გამომდინარე, ცხადია, საბჭოთა (რუსული!) ცენზურა მისთვის სასარგებლო კუთხით რომ მოახდენდა თარგმანზე გავლენას. თუმცა, ერთია გავლენის მოხდენა, ხოლო მეორე – ეროვნულ ენაზე შექმნილი ნაწარმოების სხვა ენაზე გადატანისას მისი დედააზრის განადგურება.

ცნობილია, რომ რომანი „დათა თუთაშხია“ ოთხი კარისაგან შედგება. ყოველ კარს ნამძღვარებული აქვს ძველქართული ენით და ბიბლიური მანერით ნაწერი გრძელი ეპიგრაფი.

ყოველი ეპიგრაფი ლიტერატურული გმირის ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპის წინდანი, ზოგადი ხასიათის გააზრებაა. ამ ეპიგრაფებიდან ნაწარმოების დედააზრი, ბოლო, მეოთხე კარის ეპიგრაფში გამჟღავნებული. ვნახოთ, თუ რატომ და რისთვის მობრუნდა ადამიანებზე გულაცრეებული თუთაშხა სოფელსა შინა:

„...მაშინ აღავლინა ღაღადისი თუთაშხამ მიმართ ცათა:

– ჰე, უზენაესო! არა სართეველად თავისა ვეზიარე ფიქრთა; არა კვართისა ჩემისათვის ვბეჭვე ქსელნი; არა ძიებად შუბისა ვეც მახვილნი და არა ათინათისგან მოჯადოებით გარდვიქმენ ძედ ხორციელად, არამედ სნებათაგან განკურნებისთვის მოდგმისა კაცთა. გარნა უქმ მექმენ ხმევანი გონთა და ძალთა, ვერა მოილო ნაყოფი კეთილი თესლმან, რომელი ვბნიე მე, რამეთუ არა მომეც ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა. ან მოველ და მომაგე ხვედრი ჩემი და მივაგო ნაგრამსა შენსა.

და განისმა ხმა:

– არა იყავ ძე ხორციელი და მით ვერა ეზიარე სიღრმეთ კაცთა ბუნებისა. ნარვედ და ჰპოვებ მენახეთა, რომელნი: იზრახვიდნენ ძღვნისა მირთმევას მავანისათვის, გარნა მიჰქონდეთ უბითა

მასხვილი და ფლასთაგან ძრცვიდნენ მას; ეკრძალვოდნენ აუგის თქმასა მიმართ მოყვასისა, გარნა ამოხორვილ ჰქონდეთ პალვი ხორცითა მისითა და ენადოთ მეტ, ჰლადადებდნენ თაყვანს ღმრთისა-სა, გარნა სასოებდნენ სატანასა და მძლავრებას მისას ღმერთსა ზედა. ხოლო შენ სდექ მკვიდრად და ურყევლად რწმენასა, ვითარმედ სრულქმნისათვის ღვანლი არს ჭეშმარიტი დანიშნულება კაცი-სა და დაგესხმის ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა!

მიეცა თუთაშხა ნებითა თვისითა წამებასა უმძიმესსა, სწორად მათისა, რომელნი იყვნენ ერისკაც-ნი უწამებულენი. შემდგომ მარტვილობისა განმოეფინა შუბლისა იგურდიგ ნათელი სხივთა, უკუ-მოიქცა სოფელსა და ჰრქვა:

– ესერა, კაცნო! მოველ ხსნისათვის თქვენდა მძლავრებისაგან ურჩხულისა. ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადისობისათვის, სრულქმნისათ-ვის სულისა კაცობრიულისა! [„დათა თუთაშხია“. 2003., გვ. 518].

აი, ეს გახლავთ თუთაშხას სოფელსა შინა უკუმოქცევის დედააზრი, რაც განსაკუთრებით ბოლო ორ აბზაცშია გადმოცემული. „ნათელია, რომ თუთაშხიამ აბსტრაქტულ წამებას კი არ მისცა თავი..., ...არამედ ისეთს, როგორც გამოუვლიათ უწამებულეს ერისკაცებს. გარდა ამისა, ძნელი არ არის იმის დანახვაც, რომ სოფელსა შინა უკუმოქცეულ თუთაშხას ნათქვამში მოქმედების სამი ძირითა-დი მიმართულება გამოიყოფა: მოყვასის გადასარჩენად, ერის მარადისობისთვის და კაცობრიული სულის სრულქმნისათვის შემართება“ [ანანია ბროველი. აკაკი ბაქრაძის „ტარიგი ღმრთისაის“ გაგე-ბისათვის. „ჭოროხი“ 2015. №3].

ახლა ვნახოთ, თუ როგორ თარგმნა ჭ. ამირეჯიბმა ზემოაღნიშნული ციტატის ბოლო ორი აბზაცი რუსულად:

„Вступил тогда Туташха на тернистый путь мук и страданий, после всех терзаний души и плоти и преодоления их вспыхнул вокруг его главы чудный свет, и все увидели его.

Тогда он вернулся в мир и сказал людям:

– Послал меня всевышний к вам, дабы очистить души ваши от скверны драконой, внимлите же принесшему себя в жертву во имя душ ваших и бессмертия их“ [Чабуа Амირеджиби, „Дата Туташхია“. Тбилиси. „Мерანი“, 1987. стр. 527].

როგორც ვხედავთ, რუსულ ენაზე განხორციელებულ თარგმანში აღარ გვხვდება დედანში არ-სებული, ზემოაღნიშნული მესამე აბზაცის შემდეგი სიტყვები: „სწორად მათისა, რომელნი იყვნენ ერისკაცნი უწამებულენი,“ ხოლო მეოთხე აბზაციდან გაქრა თუთაშხას სოფელსა შინა უკუმოქცე-ვის და თვით ნაწარმოების დედააზრი: „ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადისობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულისა!“

თავს უფლებას მივცემ და პატივცემულ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ რომან „დათა თუთაშხიას“ დედააზრი სწორედ მეოთხე კარის ბოლო, მეოთხე აბზაცშია გამჟღავნებული. ამ აბზაცის მიხედვით, ნაწარმოების მთავარი გმირის პროტოტიპი თუთაშხა, ერის მარადისობის საკი-თხითაა შენუხებული და ამგვარი მარადისობის უზრუნველყოფის წინაპირობად მოყვასის სულიერ და ფიზიკურ გადარჩენას მიიჩნევს, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლად მისვლის გზითაც კი. მოყვასის ფიზიკური და სულიერი გადარჩენით ერის მარადისობის უზრუნველყოფა კი კაცობრიუ-ლი სულის სრულქმნის წინაპირობადაა მიჩნეული.

ცხადია, საკითხის ასე დაყენება ხელს არ მისცემდა საბჭოთა (რუსული!) იმპერიის მესვეურებს და ისიც ნათელია, რომ, მათ ნაწარმოების თარგმნისას ჭ. ამირეჯიბი რაღაც მანქანებით დაითა-ნხმეს ერის თავისუფლებისთვის მებრძოლი, მოყვასის (მუშნი ზარანდია, ძობა ძიგუა, მოსე ჯაგა-ლია, ბონია მენისქვილე და სხვ.) სულიერი თუ ფიზიკური გადარჩენისთვის თავის გამწირავი ლიტე-

რატურული გმირისთვის ეროვნულობის ნიშნები (მინიშნებითი ხასიათის) წაერთმია და, საბოლოო ჯამში, გზაბნეულ (ნაპირების მძებნელი) ზნეობრივ გმირად წარმოეჩინა იგი, რაც, როგორც ზემოთაღნიშნულ ვნახეთ, წარმატებით მოახერხეს კიდეც. სამწუხარო კი ის არის, რომ ბატონმა ჟ. ამირეჯიბმა ორ ათეულ წელზე მეტი იცოცხლა პოსტსაბჭოთა საქართველოში, მაგრამ დედანსა და რუსულენოვან თარგმანს შორის მისივე თანხმობით გაჩენილი შეუსაბამობების შესახებ არც უთქვამს და, მით უმეტეს, არც მოუმოქმედებია რაიმე.

დათა თუთაშხიას, როგორც ეროვნულ გმირად (დედნის მიხედვით) წარმოდგენილი ლიტერატურული პერსონაჟის დაყვანა მხოლოდ ზნეობრივ გმირამდე და მისი გზაბნეულობა კარგად გაფორმდა ნაწარმოების ეკრანიზაციისას, როცა ფილმს პირველწყაროსგან შინაარსობრივად განსხვავებული, სრულიად შეუსაბამო სახელწოდება შეურჩიეს – „ნაპირები“. თუმცა, „დათა თუთაშხიას“, როგორც რომანის აღქმა-გაგებას პირველი სერიოზული ზიანი აკაკი ბაქრაძემ მიაყენა თავის ცნობილ წერილში „ტარიგი ღმრთისაი“, რომელიც 1975 წელს, ნაწარმოების წიგნად გამოცემიდან ახლო პერიოდში გამოქვეყნდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ რომანის რუსულ ენაზე განხორციელებული თარგმანი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა და ითვალისწინებს ა. ბაქრაძის ზემოაღნიშნულ წერილში გაცხადებულ იმ მოსაზრებებს, რომელიც მოსაზრებებიც მიმართულია ლიტერატურული პერსონაჟისთვის ეროვნულობის ნიშნების წართმევისკენ, მხოლოდ ზნეობრივ გმირად შეარაცხვისკენ (დათა თუთაშხია, როგორც „ტარიგი ღმრთისაი“ – ნონსენსია!), შემდგომში კი, გზაბნეულად წარმოეჩინეს. იგივე შეიძლება ითქვას მრავალსერიან ფილმზეც – „ნაპირები“.

პატივცემულ მკითხველს შეუძლია გადაამოწმოს რომან „დათა თუთაშხიას“ წინათქმის წინ და პირველი სამი კარის წინ არსებული პრელუდები (მეოთხე კარზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) და შეადაროს ისინი მათსავე რუსულენოვან თარგმანებს. ამ შემთხვევაში, იგი აღმოაჩენს, რომ ქართული სიტყვა „ერი“ (Нация) რუსული „отчина“-თია (სამშობლო, მამული) ჩანაცვლებული, სხვა შემთხვევაში კი სიტყვა „народ“-ით (ხალხი). ცხადია, სიტყვა ერი საბჭოთა (რუსული) იმპერიის მესვეურებისთვის მიუღებელი და საშიში იყო.

მსგავსი მაგალითები ნაწარმოების ძირითად ნაწილშიც გვხვდება. მაგალითად, ადვოკატ ირაკლი ხურციძის ბინაში, მეგობრულ სუფრაზე დასასწრებად სპეციალური მისიით მისული გრაფი სეგედის თხოვნით მოსაუბრე დათა თუთაშხია ერთგან ამბობს: „ერის შვილი ვარ მე“. თარგმანში ეს სიტყვები ასე გამოიყურება: „Я сын своего народа“ ე. ი. ერი „народ“-ით იქნა ჩანაცვლებული.

გარდა აღნიშნულისა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ დედნის მიხედვით მესამე კარის ბოლო მთხრობელი გახლავთ რობერტ პავლეს-ძე ხაპლანი, რომელიც აღწერს, თუ როგორ ჩააცილა მან სამტრედიის რკინიგზის სადგურიდან თბილისამდე საკუთარი ნებით ციხეში მიმავალი დათა თუთაშხია, როგორი რევოლუციური განწყობა-სურათი ნახეს მათ დედაქალაქის ქუჩებში და როგორ მიაცილა მანვე აბრაგი მთაწმინდის უბანში არსებულ ჟანდარმერიის სამმართველომდე. რუსულ თარგმანში ეს მონათხრობი მეოთხე, ბოლო კარის დასაწყისშია გადატანილი, ალექსი სნეგირის მონათხრობის წინ, როგორც რევოლუციური თემის გამაძლიერებელი ქმედება, როგორც ლიტერატურული გმირის გარეგოლუციონერების გზის დასაწყისი, რაც ღიმილის მომგვრელია, ვინაიდან დედანში მას (რევოლუციას) სხვა დატვირთვა აქვს – დათა თუთაშხია იწყებს პიროვნული ზრდის ახალ ეტაპზე გადასვლას – ადამიანთა ფართო მასების მართვის პროცესების შეცნობა-შესწავლას, რაც, გარკვეულწილად, ციხეში მოწყობილი ამბოხის დროს გამოვლინდება. ასეთი ცოდნით შეიარაღებული და ციხიდან გაქცეული დათა თუთაშხია ცდილობს იმპერიის სპეციალური სამსახურების მიერ მოსყიდული, გადაბირებული ადამიანების უკან გადმობირებას (გზა ერის შვილების მომრავლებისა, მათგან წინააღმდეგობის გამწვევი ფართო მასების შექმნის მიზნით) [იხ. ანანი ბროველი.

დათა თუთაშხიას პიროვნული ზრდა, როგორც საფრთხე იმპერიული სახელმწიფოსათვის. ჭოროხი. №6. 2009].

დედანში აღწერილი უმთავრესი ლოგიკური ხაზის, – ქართველი ერის მიერ იმპერიული სახელმწიფოს მარწუხებისგან თავის დასაღწევი გზების ძიება-გააზრების, მისი შინაგანი დუღილის გამომხატველი ლიტერატურული გმირის მოქმედებების ცალკეული მომენტების დამახინჯებულმა, გაუკუღმართებულმა თარგმანმა ნანარმოების აღქმა-გაგებას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა გიორგი გაჩევის ნაშრომი „Космософия Грузии“, სადაც იგი წერს: „Тут же (იგულისხმება საქართველო, ა. ბ.) переделать все на новый лад – равносильно самоуничтожению, самовыкорчевыванию. И поэтому нравственный герой Дата Туташиа в итоге приходит к принципу Дао, недеяния, воздержания от всяческого действия, ибо у него все хуже получается в итоге“ [Гачев Г. Национальные образы мира. Космо-Психо-Логос. – М.: Издательская группа „Прогресс“ – „Культура“, 1995. стр. 419].

როგორც ვხედავთ, გ. გაჩევისთვის დათა თუთაშხია ის ზნეობრივი გმირია, რომელიც სიკეთე-ბოროტების ურთიერთდამოკიდებულების საკითხში გაიხლართა და შედეგად დაოს პრინციპების გაგებად მივიდა, რამაც, გაჩევისავე გაგებით, ლიტერატურულ გმირს უმოქმედობა აიძულა, ვინაიდან მის ყოველ ახალ ქცევას, მოქმედებას მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოჰქონდა. ცხადია, გ. გაჩევის მხრიდან დათა თუთაშხიას ამგვარი შეფასება სიმართლეს არ შეეფერება, ღიმილის მომგვრელია (მით უფრო, თუთაშხიას დაოიზმი), თუმცა აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მისი ეს დასკვნები ხელოვნურად შეცვლილი, არსობრივად დამახინჯებული თარგმანის საფუძველზე გაკეთდა.

დედნისეული დათა თუთაშხია, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, უპირველეს ყოვლისა, გახლავთ ეროვნული გმირი, ზნეობრივ პრინციპებზე მდგომი ეროვნული გმირი, ხოლო თვით რომანი ეძღვნება სამშობლო-ქვეყნის იმპერიული სახელმწიფოსგან გამოსხნის გზების ძიებას, რაც ამ გმირის, ვითარცა უნამებულესი ერისკაცის ცხოვრების ფონზეა წარმოდგენილი. რომანში „დათა თუთაშხია“ ნაჩვენებია ეროვნული თავისუფლებისკენ მიმავალი გზა და ნაჩვენებია, თუ როგორ, რა ეტაპების გავლით მოახერხა ეს ერთმა ადამიანმა, დათა თუთაშხიამ, რომელმაც ამ გზის გავლას ოცნელინადზე მეტი დრო მოანდომა.

ამ წერილში ასევე მინდა ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე გავამახვილო პატივცემული მკითხველის ყურადღება. საქმე ის არის, რომ „დათა თუთაშხია“-ს თარგმნა მსოფლიოს სხვა ხალხების ენებზე საბჭოთა პერიოდის ზემოაღნიშნული ჟ. ამირეჯიბისეული რუსული თარგმანიდან ხდებოდა და არა – დედნიდან. მაგალითად, 1985 წელს, მოსკოვში, გამომცემლობა „RADUGA PUBLISHERS“-მა „დათა თუთაშხია“ ინგლისურ ენაზე „მერანის“ 1979 წლის რუსული გამოცემის (ჟ. ამირეჯიბის თარგმანი) საფუძველზე გამოსცა. შესაბამისად, მსოფლიო ხალხთა ენებზე რომანი „დათა თუთაშხია“ ითარგმნება იმ რუსული ვარიანტის მიხედვით, რომლითაც დაკმაყოფილდა საბჭოთა (რუსული) იმპერიული მოთხოვნები – უკუგდებულ და ნაშლილ იქნა ეროვნული თავისუფლებისკენ მიმავალი გზის კონტურები, ხოლო ამ გზის მაჩვენებელი ლიტერატურული გმირი, რომელმაც პიროვნული ზრდის რამდენიმე ეტაპი გაიარა, წარმოჩენილ იქნა გზააზნეულ, ნაპირების მძებნელ პერსონაჟად.

ამ წერილის მიზანს არ წარმოადგენს იმის გარკვევა, – მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე „დათა თუთაშხიას“ თარგმნა დედანზე დაყრდნობით ხორციელდება თუ მისი რუსულენოვანი თარგმანის საფუძველზე, ვინაიდან ეს სრულიად სხვა წერილის თემაა, თუმცა გარკვეული მყარი მტკიცებულებები ამის თაობაზე წერილის ავტორს უკვე აქვს. აქ შეიძლება იმის დარწმუნებით თქმაც, რომ

ქართულ ლიტერატურულ წრეებში არსებობს გარკვეული მოთხოვნა იმაზე, რომ რომანი „დათა თუ-თაშხია“ საერთაშორისო მკითხველი საზოგადოებისთვის წარდგენილ იქნას როგორც ზნეობრივ თემაზე შექმნილი ტექსტი, მისი ეროვნული შემადგენლის იგნორირებით, რასაც დედანში არსებული, თავდაპირველი ქსოვილის დარღვევამდე მივყავართ და რაც, საბოლოო ჯამში, ნაწარმოებს შინაა-რსობრივად გაუგებარს ხდის.

ამრიგად, რომანი „დათა თუთაშხია“, როგორც ქართული ლიტერატურული ტექსტი, თავის საწყის, დედნისეულ დონეზე წარმოგვიდგება, როგორც იმპერიული სახელმწიფოს მარწმუნებში მოქცეული ხალხის (ზოგადად ხალხების!) ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთებით გამსჭვალულ ტექსტად, რომლის მთავარი გმირი, გარკვეული დროის განმავლობაში, ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული მსოფლმხედველობრივი გაგების წყალობით მიდის ამ ხალხის (ერის) იმპერიული ტყვეობიდან გამოსხნის, მისი მარადისობის უზრუნველყოფელი ფორმულის მიგნება-აღმოჩენამდე, ხოლო რუსულენოვანი თარგმანი-ტექსტი კი დღემდე რჩება საბჭოთა (რუსული) იმპერიული მოთხოვნების გათვალისწინებით შეწყვენილ ტექსტად, რომლიდანაც, სამწუხაროდ, ხორციელდება მსოფლიო ხალხთა ენებზე მისი თარგმნა-ტირაჟირება. საბოლოო ჯამში, არსებობს ერთი სახელწოდების, მაგრამ განსხვავებული დედააზრის მქონე ორი ტექსტი – პირველი, ქართულ ენაზე (დედანი, შინაგანი ეროვნული ხაზით) და მეორე, რუსულ ენაზე (დედნისგან განსხვავებული დამახინჯებული თარგმანი, იმპერიული ხაზით).



ნუნუ დიასამიძე

თავისუფლების ილუზია გალაკტიონის პოეზიაში

„პოეზია, ზეგარდმო ნიჭია“... ბრძანებდა ილია. – ამ ნიჭის წყალობით მათ შეუძლიათ იგრძნონ დრო და ამოიცნონ კიდეც; საით მიექანება დრო... და ამ დროისთვის დამახასიათებელი საზოგადოების სულისკვეთება შეაფასონ.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას ხომ ნათელ სხივად დაჰყვება თავისუფლების სული; ეს სულისკვეთება იმდენად ღრმაა და მგრძნობი, რომ ვერ ეტევა დროში; ვერ ეტევა ჩარჩოებში... ის ლექსად იღვრება და მისეულ რითმებს კინძავს. სხვა პათოსი სჩანს, როცა გალაკტიონი თავის ლექსებს კითხულობს, ის ბედნიერია და მისი თავისუფლება აღმატებული და სრულია „ფრთები, ფრთები გვინდა, ისევე ფრთები გვინდა“... ან „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“...

გალაკტიონის მიერ გამოვლენილი თავისუფლების წყურვილი ხშირად ზოგადია, საკაცობრიო... მისი წვდომის არსი მოვლენების მიმართ, ძალიან ღრმაა, და თითქოს ამოუცნობის ამოცნობაც სურს. ლექსში „კოსმიური ორკესტრი“, მომავალსაც წინასწარმეტყველებს და ამ შთაგონებას თავისთვის არ ინახავს. გალაკტიონს სურს გააჟღეროს და სული ათავისუფლოს, მისი აზრები ათავისუფლოს. ის ვერ ეგუება აზრების შენახვა-დატყვევებას – რაც კეთილშობილური შესტი მგონია თუ ის ლამაზად არის მოწოდებული.

„მსოფლიო სხივების და ცეცხლის ღეროთა,
მსოფლიო ღელვებზე და ქარზე მღეროდა,
მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხვდებით,
მსოფლიო რღვევა ხმელეთით რბოდინ,
მსოფლიო ორკესტრი მინისძვრით, ტახტებით,
მსოფლიო წვიმებით და წარღვნით მოდიან“...

გალაკტიონი თითქოს ახალ ერას, ახალ დროს წარმოგვიჩენს და გვაზიარებს; მისი ხედვა მომავლისაკენ საინტერესოა და მიმზიდველია იმდენად, თითქოს ბიბლიურ წინასწარმეტყველებებს თავისი ინტერპრეტაციით გვიჩვენებს და ჩაგვაფიქრებს; ალბათ, ამიტომაცაა მისი პოეზია ასეთი იდუმალი. თუმცა გალაკტიონის პოეზია, შემკული პოეზიაა, მთელი მშვენიერებით და მხატვრული აღწერილობით. რაც უფრო ხშირად ვკითხულობთ მით უფრო მეტად ვეზიარებით პოეზიის სურნელს, სურნელს ვარდებისა ლექსში „ვარდი“:

„იხიბებოდა სული დიადით
როს სიმალეებს სწვდებოდა არსი“

ის ხომ სულ „სიმალეებს“ ძიებაში იყო და ამგვარ ხიბლში გრძნობდა თავისუფლების დიადობას; ამიტომაცაა გალაკტიონისეული თავისუფლება ასე გვხიბლავს, გვხიბლავს და ახალი იდეებისაკენ გვინათებს გზას. ამიტომაცაა „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით ირმების გუნდს წყარო ანკარა“.

გალაკტიონის თავისუფლება, იმდენად ორგანული და ბუნებრივია, როგორც თვით ბუნება. პოეტმა მიაგნო იმას, თუ სად შეეძლო ადამიანს ნამდვილი თავისუფლება შეეგრძნო... ეს იყო, ტყე-ველი, ბუნება და სხვა...

სხვა, ბევრი ლექსია, სადაც პოეტი, თავისუფლებას ბუნების წიაღში შეეგრძნობს. ლექსი „არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება“.

„არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება,
ვით გაზაფხულზე,
როცა ბუნება ახმაურდება
დედამინისა გაყინულ გულზე,
როცა მიდამო ვარდ-ყვავილებით,
ლურჯ ხავერდით მოიქარგება,
როცა ბულბულის ხმები რაკრაკით
ბუჩქნარს ედება და იკარგება“.

მის პოეზიას რაღაც სხვაგვარად განცდილი თავისუფლება მართავს, ასეთი თავისუფლება ვერ ეგუება ადამიანთა ყოფას მონური განცდებით. ლექსში – „ახალ ტალღას“, ამბობს:

„გედი ყივილით, წრფელ მეგობრებს
ცისკენ იწვევდა,
არ მინდა, არა! სულს მოსწყინდა ეგ ერთფერობა,
სული ეძიებს, ქარიშხალს და ბობოქარ ტალებს,
მუდმივ დუმილში, ვერ თავსდება
ტანჯულის გრძნობა,
და ნაზ სიმღერას, გულში აღძრულს
ზღვა შელაღადებს,
შენს მოლოდინში,
გულს ნუ მიდაგავ,
დაჰკარ დაჰქუხე,
ახლო ტალღავ!“

ასევე ძალიან საინტერესოა ლექსი „შემოქმედება“; სადაც, გალასეული თავისუფლება უსაზღვროა; მისი აზროვნების მასშტაბები, არღვევს ბარიერებს... მისთვის უცხოა „დაბრკოლების ლოდი“ და რაღაც სხვა განზომილებებში წარმოჩნდება ხოლმე მისი თავისუფლება, შორს ჰორიზონტს რომ სცდება.

„ეს მაშინ არის, როცა აზრი
 მიჰქრის შორს, შორს, შორს –
 და ლტოლვა გულში დაგუბებული
 ეძლევა შვებას,
 ირგვლივ ვერ ვხედავ, ჩემს თანაბარს
 და ვინმეს ჩემს სწორს“.

გალაკტიონი თავის თავს უკეთებს შეფასებას და ისიც იცის, რომ არ შემცდარა ასეთ თვითშეფასებისას.

ასევე ისიც საგულისხმოა, რომ გალაკტიონი ვერ ეგუება თავისი ქვეყნის ჩაძინებას, ძილის მდგომარეობაში ხილვას; ამიტომაცაა, თითქოს მოგვესმის მისი ხმა, ხმა აღელვებით რომ ისმის:

„ჩასძინებოდა არწივებს,
 სთვლემდნენ მუხათა ტოტები,
 ბნელ ღამეს ააქარცივებს
 მკივანი მიკიოტები.
 გამოელვითათ არწივებს
 – ცეცხლი! – შესძახეს ნივილით“.

ადამიც ხომ ასეთი ნებით, ნების თავისუფლებით შეიქმნა. ბიბლიიდან ვცტიტირებ – დაბადების წიგნი: 2:15 „ბალის ყოველი ხიდან შეგიძლია ჭამო, რამდენიც გესიამოვნება; მაგრამ სიკეთისა და ბოროტების შეცნობის ხიდან არ ჭამო, რადგან რა დღესაც შეჭამ, იმ დღესვე მოკვდები“. არჩევანი მიცემული ჰქონდა ადამიანს, და ეს მისი თავისუფალი ნება იყო.

ადამიანი არ იყო შეზღუდული, ის ხომ სიცოცხლისათვის შეიქმნა თუ იმ ხნის ნაყოფს არ ისურვებდა – რაც სიკვდილს მოუტანდა. აქ ჩანს ზომიერების ადამიანური ფენომენი, არა გადამეტებული, ზღვარს გადასული და მიუღებელი, რაც შორსაა ადამიანურობისაგან. ხოლო იესომ თავისუფლების ასეთი ახსნა გვიჩვენა. სახარება იოანესი 8:32 „შეიცნობ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ“.

მოყვასის სიყვარული გალაკტიონისათვის არ იყო უცხო. კარგად იცოდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის, ხალხისთვის მსოფლიო ცივილიზაციის ზიარებას. პოეტს არ ხიბლავს პროვინციული სიმშვიდე, სიმშვიდე თვითკმაყოფილებას რომ ბადებს და ეგოს მდგომარეობაში ამყოფებს ადამიანს. ლექსი „გადიფანტოს ფიქრებიდან ნისლი“...

„გადიფანტოს ფიქრებიდან ნისლი,
 დაიხსომე კიდეც უფრო კარგად“ –
 აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლით
 ბორკილის მეტს ის არაფერს ჰკარგავს“.

დიდია გალაკტიონში სულიერი ენერგია, რაც მას ახალ ძალებს მატებს; თუმცა დროდადრო სევდის შემოჩვევასაც ებრძვის. მისთვის უცხო არ იყო სევდა, რასაც ცხოვრებისეულ ლაბირინთებში აწყდებოდა, და სულს უმძიმებდა. ხშირად მოისმის მისი პოეზიიდან „როგორ ვეწვე და ვეწამე“. – თუმცა მას კარგად ესმოდა, რომ ცხოვრება არაა სრული, ე. ი. სრულყოფილი და ამიტომაცაა რომ იმშვიდებს თავს:

„ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში,
 უდაბურებად იქცა სოფელი,
 ნუ გაცდები, რომ ასეთ დროში
 მცირე ბედისაც ვარ მაღლობელი.
 შეიძლებოდა, მქონოდა სული
 კეთილი, ნაზი როგორც დობილი,
 მაგრამ ცხოვრება არაა სრული,
 მცირე ბედისაც ვარ კმაყოფილი“.

პოეტის ასეთი ღრმა, ჭეშმარიტი შთაგონება გადამდებია და ერთხელ კიდევ ჩაგვაფიქრებს ცხოვრების რაობაზე და ფუჭ სევდას გვიქრობს. პოეტის აღტკინებულ სულს ვერ ჯაბნის უიმედობა და უნებლიეთ მოსული სევდა, სევდა – პოეტების (სულს) რომ იპყრობს და ტყვედ ამყოფებს. პოეტის ხმა გადმოჰქუხს, რომ გაგვაგონოს და ნაგვიძღვეს გზებზე, სადაც ხანხადან ფერმილეული ჩანს სამყარო. ამის დასტურია ლექსი „მიყვარს მარტო ქარიშხალი“:

„მიყვარს მარტო ქარიშხალი,
 თვალუნვდენელ ზღვიდან ზღვამდე,
 მთიდან მთამდე, ციდან ცამდე,
 თავისუფლად მონავარდე!
 მიყვარს იმის ნანგრევებზე,
 ახალ გრძნობით შვება-ლხენა,
 მასში ცოცხლობს ფიქრთა ჩემთა
 იდუმალი აღმაფრენა!“.

გალაკტიონის ხმა ჩვენც ძალუმად გვაფრთიანებს, გვამხნევენს და გვაძღვეს ძალას, გვაგრძნობინებს, რომ შინაგანად განცდილი თავისუფლება სულის მკურნალია და რომ უკან რჩება უიმედობის მრუდე ღამეები.



ზორიანა პახუჭაძე

ნიაზ ზოსიძის შემოქმედება და „NONFICTION“ ჟანრის თავისებულება

„ოთხას წელიწადში ხმალი იჟანგება,

ფერეიდნელი ქართველობა არ დაიჟანგა“.

მოხუცი ფერეიდნელი

ნიაზ ზოსიძის შემოქმედება **Nonfiction** ჟანრის ძალიან საინტერესო ნიმუშებს შეიცავს. ჩვენ ერთ-ერთ სტატიაში უკვე გავაანალიზეთ ამ ავტორის მნიშვნელოვანი კრებული: „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“. ამჟამად გვინდა ამავე ჟანრის სხვა ტექსტები განვიხილოთ, რომელთაც ერთი საერთო გააჩნიათ: მათში ავტორი გადმოგვცემს თავის მოგზაურობათა შთაბეჭდილებებს, მაგრამ მწერლის მოგზაურობის მიზანი არ არის სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნაობების გაცნობა/დათვალიერება, ან ხალხის ცხოვრების თავისებურებების გაცნობა, არა, მწერალი ერთგვარად დროში მოგზაურია, საქართველოს ისტორიის არცთუ ბედნიერი ეპოქის ფურცლებს შლის, იმ ნამსხვრევებსა თუ ფრაგმენტებს აგროვებს, აკვირდება, სწავლობს, 21-ე საუკუნეში ჯერ კიდევ რომ შემორჩენილა წარსულიდან; ფეხდაფეხ მოივლის და დაეძებს წინაპართა ნაკვალევს ტაო-კლარჯეთსა თუ ფერეიდანში. ამ მიმართებით საინტერესოა ნიაზ ზოსიძის სიტყვებიც: „ფერფლ და მტვერნაყრილი ისტორია უფრო მაინტერესებს“ (2-62) [ნიაზ ზოსიძის ტექსტებიდან მოყვანილ ციტატებს მივუთითებთ მხოლოდ ბიბლიოგრაფიაში წიგნის ნომერსა და გვერდს].

ასე ჩაუდგა კვალში ნიაზ ზოსიძე ირანსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, შეეცადა მათი მინავლებულ-ჩამქრალი ქართული მოგონებების გამოცოცხლებას და სიტყვაში მოქცევას. თავისი ოცნებაც გაგვანდო: აფრიკაში, ქაიროსთან ახლოს ოსმალეთიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა მონახულების სურვილი (2-64).

ასე შეიქმნა: „ნეტაი ადრე მოსულიყავით“ (2018), „გომარჯოს ფერეიდანს“ (2019), „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“ (2020), „ცრემლს ნუ გამატან“ (2020).

ეს ტექსტები ჟანრობრივად რომ „Nonfiction“-ს განეკუთვნებიან წიგნის – „გომარჯოს ფერეიდანს“, რედაქტორის, პროფ. ზაზა შაშიკაძის შესავალი წერილიც გვიდასტურებს. ის აღნიშნავს: მიუხედავად ავტორის მიერ არაერთხელ დაფიქსირებული პოზიციისა, რომ „მისი შემოქმედება ემოციებზეა აგებული და არანაირი სამეცნიერო პრეტენზია არ გააჩნია, ...იგი საინტერესოა სამეცნი-

ერო წრეებისთვისაც“ (2-9). მართლაც, ნიგნებში ბლომადაა შეტანილი ფერეიდნელ თუ მუჰაჯირ ქართველთა ლექს-სიმღერები, თქმულება-ლეგენდები, ტოპონიმები, გვარ-სახელები თუ ზედმეტ-სახელები, ფერეიდნული და მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშები და ა.შ. ამასთან ერთად, ავტორი თავისი ნათქვამის დასტურად ალაგ-ალაგ უცხოელ თუ ქართველ ისტორიკოსთა და მოგზაურთა მონათხრობსაც იმონებ: ისკანდერ მუნშს, პიეტრო დელა ვალეს, ზაქარია ჭიჭინაძეს, ივანე ჯავახიშვილს, ჯეიმს ფრეზერსა და სხვებს („გომარჯოს ფერეიდანს“, 2019), ვახუშტი ბაგრატიონს, ზაზა შაშიკაძეს, ნიკო მარს, სერგეი მესხს, ალექსანდრე ფრენკელსა და სხვებს („ცრემლს ნუ გამატან“, 2020 და „ნეტაი ადრე მოსულიყავით“, 2018). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი ნიგნი, ძირითადად, უფრო სამეცნიერო სტატიების კრებულია, ვიდრე „Nonfiction“ ჟანრის ნაწარმოები. ამდენად, ჩვენი კვლევისთვის ბევრად მნიშვნელოვანია „გომარჯოს ფერეიდანს“ და „ცრემლს ნუ გამატან“. სწორედ ამ ტექსტების ანალიზის საფუძველზე შევეცდებით „Nonfiction“-ის, რომელიც თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ნამყვან, პოპულარულ და პროდუქტიულ ჟანრად იქცა, თავისებურებების დადგენას, გამოკვეთასა და სისტემატიზებას.

„გომარჯოს ფერეიდანს“ მოგვითხრობს 2018 წლის 6-15 მაისს (ბსუ-ს პროფესორ ზაზა შაშიკაძესთან ერთად) მწერლის ფერეიდანში მოგზაურობის შესახებ. ის კახეთის ტრაგედიას ეხება, გვახსენებს იმ ეპოქას, როცა შაჰ აბას 1-ლმა (1571-1629) 1616 წელს კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი აყარა და სპარსეთის პროვინციებში გადაასახლა. უმრავლესობამ დაკარგა იდენტობა, მხოლოდ ფერეიდნელმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართული ენა და სამშობლოს მოგონება, შესაბამისად, მთელი ტექსტი განათებულია ფერეიდნელ ქართველთა სევდიან-საყვედურიანი თვალების შუქით, მკითხველსაც გამუდმებით ჩაესმის მათი ხმა: „გომარჯოს ფერეიდანს“.

ავტორის თხრობის მანერა ნამდვილად მხატვრულ-ემოციურია. სხვაგვარად, დიდი ემოციისა და გრძნობების გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელიცაა შაჰ-აბასის მიერ „მოუსავლეთის გზაზე“ გარეკილი ქართველების ტრაგედიის ასახვა: „მზისგან ხრაკვა თოთო ბავშვებისა... უსამანო გზაზე უძღურთა და მშიერთა დავრდომა“ (2-12), მათი, იმთავითვე დამარცხებისთვის განწირული, არაერთი მცდელობა სამშობლოში დაბრუნებისა, ტკივილამდე მისული მონატრება საქართველოს მიწა-წყლისა, წარმოუდგენელია პოლიტიკოსთა ბინძურ თამაშებს აყოლილ/შეწირული მუჰაჯირების „ცრემლიანი და გულსაკლავი“ (1-11) ისტორიის, მათი ტანჯვა-წამების გაცოცხლება.

მწერალი ხატოვნად და დამაჯერებლად გვიჩვენებს, როგორ გაივსო მთელი სპარსეთი „საბრალო ქართველებით“ (2-23), რომელთაც მთავრობა დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უწევდა, თუკი რჯულს შეიცვლიდა. ყველაზე ხრიოკ, ძნელად მისადგომ, უკაცრიელ და უაღრესად სახიფათო ადგილებზე ასახლებდნენ ქართველებს, მათ, ფაქტობრივად, მომთაბარე ტომებისგან ირანის ტერიტორიების დაცვა ევალებოდათ. ამასთან ერთად, ამ ადგილებში მათ შეჰქონდათ კულტურა, ავითარებდნენ სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას, ვაჭრობას.

როგორც უკვე ვთქვით, სხვადასხვა პროვინციებში გაფანტულმა ქართველებმა დაკარგეს მშობლიური ენა, ფერეიდნელებმა კი – შეინარჩუნეს. 1916 წელს ქართველი შტაბსკაპიტანი, პავლე ლორთქიფანიძე მოხვედრილა ფერეიდანში. ის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ წერდა: „დედაენა ჩინებულადაა დაცული, დიდი და პატარა მხოლოდ ამით ამაყოფს – ქართულად ვლაპარაკობთო...“ (2-35).

იმ ადგილას, სადაც ბალახიც ვერ ხარობდა, ქართველებმა ვაზი გააშენეს, რომელიც მათმა წინაპრებმა წელზე შემოხვეული, უძვირფასეს კონტრაბანდად შემოაპარეს ირანელებს, რომ არ გაეცინულიყო, ზამთრობით ვაზს მინაში მარხავდნენ (2-103). ასე შემოინახეს და გადაარჩინეს ხრიოკ, ჯვარცმულ, თუმცა გაუტეხელ ფერეიდანში საქართველო, სადაც მოგზაურ მწერალს დახვდა „აყვავილებული ქართული ენა... სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ქართული წარწერები...“ (2-106).

ქართული ენაა, როგორც ფერეიდნელი ქართველების, ისე თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირების შთამომავლების იდენტობის უმთავრესი განმსაზღვრელი: „ენა თუ არ იცი, ძნელია გურჯობა!“ (4-33), „ენა თუ არ იცი, რაის გურჯი ხარ?“ (4-61). „ჩვენი ქართველობა მხოლოდ დედაენით გამოიხატება“ (2-35) და ყველგან: ფერეიდანშიცა და თურქეთის საქართველოშიც, ერთი სანუხარი აქვთ: „ნასულია ჩვენი საქმე, უკვე გადარევი ვართ თურქჩეშიო“ (4-58) და „თხოულობენ „სკოლას“, ქართველ მასწავლებელს... ნუთუო, ლაპარაკობენ: ჩვენი ქართველები ისე უგულო შეიქნენ, რომ ჩვენზე არ ფიქრობენო“ (2-35).

როგორც ამ მცირე ამონარიდითაც ჩანს, ნიაზ ზოსიძის ნიგნებში დასმულია უაღრესად მნიშვნელოვანი და სადღეისო პრობლემები: ჟამთა სიავის, ისტორიის ბედუკუღმართობის გამო უცხოეთში მცხოვრებ, ასიმილირების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა იდენტობის გადარჩენის საკითხი.

მწერალი საჭირობოროტო, ქართველებისთვის ლამის მარადიულად ქცეულ კითხვებს სვამს, შლის წარსულის უმძიმებს ფურცლებს და ოსტატურად ხატავს ისტორიულ თუ თანამედროვე პირთა პორტრეტებს.

ყურადღებას იპყრობს შაჰ-აბასის მოკლედ, სხარტად, ობიექტურად და ზუსტად მოხაზული სახე-ხასიათი. ორ გვერდზე ახერხებს ავტორი ნათლად დაგვიხატოს უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, სამხედრო სტრატეგი, ვისმა მმართველობამაც ირანის არა მარტო პოლიტიკურ ძლიერებას, არამედ კულტურულ აყვავებასაც შეუწყო ხელი და, იმავდროულად, სისხლისმსმელი, დაუნდობელი ტირანი, კაცთმოძულე და ქართველთმოძულე, ვერაგი და ცბიერი, ჯოჯოხეთური ინტრიგების დიდოსტატი, ვისაც შეეძლო, რაოდენ პარადოქსული და სამწუხაროც არ უნდა იყოს ჩვენთვის, ქართველის ქართველის ხელითვე განადგურება, ვისი სამეფო გვარდია გამაჰმადიანებული ქართველებისგან შედგებოდა და ჯარის სარდალიც ქართველი იყო, სამხედრო რეფორმებსაც ნაქართველარი ალავერდი-ხანი უნდილაძე ატარებდა – დიდებულთა შორისაც კი გამორჩეული, შაჰის გვერდით რომ გამოსახავდნენ მხატვრები, მრავალმხრივი ტალანტით შემეკული, უნიჭიერესი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. მისი ცხოვრების ისტორიაშიც საქართველოსა და ქართველი ხალხის ტრაგედია ისახება.

ასეთივე დამაჯერებელი, ცოცხალი და დასამახსოვრებელია ნიაზ ზოსიძის მიერ გამოკვეთილ თანამედროვეთა პორტრეტებიც. მკითხველზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ მუდამ მომღიმარე და სიმპათიური სოსო მიქელანი – „ფერეიდნის იაკობ გოგებაშვილი“ (2-11), ისპაჰანის მშვენიება, ულამაზესი ჰელენ იოსელიანი, ვინც „ქართული ფერებით აფერადებს და ალამაზებს სამყაროს“ (2-155) და, რა თქმა უნდა, მისი დიდი წინაპარი – სეიფოლა იოსელიანი – „ფერეიდნელთა მალამო და შვება..., სინდისი..., ეროვნული ცნობიერების, იდენტობის მედროშე და წინამძღოლი“ (2-39). მას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა არა მარტო ფერეიდნელ ქართველთა შორის, რომელთა თხოვნითაც ის საქართველოში ჩამოვიდა, არამედ ირანის უმაღლეს მმართველთა შორისაც. ის სთხოვდა საქართველოს მთავრობას, რომ ქართველი მასწავლებლები და ექიმები გაეტანებინა თან, რათა სასწავლებელი გაეხსნათ. სეიფოლამ საქართველოში ყოფნისას შეისწავლა ქართული წერა-კითხვა და ირანში ჩასვლისთანავე დაიწყო სკოლის გასახსნელად მზადება. ფერეიდანში იმ დროისათვის, ანუ 1922 წლისათვის 30 ათასამდე ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც ქართულად ლაპარაკობდნენ და ქართული ტრადიციებიც ჰქონდათ შენარჩუნებული.

სეიფოლა იოსელიანი ზემო მარტყოფის გუბერნატორად მუშაობის პერიოდში ყველაფერს აკეთებდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, ის თავის მეგობრულ ურთიერთობას „ირანის სახელმწიფოს მოდერნიზაციის მესაძირკვლე“ შაჰ რეზა ფეჰლევთან (2-56), სწორედ ამ მიზნით იყენებდა: მან ფულადი ჯილდოს ნაცვლად შაჰს სთხოვა სკოლის გახსნა. მწერა-

ლი დანვრილებით აღწერს იმ წინააღმდეგობებს, იმ დევნა-შევიწროებისა და ცილისწამების კამპანიას, რაც პატრიოტ ფერეიდნელსა და მის ოჯახს დაატყდა თავს.

წარსულიდან ისევ აწმყოში გადმოვყავართ მწერალს და თანამედროვე ისპაჰანის, თავრიზისა თუ თეირანის კონტურებიც იხატება. აქვე გვაცნობს ფერეიდნელ ქართველ პოეტებს – „ქართული ენის პოპულარიზაციის დაუღალავ, მუყაით მოჭირნახულეებს“ (2-80), ქართული ანბანის მომფერებელ-მოგურგურეებს, ადგილობრივ, ქართულ ტოპონიმებს, გვარ-სახელებს, ზედმეტსახელებს, ეთნოლოგიურ მასალებს რომ აგროვებენ შთამომავლობისთვის გადასაცემად და მათ შემოქმედებას. ესენი არიან: რეზო ხუციშვილი, ალექსანდრე და რეზო დავითაშვილები, ვასიკო ყავლაშვილი, ძმები – არია და შაინა ხოსროშვილები, 2004 წელს ფერეიდნიდან საქართველოში ფეხით რომ ჩამოვიდნენ, „დაახლოებით გაიარეს ის გზა, რომელიც შაჰ აბასის ათეულ ათასობით ქართველმა ტყვემ“... (2-100), ამინ ნაგელიანი, „ქართველის დანახვაზე რომ ბედნიერი ხდება“ (2-137), ალაღმართალი და მარიფათიანი გოგია დავთაშვილი (2-171) და სხვები.

მათი ოცნება რეზო ხუციშვილმა ასე გამოხატა:

„ღმერთო, არ მომკლა, რომ მე მოგინახო,

საქართველოს თა და გორა დავინახო“ (2-76).

მათ უმთავრეს გულისტკივილსაც არ მალავს მწერალი. ამ მხრივ საინტერესოა მოხუცი ფერეიდნელი ქალბატონის საუბარი მასთან. ის მიუთითებს პატარა ფერეიდნელ ბიჭზე, რომელიც ციცაბო კლდეზე იდგა, ხელგაშლილი ქართულად კითხულობდა ლექსს და გულდანყვებილი უთხრა: „ამაი საქართველომ ქართველობის დაწერაზე უარი უთხრა...“ (2-124). ნიაზ ზოსიძე თავის პოზიციასაც იქვე აფიქსირებს: „ჩემზე რომ იყოს, ამ ხალხს საქართველოს მოქალაქეობის დოკუმენტს ფერეიდანში ჩავუტანდი, მეტიც, ამ ფაქტს სახალხო დღესასწაულად ვაქცევდი“ (2-143).

და მწერალი გვაჯერებს, რომ ფერეიდნელები ყველაზე დიდი და ნაღდი ქართველები არიან: 83 წლის სახალხო მკურნალი – ასიე ბათუაშვილი, ქამრან მიქელანი – ქართული სიმღერის, ცეკვისა და სადღეგრძელოს მოტრფიალე, „თავისი ჯანსაღი სიცილით ფერეიდანს რომ აცოცხლებს“ (2-161).

ასევე შთამბეჭდავად, ზუსტად შერჩეული შტრიხებით, მოკლედ, მაგრამ სრულყოფილად ახასიათებს ავტორი ქართულ სოფლებს: „ჯაყჯაყი... ძველი ყაიდის სოფელი, რელიგიურად შეფუთული, შაჰიდების სამჭედლო“ (2112), ჩულურეთი... მხიარული, გამრჯე ქართველების სოფელი (2-108), ვაშლოვანი, სწავლასმონყურებული ახალგაზრდებითა და მრავალნაირი ხილით მდიდარი სოფელი (2-114), „ციხემთა სხვა ფენომენია... ციხემთა ფერეიდნელ ქართველთა წმინდა ალაგია... ციხემთა ქართული სულის უდრეკობის დასტურია...“, (2-121), და ბოლოს, რა თქმა უნდა, მარტყოფი: იუნესკოს მიერ დედამიწაზე ერთ-ერთ უსაფრთხო ადგილად ცნობილი, სადაც ქართველს ქართველი არ მოუკლავს, „სადაც ქართული ანბანი ღვთაების ტოლსწორი ფენომენია... სადაც კახელებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა, იდენტობა, ადათ-წესები, ტრადიციები...“ (2-130).

ხატავს ქართულ ოჯახებს: რეზო დავითაშვილის ოჯახს, რომელსაც „ქართველ ფერეიდნელთა დროშას“ უწოდებენ, „საქართველოს სიყვარულით ცრემლმდინარე, ქართულ ანბანზე ჯვარდანი-რილს“ (2-144), სინოპის ქართული საზოგადოების თავმჯდომარეს, სელამეთინ აიდინს – ხალისიანსა და გულგახსნილს, ენამზიანსა და ქართველობაზე დარდით მოტეხილ მოხუცს (4-320), ექრემ ბაირახტაროღლის – ალალ, შრომისმოყვარე, სამართლიან და სტუმართმოყვარე სოფლის თავს (4-41) და ბევრ სხვას: მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ქალებს, კაცებს, ბავშვებს და ასე თანდათან იკვეთება ფერეიდნელ თუ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების კრებითი სახე-ხასიათი: „გულკეთილი, ჭირთამთმენი, უხვი, ამაყი, გონიერი, სულგრძელი და ალაღმართალი“ (2-130), რომელთა სახლებში რუსთაველის, ილიას, წმ. გიორგის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, ქართული ანბანისა და ვა-

ზის ფოტოებია გამოფენილი (2-131). მათ სწორედ ეს – მარადუკვდავი ქართული სული, ქართული ჯიშის შეგრძნება და, რაც მთავარია, ღმერთად ქცეული ქართული ენა აერთიანებთ.

რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია ნიაზ ზოსიძის შემოქმედების ანალიზის საფუძველზე? უპირველესად, თუკი მიხეილ ბახტინის ცნობილი სიტყვების პერიფრაზს მოვიყვანთ (ის ამას რომანის შესახებ ამბობდა): „Nonfiction“ ჟანრის ხერხემალი ჯერ კიდევ არ გამაგრებულა, ის ჩამოყალიბების პროცესშია და, შესაბამისად, უამრავ ახალ-ახალ ფორმას და ჟანრობრივ სახესხვაობას გვთავაზობს. ვფიქრობთ, ამ მიმართებით საინტერესოა სწორედ ნიაზ ზოსიძის საანალიზოდ გამოტანილი წიგნები. კიდევ ერთხელ გადავაგლოთ თვალი: რა ჟანრობრივი თავისებურებები გამოვლინდა მასში.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ამ ჟანრში მთავარია ფაქტის, ამბის მიმართ ავტორის სუბიექტურ-ემოციური დამოკიდებულება, მისეული აღქმა, ხედვა, განწყობა, ის გრძნობები, რომლებსაც რეალურად მომხდარი მოვლენა ინვეს/აღძრავს მასში. ამდენად, თხრობის ის გულწრფელი მანერა, სადა, სწორხაზობრივი, მკაფიო და გასაგები სასაუბრო მეტყველება, რომელიც ასე დამახასიათებელია ნიაზ ზოსიძისთვის, ამ ჟანრის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად უნდა ჩავთვალოთ.

აუცილებლად კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი ამ ტიპის ტექსტების თავისებურებას: ფაქტის ობიექტურობა პლუს ხაზგასმული სუბიექტური პოზიცია ავტორისა, მისი ემოციური დამოკიდებულება მოვლენებისა თუ კონკრეტული პირების მიმართ.

არ უნდა დავივიწყოთ ავტორის განსაკუთრებული ყურადღება დეტალებისადმი და სხვადასხვა პირების პორტრეტების შექმნის ხელოვნებაც.

ერთი სპეციფიკური ხერხიც აქვს ნიაზ ზოსიძეს და მას პირობითად „დროში მოგზაურობა“ შეიძლება დავარქვათ, ვთქვათ, მწერალი მოგვითხრობს ოთხი საუკუნის წინანდელ ფერეიდნელთა ამბებს და შემდეგ ნახტომისებურად გადავყავართ „სმოგით“ დაბურულ ისპაჰანში, ან გვესაუბრება მუჰაჯირთა სამშობლოდან აყრის მიზეზებზე და შემდეგ უკვე თანამედროვე თურქეთის სოფლებს მოგვატარებს, ქართველთა შთამომავლების დღევანდელ ყოფას გვაცნობს. ამით ავტორი ახერხებს დროის სამი განზომილების ერთიანობის განცდა შემოიტანოს თხრობაში. ამასთან ერთად, ისტორიული ნიაღვრების, ცნობილი თუ უცნობი ეპიზოდების გახსენების შემდეგ ის უკვე მკვეთრად ცვლის თხრობის ინტონაციას, ტემპს, დინამიკას და უკვე მოგზაურის ჩანაწერებს გვთავაზობს. ამ ხერხების ერთობლიობა კი შეუწელებელ ინტერესს ინვეს, ამ შემთხვევაში ხომ აქტიურდება მოულოდნელობის ეფექტი, რადგან მკითხველმა წინასწარ არ იცის, ერთმანეთზე „ნაფენილი“ ამბების შემდეგ რა ელოდება.

ნიაზ ზოსიძის ტექსტები გვარწმუნებს, რომ „Nonfiction“-ისთვის დამახასიათებელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, შიგაჟანრული ეკლექტიზმიც: მასში ავტორისეულმა თხრობამ შეიძლება ჩანახატის, მინიატურის, ნოველის ფორმა მიიღოს (ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია წიგნისთვის „ახლა სიკვდილი არ შეძლება“), რომელთანაც მშვიდობიანად თანაარსებობს მეცნიერთა მიერ მოწოდებული ცნობები, ისტორიკოსთა ჩანაწერები, დოკუმენტური თუ მდიდარი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალა, რომელსაც დიდი მეცნიერული ღირებულება გააჩნია, რადგან, როგორც მწერალი არაერთხელ აღნიშნავს ხაზგასმით, მზარდი ურბანიზაციის, გლობალიზაციისა თუ საინფორმაციო-კომუნიკაციური რევოლუციის ეპოქაში მიმდინარეობს ეთნიკურ ქართველთა დაჩქარებული ასიმილაციის პროცესი, შესაბამისად, ჩვენებურთა მეტყველების თითოეული ნიმუშის დაფიქსირება/შემონახვა ძვირფასი და უნიკალურია მეცნიერებისთვის.

ნიაზ ზოსიძის ტექსტები პოსტმოდერნისტული მეტაპროზის ნიშნებსაც ატარებენ. ავტორი არაერთხელ მიმართავს თვითრეფლექსიას, გვიხსნის თავისი წერის მანერას, ისტორიით დაინტერე-

სების მიზეზებს: „მერე ჩემი კუთხის ისტორიის წაკითხვა მომინდა, არა მშრალის, გამოშინების, დაშტამპების, დაკვეთილის, არამედ ადამიანურის, ავ-კარგიანის... მერე მე თავად დავწერე... კი, ვიცი, უბრალოდ წერა ძნელია, გულწრფელად წერა – ურთულესი, რაც გამოვიდა ის გამოვიდა, შევეცადე პოეტური პროზა გამოსულიყო“ (2-63). ასეც გამოვიდა. მწერალი ადამიანურ ისტორიებს მოგვითხრობს და არასოდეს ფარავს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას, მას აქვს შესანიშნავი უნარი, თავისი ემოცია გადასდოს მკითხველს, „თანამოდარდედ“ გაიხადოს ის და დააფიქროს იმ პრობლემებზე, რომლებიც ქართველთა წარსულს, აწმყოსა თუ ხვალინდელ დღეს ეხება.

ასე რომ, ნიაზ ზოსიძის ტექსტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ: „Nonfiction“ ჟანრის უმთავრესი თავისებურება არის ფაქტის, მოვლენის, ამბის მხატვრულ-ესთეტიკურ მოვლენად გარდაქმნა ისე, რომ მკითხველს ეჭვი არ შეეპაროს მის რეალურობაში, ამასთან, მკაფიოდ იგრძნოს ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. ეს ამბები ამოღებულია ხალხის (ამ შემთხვევაში – ფერეიდნელებისა თუ მუჰაჯირების) კოლექტიური მახსოვრობის ყულაბიდან და მხატვრულად სახეცვლილნი, გრძობად-კონკრეტული მომენტებით გამდიდრებულნი ისევ უბრუნდებიან საზოგადოების არქეტიპთა განძთსაცავს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ გააქტიურდნენ და ჩაერთონ ეროვნული იდენტობისათვის ბრძოლაში. სწორედ ამიტომ აქვს „Nonfiction“ ჟანრის ნაწარმოებებს, კერძოდ, ნიაზ ზოსიძის ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტექსტებს, არა მარტო მხატვრული, არამედ დიდი შემეცნებით-მეცნიერული ღირებულება და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ნაციონალურ-პოლიტიკური დანიშნულებაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზოსიძე ნიაზ, „ნეტაი ადრე მოსულიყავით“, გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2018, (267 გვ.).
2. ზოსიძე ნიაზ, „გომარჯოს ფერეიდანს“, გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2019 (250 გვ.).
3. ზოსიძე ნიაზ, „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“, გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2020, (255 გვ.).
4. ზოსიძე ნიაზ, „ცრემლს ნუ გამატან“, გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2020, (147 გვ.).

ჭორბი 2

2022

მალხაზ ფალავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2022 malkhaz.pagava@gmail.com